გაზეთი ბევრისა, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№20 (776) 22 - 24 თებერვალი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# „ვერსიის“ ექსკლუზივი



## იმ 109 ადამიანის სია, რომელიც პოლიტპატიმრისა და პოლიტდევნილის სტატუსს ითხოვს!

გვ. 3

პოლიტპატიმრებს პოლიტპატიმრები აღარ ერქმევათ?!

## აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი რომის პაპმა შეაჩერა!

პაატა დავითაია

ერთ საიდუმლო ინფორმაციას გაგიმხელთ... ლათინურამერიკული ქვეყნების მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების სერია კათოლიკურმა ეკლესიამ და, უშუალოდ, რომის პაპის ადმინისტრაციამ შეაჩერა. კათოლიკურ ეკლესიას ამ სახელმწიფოებში სერიოზული გავლენა აქვს.




გვ. 7

## „თუ არც ერთ „ნაციონალს“ არ დაიჭერენ, მაშინ მე დამიჭირონ მეორედ!“

რატომ არ შეიყვანეს პოლიტპატიმრების სიაში კობა ნარჩემაშვილი და აქვს თუ არა პოლიტიკური ამნისტიის მოთხოვნის უფლება 2003-2004 წლების „დაჭერების“ ავტორ „ნაცმოძრაობას“



გვ. 6

## „მოლაპარაკების ეს ცენტრალური თემა არ გაუჟღერებიათ!“

ავთანდილ დემეტრაშვილმა „ვერსიას“ ის პუნქტები გაუმხილა, რომლებსაც უსუფაშვილი-ბაქრაძე არ ახმაურებენ

# 20 გვერდი 40 თეთრი

## „ჩემი შვილი არ გააუპატიურეს. ყველაფერი ასე მოხდა...“

182-ე სკოლის მეშვიდეკლასელი ბიჭის დედა „ვერსიას“ დამპალოს სასაფლაოზე მომხდარი ინციდენტის დეტალებს უამბობს

გვ. 12

## შალვა ნათელაშვილის ყოფილი თანაპარტიელები „მემარცხენე პარტიას“ ქმნიან

**კახა ძაგანია:** „შემიძლია, პირდაპირ ვთქვა, რომ პოლიტიკური ნაძირალა შალვა ნათელაშვილი „ნაციონალების“ დაკვეთით მუშაობდა ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის“

გვ. 2



## ზურაბ ადეიშვილმა მარიკა ვერულაშვილის ქმარი უკრაინაში ბიზნესის გამო დაიჭირა?

გვ. 9

## „მარტში საქართველოში ჩამოსვლას ვგეგმავ, ნინო ბურჯანაძესაც გავესაუბრები და საბოლოოდ, ამის მერე გადაწყდება ყველაფერი“

ვალერი ხაბურძანია „ვერსიაში“ გამოქვეყნებული ბრალდებების გამო ზაალ კასრელიშვილს პროკურატურაში უჩივის!

გვ. 8

## „ქიმერიონი“, „ჩელთი“, „შატო-მანავი“, „საქართველო“, „კახეთი 3 000“, „ახაშენი 2005“ და „ბორჯომი“ რუსეთის ბაზარზე მაისში დაბრუნდება

გვ. 10

## „200 ლარის ნაცვლად, სამუშაო ადგილები შეგვქმნათ და დავესაქმებინეთ“

სოციალურად დაუცველები ბიძინა ივანიშვილს სთხოვენ, მერიას მათი გაუსაძლისი პირობების გაუმჯობესება დაავალოს

გვ. 14

## 100 000-ზე მეტ სოციალურად დაუცველს სახელმწიფო დახმარება შეუჩერდა!

გადასცემს თუ არა ჯანდაცვის სამინისტრო პროკურატურას „მატყუარა“ ოჯახების საქმეებს?

გვ. 13

ექსკლუზიური ინტერვიუ

ეკა სეხნიაშვილი

**„ვერსიის“ ინფორმაციით, შალვა ნათელაშვილის ყოფილი თანაპარტიელები ახალ პარტიას ქმნიან. წყაროს ინფორმაციით, პარტია მემარცხენე-ოპოზიციური იქნება, თუმცა „ლეიბორისტულისგან“ განსხვავებული მიმართულების. „ვერსიასთან“ საუბრისას, კახა ძაგანია აცხადებს, რომ საგანგებო განცხადებას გააკეთებენ და შალვა ნათელაშვილისგან გამიჯვნის რეალურ მიზეზებზე დეტალურად ისაუბრებენ. მანამდე, ყოფილი „ლეიბორისტები“, დუმილს არღვევენ და ინფორმაციას „ვერსიას“ ექსკლუზიურად აწვდიან. მათი განმარტებით, „შალვა ნათელაშვილი ასრულებდა „ნაცმოძრაობის“ დაკვეთებს და მიშას მეხამრიდის როლს“.**

# შალვა ნათელაშვილის ყოფილი თანაპარტიელები „მემარცხენე პარტიას“ ქმნიან

კახა ძაგანია: „შემიძლია, პირდაპირ ვთქვა, რომ პოლიტიკური ნაძირალა შალვა ნათელაშვილი „ნაციონალების“ დაკვეთით მუშაობდა ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის“



**— ბატონო კახა, როგორც შევიტყვეთ, ახალი პარტიის დაფუძნებას აპირებთ.**

— არ მინდოდა, აქამდე ამაზე საუბარი და თქვენთან ვიტყვი პირველად — კი, ბატონო, ჩვენ უახლოეს პერიოდში გადავწყვეტთ დეტალებს და აუცილებლად წარვუდგენთ საზოგადოებას ჩვენს ახალ პარტიას, რომელიც მემარცხენე-ოპოზიციური იქნება. მართალია, ნათელაშვილმა დაგვაბრალა, რომ ბიძინასა და „ოცნებას“ შევეკარით, მაგრამ საზოგადოება მალე დარწმუნდება, რომ ჩვენი პარტია იქნება ოპოზიციური და როცა ხელისუფლებაში მყოფი „ქართული ოცნება“ იქნება დასაგმობი, ამას გავაკეთებთ, თანაც არა იმ როლში, რა როლშიც იყო ბატონი ნათელაშვილი.

**— თქვენი პარტიის ლიდერი სოსო შატბერაშვილი იქნება?**

— ზუსტად, ჯერ არ ჩამოვყალიბებულვართ. შეიძლება, იყოს ბატონი სოსო, ან — ჯიბლაძე. შეიძლება კოლექტიური მართვის პარტიულ ფორმაზე შევთანხმდეთ. ჩვენ ახლა გავდივართ როგორც შიდა პოლიტიკურ კონსულტაციებს, ასევე — ქვეყნის გარეთ. მალე მკაფიო გახდება ჩვენი ახალი პარტიის მიზნები და ამოცანები.

**— ბოლო დროს, ვალერი ხაბურძანია გამოვიდა მესამე, რუსული ცენტრის შექმნის ინიციატივით. რუსულ პოლიტიკურ ძალებთან გადიხართ კონსულტაციებს თუ დასავლეთთან?**

— ყველა მიმართულებით. უახლოეს პერიოდში, დეტალურად ჩაგაყენებთ საქმის კურსში. ჯერ ჩამოყალიბების პროცესში ვარ. ჩვენი პარტია იქნება მემარცხენე, ვისთან ვითანამშრომლებთ, დროის საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ ნაძირალა ნათელაშვილი აცხადებს, „ქართული ოცნების“ ნაყიდები ვართ, ასე არ არის. ჩვენ ვიქნებით მხოლოდ ჯანსაღ ოპოზიციაში. ახლა გავდივართ რამდენიმე პარტიასთან კონსულტაციებს, არ მოგატყუებთ, ჩვენი ახალი პარტია იქნება ისევე მემარცხენე, არც საერთაშორისო დამოკიდებულებები და მიმართულებები შეგვიცვლია, არც ოკეანის გაღმიდან ვიქნებით მართულები და არც რუსეთიდან. შიდა ქართული ეროვნული მიმართულების პარტია ვიქნებით. ჩვენი სახელიც სადღაც „მემარცხენეს“ შემცველი იქნება. ჩვენ ვიქნებით ოპოზიცია.

**— ზოგადი ფრაზით გაემიჯნეთ ნათელაშვილს და მიზეზები არ დაგიკონკრეტებიათ. ახლა მაინც მითხარით სიმართლე, რატომ წამოხვედით „ლეიბორისტებიდან“?**

— იმ ერთგული აქტივის მიუხედავად, რომელიც არაფერ შუაშია, რომელიც დღესაცაა ლეიბორისტულ პარტიაში და რომელსაც ჩვენ პატივს ვცემთ,

**პირდაპირ გეტყვით, შალვა ნათელაშვილის სახელისა და გვარის თქმაც კი არ მინდა. არჩევნების მერე გავიგეთ, რომ „ნაცების“ დაკვეთებს ასრულებდა და მეხამრიდად იყო გამოყენებული. ის ასრულებდა „ნაციონალების“ დავალებას და სხვა ოპოზიციური პარტიების დისკრედიტაციას ახდენდა. ის არჩევნებამდეც ოპოზიციის დისკრედიტაციას ახდენდა და ახლაც იგივე დავალებას აგრძელებს. მინდა, ეს დაწეროთ ხაზგასმით, რომ ეს ნაძირალა ადამიანი, არაკაცი, ატყუებდა საზოგადოებას. ამდენი თვე თავს ვიკავებდით. ეს არაკაცი რასაც აკეთებდა, მთელმა საზოგადოებამ იცის. თავს ვიკავებდით იქ დარჩენილი ადამიანების გამო, მაგრამ მისმა გამოხდომებმა, „კბენებმა“, უზნეო საქციელმა გვიბიძგა ამისკენ.**

**— ამას ფინანსების სანაცვლოდ აკეთებდა?**

— რის სანაცვლოდ, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, დაკვეთას ასრულებდა. არჩევნების მერე, პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე შალვას პირზე დაადგა კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, რომ ის ნამდვილად ასრულებდა „ნაციონალების“ დაკვეთებს და კონკრეტული ფაქტებით ამხილა დაკვეთების შესრულებაში. ეს მოხდა დეკემბრის შუა რიცხვებში. მაშინვე გამოვხატეთ ჩვენი შეშფოთება, რადგან პარტიის არცერთი წევრი არ იყო საქმის კურსში. ისე ჰქონდა ყველაფერი შალვას შეფუთულ-შენიღბული.

**— ივანიშვილს შეხვდით?**

— არა, ბატონ ბიძინას არა, თუმცა სხვა ოპოზიციურ ჯგუფებს ვხვდებით, კონსულტაციების რეჟიმში. ყველასთან ვითანამშრომლებთ, ოღონდ არავის დაკვეთებს შევასრულებთ.

**— ნათელაშვილი ამბობს, რომ პირიქით, თქვენ ხართ ივანიშვილის მიერ გადაბირებულ-მოსყიდულები.**

— ნაძირალა უნდა იყო, ასე რომ აბრალო აქეთ. შუბლის ძარღვი ხომ უნდა გქონდეს, შე ნაძირალა? პარტიაში არანაირი თანხა არ შემოდიოდა. თუ შემოდიოდა, ალბათ მაგის ჯიბეში ჩადიოდა. იქ დარჩენილი ადამიანები აზრზე არ არიან, ეგ რა ფინანსურ მაქინაციებს და დაკვეთებს ასრულებდა. ცოტა ჭკვიანად იყოს, როცა ჩვენზე აკეთებს განცხადებებს. კიდევ შევაგროვებთ მასალებს. ყველა რეჟიმის მარიონეტი რომ იყო და აძლიერებდა მათ, ხალხს ატყუებდა... ამისთვის პასუხი უნდა აგოს. მიშას დაკვეთა იყო ასეთი: არჩევნებამდეც, მაშინდელი ოპოზიციისთვის უნდა გადაევლო შალვას. ახლა სხვა ოპოზიციას უნდა გადაუაროს, რომ „ნაციონალებმა“ თავი დაიმკვიდრონ. „ნაცმოძრაობას“ ხალხი ვერ აღიქვამს რეალურ ოპოზიციად და მას აწყობს, რომ უძალლო ქვეყანაში კატებმა იყეფონ. ნათელაშვილს სხვა ოპოზიციონერებისთვის უნდა მიეცხო ლაქა, რომ „ნაცმოძრაობა“ გამოჩენილიყო ერთადერთ ჭეშმარიტ ოპოზიციად. იქიდან წამოსულ ბიჭებზე ნურაფერს ამბობს. ცოტა ჭკვიანად მოიქცეს შალვა, ცოტა აზრზე მოვიდეს! ნუ „გვაწებებს“ ივანიშვილს. რა ივანიშვილი, ვინ გურამიშვილი... სიტყვები არ მყოფნის. ნათელაშვისნაირების ბრალია, ნამდვილი ოპოზიცია რომ არაა ქვეყანაში.

**— თქვენ შალვა ნათელაშვილს, ჩემთან საუბრისას, „ნაძირალა“ უწოდეთ...**

— დიახ, პოლიტიკური ნაძირალა. პოლიტიკურ ასპექტს ვგულისხმობ. ისეთ ადამიანებს, რომლებიც ასე იქცევიან. პოლიტიკოსი, ვინც უნდა იყოს ის, თუ მსგავს ქმედებებს სჩადის, პოლიტიკური ნაძირალაა.

ოპოზიცია

# ვანო მერაბიშვილმა, 19 აპრილს ფართომასშტაბიანი „ნაციონალური“ მიტინგი დააანონსა



რუსუდან შელია
პოლიტიკა



ნაციონალური მოძრაობის გენერალურმა მდივანმა, ვანო მერაბიშვილმა, პარტიის ოფისში, საგანგებოდ დანიშნულ ბრიფინგზე, აქცია სახელწოდებით — „საქართველოს პატრიოტებს“ ¬დააანონსა. მიუხედავად იმისა, რომ მიტინგამდე 50 დღე დარჩა, უკვე ცნობილია ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების შეკრების ადგილიც — რუსთაველის გამზირი, ძველი პარლამენტის წინ. **„საქართველოს არჩევანის გაკეთება ხშირად უწევს და დღესაც არჩევანის წინაშე დგას. ხელისუფლების ბუნდოვანი პოზიცია საგარეო კურსთან დაკავშირებით გვაძლევს საფუძველს, კიდევ ერთხელ შევიკრიბოთ და ვუთხრათ მათ, რომ ჩვენი მომავალი მხოლოდ ევროპაა. ნაციონალური მოძრაობა გამოვდივართ ინიციატივით, 19 აპრილს, 16:00 საათზე, რუსთაველის გამზირზე მრავალრიცხოვანი მიტინგი ჩატარდეს, სადაც საქართველოს ყველა პატრიოტს ვიწვევ, რათა დღევანდელ მთავრობას დავანახოთ, რომ ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალი სულ ერთი არ არის, ამასთან, საქართველო ძველ დროში არ უნდა დაბრუნდეს, როცა დემოკრატია და თავისუფლება არ იყო. გვინდა, ჩვენ შვილებს გარანტირებული მომავალი ჰქონდეს, და ქართველი ერი მონობაში არ ცხოვრობდეს, საქართველო არ იყოს მონობაში. ნაციონალური მოძრაობის ლიდერები თბილისის ყველა უბანსა და რეგიონებს მოვივლით და მოსახლეობასაც შევხვდებით. ჩვენ ვაჩვენებთ ხელისუფლებას, რომ ხალხის ნება ურყევია და რომ საქართველოს მომავალი დასავლეთისკენ და არა რუსეთისკენ სწრაფვაშია“,** — ასე განმარტა ვანო მერაბიშვილმა მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას აპრილის აქციის პათოსი, თუმცა დამატებითი შეკითხვებისგან თავის ასარიდებლად, პარტიის „წითელი დარბაზი“ სწრაფი ნაბიჯებით დატოვა.

რატომ დაინიშნა აქცია აპრილში, პარლამენტში კონსტიტუციური ცვლილებების განხილვის ფონზე, არჩევნებიდან ზუსტად ექვსი თვისთავზე და დაიწყო თუ არა ნაციონალურმა მოძრაობამ ოპერაცია „აპრილად“ შერაცხული რევანშისტული გეგმის განხორციელება, არავინ იცის, თუმცა ფაქტია — პრემიერის ეჭვი ოპოზიციის გეგმებთან დაკავშირებით, ვანო მერაბიშვილის განცხადებამ კიდევ უფრო გაამყარა და მოლოდინიც, არჩევნებიდან ექვსი თვის შემდეგ მთავრობის დათხოვნის შესახებ, რომლის უფლება პრეზიდენტს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული, გამძაფრდა.

ვერსიანიუსი

## დავით უსუფაშვილი აპარატის თანამშრომლების პარლამენტში მისვლის გაკონტროლების აუცილებლობაზე საუბრობს



ეს საკითხი უსუფაშვილმა ბიუროს სხდომაზე დასვა. მისი განმარტებით, ირკვევა, რომ ერთი და იმავე რანგისა და ხელფასის მქონე აპარატის თანამშრომელთა ნაწილისთვის პარლამენტში არყოფნა გაცდენად ითვლება, ნაწილი კი, პარლამენტში მთელი ერთი კვირის განმავლობაში შეიძლება არ გამოჩნდეს და მას ეს გაცდენად არ ჩაეთვალოს.

პარლამენტის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომაზე კომიტეტის ხელმძღვანელებს განუცხადა, რომ „ეს საქმე მისახედია“. მისი თქმით, პარლამენტის შენობაში დამონტაჟებულია ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც, თითოეულის შესვლისა და გასვლის თარიღი და დრო დაფიქსირდება. კვირის ბოლოს, სისტემიდან ამონაწერი კომიტეტების ხელმძღვანელებს გადაეცემათ და მათ უნდა გადაწყვიტონ, უნდა ყოფილიყო თუ არა ესა თუ ის თანამშრომელი სამუშაო საათებში პარლამენტის შენობაში.

**„უნდა მივიღოთ არა უაპელაციო, არამედ არგუმენტირებული პასუხი აპარატის თანამშრომლის სხვაგან ყოფნის საჭიროების შესახებ, ხოლო თუ აღმოჩნდება, რომ მუდმივად სხვაგან არიან საჭირო, მაშინ სხვაგან დავასაქმოთ“,** – აღნიშნა უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ისიც დააზუსტა, რომ მსგავსი კონტროლი საპარლამენტო ფრაქციებისა და უმრავლესობა-უმცირესობის აპარატების თანამშრომლებს არ შეეხება, რადგან ისინი სხვა რეჟიმში მუშაობენ.

გარდა ამისა, დავით უსუფაშვილი ე.წ. გასვლითი საკომიტეტო სხდომების სადღეისოდ დანერგილ პრაქტიკასაც აკრიტიკებს და მოითხოვს, სხდომები ასეთი სახით დასაბუთებულად და ბიუროს გადაწყვეტილებით ჩატარდეს.

## „ნაცმოძრაობა“ პარლამენტს 23 თებერვლის კავკასიელი ხალხების სოლიდარობის დღედ გამოცხადებას სთავაზობს



აღნიშნული ინიციატივა „ნაცმოძრაობის“ მიერ პარლამენტისთვის შეთავაზებული განცხადების პროექტშია წარმოდგენილი, რომელიც 1944 წლის 23 თებერვალს ჩეჩენი და ინგუში ხალხების დეპორტაციას ეხება. განცხადების პროექტის ავტორები დეპუტატები სერგო რატიანი და ნუგზარ წიკლაური არიან.

პროექტში აღნიშნულია, რომ 1944 წლის 23 თებერვალს განხორციელდა საქართველოს მოძმე ერების — ინგუშებისა და ჩეჩნების დეპორტაცია სამშობლოდან შუა აზიის რესპუბლიკებში, ჩრდილოეთ კავკასიიდან გაასახლეს ნახევარ მილიონამდე ჩეჩენი და ინგუში... ამას თან ახლდა ადამიანების ინდივიდუალური და მასობრივი მკვლელობები, მონური შრომა საკონცენტრაციო ბანაკებში, ფიზიკური ტერორის სხვა ფორმები, შიმშილი და ეპიდემიები, რამაც უამრავი უდანაშაულო ადამიანი, მათ შორის ქალები, ბავშვები და მოხუცები შეიწირა.

პროექტში აღნიშნულია, რომ საქართველო სრულად იზიარებს ინგუში და ჩეჩენი ერების ტრაგედიას და პატივს მიაგებს საბჭოთა ტოტალური რეჟიმის მიერ რეპრესირებულ ადამიანთა ხსოვნას. განცხადების პროექტში ნათქვამია, რომ საბჭოთა რეპრესიები არის ის საერთო ტრაგედია, რაც საქართველომ კავკასიის სხვა რეგიონებთან ერთად გამოიარა და აღნიშნულია, რომ პარლამენტი ისურვებდა, ასეთი რამ კავკასიაში აღარ განმეორდეს: **„ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ტოტალური კომუნისტური რეჟიმების მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულები, ნაცისტური გერმანიის დანაშაულისგან განსხვავებით, ჯერ კიდევ არაა ჯეროვნად შეფასებული. დარწმუნებულნი ვართ, ისტორიის ზუსტი და ადეკვატური შეფასება, საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდების ინფორმირება იქნება საფუძველი, რათა მომავალში მსგავსი დანაშაულები აღარ განმეორდეს. კიდევ ერთხელ გვსურს, გამოვხატოთ ღრმა მწუხარება ინგუში და ჩეჩენი ერების ტრაგედიის მიმართ და, სამომავლოდ, ვისურვოთ, ჩვენი ერების ერთიან მშვიდობიან და განვითარებულ კავკასიაში ცხოვრება“.**

*„ინტერპრესნიუსი“*



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

# „ვერსიის“ ექსკლუზივი

## იმ 109 ადამიანის სია, რომელიც პოლიტპატიმრისა და პოლიტდევნილის სტატუსს ითხოვს!



## პოლიტპატიმრებს პოლიტპატიმრები აღარ ერქმევათ?!

**„ვერსიას“ ხელთ პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების მეორე, სრული სია ჩაუვარდა, რომელზე მუშაობაც, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტს პოლიტნიშნით დაკავებულთა გათავისუფლების პირველივე ტალღის მერე აქვს დაწყებული. საქმე იმ 109 ადამიანს ეხება, ვინც კომიტეტში განაცხადის შეტანა ჯერ კიდევ 2012 წელს მოასწრო და როგორც კომიტეტის მესვეურები ამბობენ, დღეს თავადაც არ იციან, მიიღებენ თუ არა პოლიტიკურად დევნილის ან პოლიტპატიმრის სტატუსს. ეს სია აქამდე არ გასაჯაროებულა და მის შესახებ ჯერ პარლამენტის მხოლოდ ერთი კომიტეტისთვისაა ცნობილი — სიაში შესულ გვარებზე ჯერ არაფერი იცის არასამთავრობო ორგანიზაციებით დაკომპლექტებულმა იმ კომისიამაც, რომელმაც წინა სია მოამზადა და რომლის შემადგენლობა წელს აუცილებლად შეიცვლება. ასე რომ, „ვერსია“ იმ ადამიანების სრულ ჩამონათვალს გთავაზობთ, ვისაც თავი რეჟიმის მსხვერპლად მიაჩნია და ცოტა ხანში, შესაძლოა, ციხის გარეთ და/ან ქვეყანაში ჩამოსულიც ვიხილოთ.**

*1. სვანიძე დავით 2. გორდელაძე ბებურ 3. მამალაძე ლევან 4. მამალაძე რამაზ 5. ავალიანი ზურაბ 6. კონცელიძე გურამ 7. ბელთაძე ალეკო 8. სიხარულიძე დავით 9. ქორიძე ირაკლი 10. ღვამბერია ბესიკ 11. ნიკოლაიშვილი მამუკა 12. მუმლაძე ნიკოლოზ 13. ჯინჯოლავა გულნარა 14. ცხადაია თორნიკე 15. ქანთარია თამაზ 16. ალანია გიორგი 17. გორგაძე აკაკი 18. კოტიაშვილი რევაზი 19. ორველაშვილი გიორგი 20. ჩაჩიბაია ჯიმშერ 21. სილაგაძე ალექსანდრე 22. კერესელიძე ირაკლი 23. შირინიანი გურგენ 24. ქიძინიძე ლევან 25. ძასოხოვი გოჩა. 26. გოგია ომარ 27. მარტინენკო გიორგი 28. დუმბაძე ლევან 29. ჭიჭინაძე ლაშა 30. მიქელაძე კახა 31. ბობოხიძე გიორგი 32. ჯიბუტი მერაბ. 33. მღებრიშვილი ჯონი 34. გაბელია ვალერ 35. ვაშაკიძე გიორგი 36. მამნიაშვილი შოთა 37. კერესელიძე გიორგი 38. ქარჩავა მერაბ 39. შავაძე ოთარ 40. ჯავახიშვილი ვასილ 41. ალავიძე გია 42. ნემსიწვერიძე ვალერიან 43. მარგიანი ბესიკ 44. ბლუაშვილი პაატა 45. აბულაძე ნოდარ 46. კურცხალაძე ჯიმშერ 47. ორმოცაძე დალი 48. ჩხარტიშვილი ივანე 49. გამცემლიძე მალხაზ 50. მარჩუკი იური 51. ქარელი კახაბერ 52. გასვიანი თორნიკე 53. ქანდაურაშვილი პაატა. 54. ბერძული ზურაბ 55. გოგიტიძე სერგო 56. ბოლქვაძე როსტომ 57. ნანავა ვახტანგი 58. ბენიძე არჩილ 59. ქიტიაშვილი გია 60. მიროტაძე ლევან 61. დუმბაძე გივი 62. გორგოძე გელა 63. ხარბედია გოჩა 64. გვარიშვილი ჯემალ 65. ხორგუანი ზვიად 66. სახვაძე რევაზ 67. ზურაბაშვილი გივი 68. ლორთქიფანიძე ნარგიზ 69. პატარქალიშვილი ვასილ 70. გვარიძიშვილი გიორგი 71. ჭანტურია პაატა 72. ჯაყელი სერგო 73. ელიაშვილი იური 74. ლევან გოლაშვილი. 75. ჩიხლაძე მალხაზ 76. დუაძე ჯემალ 77. გადელია ზაზა 78. საღირაშვილი ვაჟა 79. კალანდია თენგიზ 80. კალაძე რობიზონ 81. ვიალოვი მიხეილ 82. შენგელია თეიმურაზ 83. კელენჯერიძე გოჩა 84. შავიშვილი ვაჟა 85. გვეტაძე ნანა 86. ბარბაქაძე სულეიმან 87. კვიციანი ემზარ 88. შამათავა ჯემალ 89. ხახუტაშვილი ჯემალ 90. მარტიაშვილი დავით 91. გოცირიძე ალექსანდრე 92. მარტინი დავით 93. ფარტენაძე მერაბ 94. ჯანდიერი იოსებ 95. ჩოგოვაძე ლევან 96. ვასაძე დავით 97. ჩადუნელი ენვერ 98. ცქიტიშვილი ნიკოლოზ 99. ქაშიაშვილი მამუკა 100. ბობოხიძე შალვა 101. მანანა გვენცაძე 102. აბაშიძე ირაკლი. 103. ორჰან აქსუ 105. სანაძე ვლადიმერ 106. ძაძუა მანუჩარ 107. დევნოზაშვილი საბა 108. დოკვაძე ირაკლი 109. მახარაძე ალეკო.*

მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან ორაზროვანი დაპირებისა, რომ სიაში, მაგალითად, ლევან მამალაძეს ვერ ვიხილავდით, ასე არ მოხდა. მეტიც, მასთან ერთად, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი სხვა გვარებიცაა — რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენი გოჩა ძასოხოვი, გამსახურდიას თანამებრძოლი გოჩა კელენჯერიძე, ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი, კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი, გულუას პარტიის ერთ-ერთი წევრი ვალერი გაბელია!

თუმცა „ვერსიამ“ ე.წ. მეორე სიის შესახებ კიდევ ერთი ექსკლუზიური ინფორმაცია მოიპოვა. იმის გამო, რომ პარლამენტის ანუ არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ, სასამართლოს გარეშე, ციხის კარის გაღება და 200 პატიმრის გამოშვება საერთაშორისო საზოგადოებისა და ძველი ხელისუფლების მიერ მძიმედ შეფასდა, კომიტეტმა „იმავე მდინარეში მეორედ შესვლა“ გადაიფიქრა და აცხადებს, რომ ახალ სიას სიის სახით აღარ განიხილავს.

**გედევან ფოფხაძე, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:** „პოლიტპატიმრების ახალი სია აღარ გაკეთდება — ეს ერთხელ უკვე იყო და მეორედ იმავე მდინარეში აღარ შევალთ! პარლამენტმა ერთხელ უკვე გაათავისუფლა ის ხალხი, ვინც პოლიტიკურ პატიმრად ჩათვალა. ვისზეც კითხვის ნიშანი დარჩა, ყველა შემთხვევას პერსონალურად განვიხილავთ, მაგრამ მათი ციხიდან გამოშვება, პარლამენტის დადგენილებით, აღარ მოხდება. ეს ტრადიციად არ უნდა იქცეს. ახლა ჩვენ გავამზადებთ რეკომენდაციებს სასამართლოსა და პროკურატურისთვის, მაგრამ არ შეიძლება, პარლამენტის აქტები ციხიდან გამოშვების მექანიზმად დაკანონდეს... ჯერ კომიტეტში ამ განცხადებების განხილვის სამართლებრივი ფორმა არაა ჩამოყალიბებული და გაწერილი. გადაწყვეტილების ზუსტი ფორმაც არ ვიცით, მაგრამ ვიცი ის, რომ პოლიტპატიმრების ახალი სია აღარ იქნება! სავარაუდოდ, შეჯერებულ გადაწყვეტილებას კომიტეტიც დაეთანხმება და პიროვნებებს ვცნობთ რაღაცად, მაგრამ რად, არ ვიცი. ალბათ, უფრო უკანონო პატიმრად, მაგრამ არა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად!“

> **„არ შეიძლება, პარლამენტის აქტები ციხიდან გამოშვების მექანიზმად დაკანონდეს... პიროვნებებს ვცნობთ რაღაცად, მაგრამ რად, არ ვიცი. ალბათ, უფრო უკანონო პატიმრად, მაგრამ არა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად“**

**რატომ დაიხია უკან პარლამენტმა და მოხსნა სტატუსი „პოლიტიკური“, როდის და რა კონკრეტული მექანიზმით განიხილავს სიას საპარლამენტო კომიტეტი — ამის შესახებ „ვერსია“ კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას ესაუბრა:** „პატიმრების პირდაპირ საპყრობილედან გათავისუფლება პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მიგვეღო. ყველას ახსოვს, როგორ გარდაიცვალა ერთ-ერთი პოლიტპატიმარი ციხიდან გამოსვლის მეორე დღესვე ანუ არავინ იცის, ვინ გადარჩებოდა და ვინ არა, ის ხალხი ციხეში დიდხანს რომ დაგვეტოვებინა, ამიტომ იმის ფუფუნება არ გვქონდა, პროცესი გაგვეჯანჯლებინა. შესაბამისად, ამ ხალხის პირდაპირ ციხიდან გათავისუფლება ჩვენი ერთჯერადი გადაწყვეტილება იყო. დღეს რა განცხადებებიცაა განსახილველად შემოსული, მათი ავტორების 99% არაპატიმრობაში მყოფი პირია, უმეტესობა ძებნილია! ამიტომ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც უახლოეს დღეებში შემოვა პარლამენტში. ეს არის ცვლილება, განაჩენის გადახედვის ახალი მექანიზმის შესახებ. მექანიზმი ორდონიანი იქნება, თუმცა ჯერ იგი პარლამენტში არ შემოსულა, ამიტომ დეტალებში ვერ შევდივარ. პირველი დონე იქნება ე.წ. ფილტრი, სადაც განიხილება ამ საჩივრების, ზოგადად, დასაშვებობა. ყველა საქმეზე ინდივიდუალური დასკვნა გვექნება და მხოლოდ ამის მერე გადავწყვეტთ, ესა თუ ის საქმე გამოძიებაში გავუშვათ თუ სასამართლოში. ამის მერე, კომისიის პირველი დონის შემადგენლობა საჩივრებს განსახილველად გადაგზავნის და შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელსაც პარლამენტი სასამართლოში გაუშვებს. რეალურად, ამ გვარებზე კომისია კი არა, მთელი კომიტეტი მუშაობს. ის ეტაპი ძველ კომისიაში დასრულდა და ახალი ეტაპი დაიწყო — ჩვენ ახლაც გვექნება კონსულტაციები არასამთავრობო სექტორთან, ამ პროცესში ჩართულნი იქნებიან „ნაციონალებიც“, რადგან სიაზე მთელი კომიტეტი მუშაობს. კომიტეტთან იმუშავებს მუდმივმოქმედ უფლებადამცველთა საბჭო, რომელსაც ხელახლა ავირჩევთ. მასთან კონსულტაციებიც გვექნება, მაგრამ გადაწყვეტილებებს კომიტეტი და შემდეგ, პარლამენტი მიიღებს“.

მართალია, კულუარების დონეზე, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი ხდება ისიც, რომ ნანა კაკაბაძე და სხვა ჰიპერაქტიური უფლებადამცველები არათუ გადაწყვეტილების მიმღებნი არ იქნებიან, არამედ იმ მუშა კომისიაც ველარ დააკომპლექტებენ. მომზადებული კანონპროექტი, რომელიც პარლამენტში ჯერ არ შესულა, დღის სინათლეს მიმდინარე კვირის ბოლომდე ვერ იხილავს!

## ვერსიანიუსი

### გია ხუროშვილი ხელისუფლებას შერიგების აქტის მიღებას ურჩევს



არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლებრივი გამჭვირვალობის“ ხელმძღვანელი გია ხუროშვილი ხელისუფლებას არა საჯარო მოხელეთა ამნისტიის, არამედ შერიგების აქტის მიღებას ურჩევს.

მისი თქმით, 2004 წელს ნაციონალურმა მოძრაობამ შეცდომა დაუშვა, როდესაც მასობრივი ამნისტია არ გამოაცხადა და ეკონომიკური და ფინანსური დანაშაულის ამნისტიის კანონის მოქმედების არეალი უკიდურესად დაავიწროვა.

ხუროშვილი მიიჩნევს, რომ დღეს იგივე პროცესები მიმდინარეობს და საზოგადოება შურისძიების წრეზე ტრიალებს.

როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი აცხადებს, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების „ქართულ ოცნებაში“ გადასვლა ინდულგენციების მიღების საშუალებად იქცა: **„როდესაც ხელისუფლება იცვლება, ყოველთვის დგება დღის წესრიგში ცალკეული საკითხების არსებითი განხილვა, მათ შორის ჩადენილი შეცდომების თუ დანაშაულის გამოვლენის საკითხი, მაგრამ ეს პროცესი უნდა მოხდეს კანონის ფარგლებში და არ უნდა დავუშვათ, რომ ნაბან წყალს ბავშვი გადავაყოლოთ. ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში პატიოსნად მუშაობდნენ და ამ ქვეყნის განვითარებას ემსახურებოდნენ, არ უნდა დადგნენ დიდი რისკის ქვეშ. კოჰაბიტაციის პროცესი არ შედგა და ის გადაიზარდა ისეთ მახინჯ ფორმაში, როგორიცაა პოლიტიკური ინდულგენციების გაცემა. თუ იყავი ნაციონალური მოძრაობის წევრი და იყავი კრიმინალი, დღეს შეიცვლი მრწამსს, გადახვალ „ქართულ ოცნებაში“ და შენ აღარ იქნები კრიმინალი. ეს არის საზოგადოების გარყვნა. ყველა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელმა კეთილი ინებოს და პასუხი აგოს ამომრჩევლის წინაშე თავის წარსულზე – მის მიერ გაკეთებული კარგი საქმეების და დანაშაულების გამოც“.**

ხუროშვილისვე თქმით, ვისაც მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე. იმ საჯარო მოხელეების მიმართ კი, რომლებიც მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებების აღმასრულებლები იყვნენ, შერიგების აქტი უნდა გამოცხადდეს.

*„პირველი“*

# დავით უსუფაშვილი: „მხოლოდ უშედეგო დიალოგით ვერ შემოვიფარგლებით“



**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, საპარლამენტო უმრავლესობასა და „ნაცმოძრაობას“ შორის საკონსტიტუციო ცვლილებებზე მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, საგანგებო განცხადება გააკეთა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:**

„ბოლო 10 დღის განმავლობაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ერთი ნაწილი დახურულ კარსმიღმა მიმდინარეობდა და საზოგადოებას ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი მიეწოდებოდა. ეს აუცილებელი იყო ოპოზიციასთან მოლაპარაკებების პროცესის წარმატებისთვის. დღეისთვის, მოლაპარაკების პროცესში შექმნილი ვითარებიდან და საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესიდან გამომდინარე, აუცილებლად ვთვლი, გავაკეთო ეს განცხადება.

რამდენიმე დღის ინტენსიური მუშაობის შემდეგ, ოპოზიციასთან მიღწეული იქნა შეთანხმება კონსტიტუციური ცვლილებების ყველა საკითხზე, მაგრამ ამ შეთანხმების რეალიზაციაზე „ნაცმოძრაობამ“ უარი განაცხადა ბოლო მომენტში წამოჭრილ სხვა საკითხზე — საჯარო მოხელეთა ამნისტიის ფორმასა და შინაარსზე შეთანხმების ვერმიღწევის გამო.

მიუხედავად ამისა, მინდა, მადლობა გადავუხადო მოლაპარაკების პროცესში მონაწილე საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებს, რომლებიც სათანადო მონდომებითა და კეთილსინდისიერებით ეკიდებოდნენ საპასუხისმგებლო და მძიმე საქმეს. ამ ეტაპზე, მოლაპარაკებების სასურველი შედეგით ვერდასრულებაში, უშუალოდ, მათი წვლილი მინიმალურია. იმედს ვიტოვებ, რომ ახლო მომავალში უფრო პროდუქტიულად ვითანამშრომლებთ.

მოვლენები კი ასე განვითარდა:

რა შევთავაზეთ ნაციონალურ მოძრაობას (27 დეკემბერი):

• კონსტიტუციიდან იმ ნორმის ამოღება, რომლითაც პრეზიდენტს შეუძლია მთავრობის ერთპიროვნულად შექმნა პარლამენტის თანხმობის გარეშე.

რა შემოგვთავაზეს და რაზე დავთანხმდით (15 თებერვალი);

• შეთანხმებული კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ ნებისმიერი სხვა კონსტიტუციური ცვლილებისათვის საჭირო კვორუმის გაზრდა 2/3-დან 3/4-მდე;

• საგარეო პოლიტიკური საკითხების კონსტიტუციაში ჩაწერა იმ სახით და იმ ფორმით, რასაც თავად შემოგვთავაზებდნენ;

• პარლამენტის ადგილსამყოფლის თაობაზე ინიცირებული კონსტიტუციური ცვლილებისთვის კენჭისყრის გადადება წლის ბოლომდე;

• კონსტიტუციის 2010 წლის მოდელის მხოლოდ ნაწილის ამოქმედება ისე, რომ პრეზიდენტს ვადის ამოწურვამდე დარჩენოდა გუბერნატორების დანიშვნის უფლება, პრეზიდენტის ვეტო-ს დასაძლევად კვლავ კვალიფიციური უმრავლესობა ყოფილიყო საჭირო, პრეზიდენტის იმპიჩმენტის გართულებული პროცედურები დარჩენილიყო უცვლელად და სხვა;

რა დამატებითი წინაპირობა წამოაყენეს (16 თებერვალი):

• უპირობო და სრული ამნისტია ყველა საჯარო მოხელისათვის (პრეზიდენტიდან მუნიციპალიტეტის რიგით თანამშრომლამდე) 2012 წლის 1 ნოემბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, გარდა ძალადობრივი, კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული და სხვა მსგავსი მძიმე დანაშაულებებისა.

რაზე განვაცხადეთ თანხმობა (17 თებერვალი):

• უპირობო და სრული ამნისტია საშუალო და ქვედა რგოლის საჯარო მოხელეებისთვის 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის, გარდა ძალადობრივი, კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული და სხვა მსგავსი მძიმე დანაშაულებებისა;

• ნაწილობრივი ამნისტია მაღალი რანგის თანამდებობის პირებისთვის, რომლის მიხედვითაც ისინი გათავისუფლდებოდნენ სისხლის სამართლებრივი სასჯელისგან დანაშაულის აღიარებისა და 5 წლამდე ვადით საჯარო სამსახურში ყოფნის აკრძალვის პირობით (პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, მინისტრები და მათი მოადგილეები, სამინისტროების მსხვილი სტრუქტურების ხელმძღვანელები, გუბერნატორები, გამგებლები, მათი მოადგილეები, იუსტიციის საბჭოს და სხვა მსგავსი ცენტრალური სტრუქტურების წევრები, საკრებულოების თანამდებობის პირები, მოსამართლეები, პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირები და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კანონით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირები).

რა იყო მათი საბოლოო წინადადება (18 თებერვალი):

• სრული და უპირობო ამნისტია ყველასთვის, გარდა პრეზიდენტისა, მინისტრებისა და პარლამენტის წევრებისა, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის, გარდა ძალადობრივი, კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული და სხვა მსგავსი მძიმე დანაშაულებებისა;

• ამნისტიის საკითხზე შეთანხმებამდე კონსტიტუციის საკითხებზე შეთანხმების რეალიზების შეუძლებლობა;

რა არის ჩვენი პასუხი (20 თებერვალი):

1. ნაციონალური მოძრაობის პოზიციის მიუხედავად ჩვენ მოვამზადებთ და 2 კვირის ვადაში პარლამენტში წარვადგენთ კანონპროექტს საჯარო მოხელეთა ამნისტიის შესახებ იმ პრინციპების საფუძველზე, რაც შევთავაზეთ 17 თებერვალს;

2. პრეზიდენტის მიერ მთავრობის ერთპიროვნულად შექმნის აკრძალვის თაობაზე საკონსტიტუციო ცვლილებებს კენჭს ვუყრით საჭიროების მიხედვით, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე;

3. პარლამენტის ადგილსამყოფელის თაობაზე კონსტიტუციურ ცვლილებებს კენჭისყრაზე არ დავსვამთ საგაზაფხულო სესიის ბოლომდე.

4. გავაგრძელებთ საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების თაობაზე ინტერფრაქციული შეთანხმების მიღწევის მცდელობას, მაგრამ 15 მარტამდე ყველა შემთხვევაში კენჭს ვუყრით პარლამენტის რეზოლუციას ამ თემაზე;

5. შევქმნით სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას კონსტიტუციური რეფორმის მოსამზადებლად, მათ შორის, ქვეყნის ევროპული არჩევანის კონსტიტუციაში ასახვის მოდელების შესამუშავებლად. კომისიაში შევლენ კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ექსპერტები;

6. საარჩევნო კანონმდებლობისა და ინფრასტრუქტურის დახვეწის მიზნით შექმნილი ინტერფრაქციული ჯგუფი სრული დატვირთვით შეუდგება მუშაობას 1 მარტიდან. ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობისთვის მოვიწვევთ არსაპარლამენტო ოპოზიციის, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს;

7. შევიმუშავებთ და საზოგადოებას 1 მარტამდე გავაცნობთ ღონისძიებათა კომპლექსურ გეგმას, რომლის მიზანი იქნება:

* საზოგადოებრივი წესრიგის უმკაცრესი დაცვა პრეზიდენტისა და ოპოზიციის სხვა წარმომადგენლების მონაწილეობით გამართულ ღონისძიებებზე;

* სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირების კონსტიტუციური და საპროცესო უფლებების განუხრელი დაცვა და მათთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა;

* ადგილობრივ თვითმმართველობებისა და სხვა საჯარო დაწესებულებების მოხელეების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების განუხრელი დაცვა;

* საერთაშორისო საზოგადოების სრულყოფილი და დროული ინფორმირება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის, დანაშაულის ჩადენაში მხილებული ყოფილი თუ მოქმედი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე.

ამრიგად, ჩვენ არ ვწყვეტთ დიალოგს ოპოზიციასთან, მაგრამ ვერც მხოლოდ უშედეგო დიალოგით შემოვიფარგლებით. უსაფუძვლო ჭირვეულობითა და ახალ-ახალი პირობების დაყენებით დროის გაყვანა ოპოზიციის ფუფუნებაა. ხელისუფლება კი ვალდებულია პირველ რიგში საქმე აკეთოს და თან დიალოგისთვისაც მზად იყოს.

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი საქმიანობის ზემოთ მოყვანილი გეგმა, ერთი მხრივ, ეხმიანება მოლაპარაკების პროცესში წამოჭრილ ყველა საკითხს და, მეორე მხრივ, მისი განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება მოლაპარაკების გაგრძელება და ფართო პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა თუ ოპოზიციას ამის სურვილი და უნარი აღმოაჩნდება.

რაც შეეხება ჩვენი საკონსტიტუციო ინიციატივის მთავარ ამოცანას, იგი მიღწეულია — პრეზიდენტის ხელში არსებული დესტაბილიზაციის იარაღი მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა და, საჭიროების შემთხვევაში, მხოლოდ ქართველ ხალხს არ მოუხდება მისი განიარაღება“.

*„ინტერპრესნიუსი“*



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**„ოცნება-ნაციონალების“ ჩავარდნილ მოლაპარაკებას, ამ მოლაპარაკების დაკმაყოფილებულ, უარყოფილ და გაუხმაურებელ პუნქტებსა და საპრეზიდენტო ინსტიტუტის შესახებ „ოცნების“ შიგნით მიღებულ გადაწყვეტილებას „ვერსიისთვის“ კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი აფასებს, რომლის მიერ შემუშავებული საკონსტიტუციო ცვლილებები „ოცნებამ“ 2013 წლის ოქტომბერში უნდა აამოქმედოს.**

# „ეს მოლაპარაკების ცენტრალური თემაა, რაც არ გაუჟღერებიათ!“



## ავთანდილ დემეტრაშვილმა „ვერსიას“ ის პუნქტები გაუმხილა, რომლებსაც უსუფაშვილი-ბაქრაძე არ ახმაურებენ

— ჯერჯერობით, არ მინდა, ამ ვითარებას კრიზისი დავარქვა, მაგრამ ერთი მხარე თავის გადარჩენას ცდილობს, მეორე — შესაძლო გადაყენება-გადმოყენებების თავიდან აცილებას. ორივე ძალამ დაადასტურა, რომ კონსტიტუციურ ცვლილებებზე თითქმის შეთანხმდნენ, ოღონდ საუბარი პრეზიდენტის უფლებამოსილების შესუსტების მხოლოდ ერთ ნორმაზე არ ჰქონიათ. ის, რომ პრეზიდენტს აღარ ექნება უფლება, თავისი მთავრობა დანიშნოს, არაფერს ნიშნავს. სააკაშვილს კიდევ უამრავი ბერკეტი გააჩნია, თუ კრიზისს გამოწვევა უნდა, კიდეც გამოიწვიოს — მაგალითად, მთელი მთავრობის გადაყენება, მხოლოდ ძალოვანი მინისტრების გადაყენება, ეროვნული უშიშროების საბჭოს ამოქმედება, რომლის თავმჯდომარე გიგა ბოკერიაა, წევრი კი ბიძინა ივანიშვილი, საგარეო საქმეთა, ფინანსთა, ძალოვანი მინისტრები — ეს სააკაშვილის სათათბირო ორგანოა და პრეზიდენტმა რომ თქვას, ხვალვე უნდა შეიკრიბოს უშიშროების საბჭოო, ეს, რა თქმა უნდა, უმტკივნეულოდ არ ჩაივლის. დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილი სხდომაზე, უბრალოდ, არ მივა და ეს დამატებით დაძაბულობას გამოიწვევს.

**— თუმცა ეს არაა კონსტიტუციური შეთანხმება, რადგან კონსტიტუციაში მსგავსი ჩანაწერი არ გაკეთდება, ყველა სხვა ტიპის დოკუმენტს კი სამართლებრივი ძალა მაინც არ გააჩნია!**

— „ნაციონალები“ სხვას ისედაც არაფერს ითხოვენ, ქვეყნის ძირითადი მიმართულების ღიად დაფიქსირება სურთ. ამას ორი სახით ვხედავ — კურსი დაფიქსირდეს პრეამბულაში, როგორც სურვილი (პრეამბულის შესრულება არასავალდებულოა), ან ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ შემუშავებულ ცალკე დოკუმენტში, რაც პარლამენტმა რეზოლუციად უნდა მიიღოს. ორივე მათგანს პოლიტიკური დატვირთვა აქვს და არა — სამართლებრივი. აი, თუ ეს მუხლი კონსტიტუციაში ჩაიწერა, მისი დარღვევა უკვე სახელმწიფოს ღალატის ტოლფასი იქნება, რაზეც პასუხისმგებლობა, ალბათ, მთავრობას დაეკისრება.

**— იმ შემთხვევაში რა იქნება, თუ ორი მხარე, მაგალითად, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ქვეყნის მართვის სამომავლო მოდელზე ვერ ჩამოყალიბდა?**

**— ანუ ეს ორი მხარე კონსტიტუციურ ცვლილებებზე ბოლომდე რომც შეთანხმდეს, სააკაშვილი მაინც სიტუაციის მმართველად რჩება — მაშინ რატომ ენიჭება ამხელა მნიშვნელობა ამ შეთანხმებას?**

— სააკაშვილს რჩება ბერკეტები, მაგრამ „ოცნებას“ კონსტიტუციიდან მარტო 80-ე მუხლის პირველი პუნქტის ამოღება არ აკმაყოფილებს. საუბარია პრეზიდენტის მიერ მთავრობის გადაყენებაზე, მოწვევაზე, მის მიერ მიღებული აქტების გაუქმებაზე, რეფერენდუმის დანიშვნაზე და ა.შ. ანუ სააკაშვილი მნიშვნელოვან კომპრომისზე მიდის. ესპანეთის ისტორია გამახსენდა, როცა 30-იან წლებში, სამოქალაქო ომის მერე, „რესპუბლიკელებმა“ და „მონარქისტებმა“ თავიანთი მიცვალებულები ერთ საფლავში დამარხეს. ეს ცოტა შავი, მაგრამ მაინც კოჰაბიტაციის მაგალითი იყო და ტყუილად ვლანძღავთ ამ სიტყვას! გასათვალისწინებელია „ოცნების“ პოზიცია ერთ რამეზეც — როგორც ჩანს, ისინი ოპონენტებს კიდევ ერთ მოთხოვნას უკმაყოფილებენ, საგარეო კურსის დეკლარირების თაობაზე.

*დასასრული მე-5 გვერდზე*

# სს „ქართული ფოლადის“ დირექტორის განცხადება

დიდხნიანი იძულებითი შესვენების შემდეგ საშუალება მომეცა ისევ ს.ს. „ქართული ფოლადის“ სახელით ვისაუბრო. ეს სამართლიანობის აღდგენის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯია.

მივმართავ საზოგადოებას, დაინტრესებულ ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს: ჩემს გარდა, სხვა, ნებისმიერი პირის მიერ ს.ს. „ქართული ფილადის“ დირექტორის სახელით განხორციელებული ქმედება უკანონოა!

2011 წლის 6 ივლისიდან დღემდე ს.ს. „ქართული ფილადის“ მენეჯმენტის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებები დღეს სასამართლოს განხილვის საგანია. წინა ხელისუფლების ტოტალური და სამხედრო მხარდაჭერით მათ შეძლეს და ამ კომპანიის აქტივები შპს „რუსთავის ფოლადს“ გადასცეს.

გაცნობებთ ყველას: შპს „რუსთავის ფოლადი“ და მისი მესვეურები ძალის გამოყენებით, საბუთების ფალსიფიცირებით, სხვადასხვა მაქინაციური სქემებით დაეპატრონენ სხვის ქონებას და დღეს უკანონოდ ფლობენ სს „ქართული ფოლადისა“ და ს.ს. „თუჯი XXI“ის აქტივებს! ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიერ ამ განცხადების უგულვებელყოფა, მათთვისვე იქნება საზიანო, რადგან სამართლიანობის აღდგენის შემდეგ ჩვენ არ ვაპირებთ უკანონობის ჩამდენი ჯგუფის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას!

ს.ს. „ქართული ფოლადის“ მფლობელი და მენეჯმენტი, რთულ პირობებში შეუძლებელს ახერხებდა, წარმოება ერთი წუთით არ შეჩერებულა, ხელოვნურად შექმნილი ბარიერების მიუხედავად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ოცი წლის შემდეგ პირველი ფოლადი ჩამოისხა! წარმოება ვითარდებოდა და ახალი ტექნოლოგიები ინერგებოდა. უმთავრესი კი ხარისხი იყო, „ქართული ფოლადი“ ბრენდად იქცა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მსოფლიო მასშტაბით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აქაც სავალალო მდგომარეობაა შექმნილი: გადაუხდელი გადასახადები, რეკლამაციები, ჯარიმები, უკან დაბრუნებული პროდუქცია და შელახული ავტორიტეტი...

ამასაც ეშველება, დიდი ძალისხმევის შემდეგ ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგება, რადგან მე კარგად ვიცი, როგორი ადამიანები მუშაობენ ამ ქარხანაში.

მოგმართავთ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ყველა თანამშრომელს!

თითეული თქვენგანი კარგად მიცნობს, ერთად ბევრი რამ გამოვიარეთ და შეუძლებელი შევძელით! მადლობა თანადგომისათვის, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდი! გაუფრთხილდით ჩვენს საერთო მონაპოვარს, შეეცადეთ აღკვეთოთ ვანდალიზმის ნებისმიერი გამოვლინება, არავის დააზიანებინოთ და გააპარტახებინოთ ძველი და უნიკალური, რაც გადავარჩინეთ და ახალი — რაც ერთად შევქმენით. ჩვენ, ერთად, კიდევ ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ! რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, კვლავაც მეტალურგიული მრეწველობის ლიდერი იქნება კავკასიაში!

***სს ქართული ფოლადის დირექტორი***
***ნათია ჯაყელი***

# „ეს მოლაპარაკების ცენტრალური თემაა, რას არ გაუჟღერებიათ!“

მე-4 გვერდიდან

— ახლო მომავალში, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შეიქმნება, მიუხედავად იმისა, მხარეები შეთანხმდებიან თუ არა და ამას გარიგებას უწოდებენ თუ არა. კონსტიტუციის საბოლოო სახეც ის რედაქცია იქნება, რასაც კომისია შეიმუშავებს და ვიცი, კიდეც მიიღებს, რადგან ამ კომისიაში უმრავლესობა „ოცნებას“ ექნება. პრობლემას ვერც პარლამენტის მდებარეობაში ვხედავ, შესაძლოა, იგი ორ ქალაქში იყოს — ქუთაისში მხოლოდ პლენარული სხდომები ჩატარდეს, თბილისში კი საკომიტეტო მუშაობა გაიმართოს, მით უმეტეს, თუ ორპალატიან პარლამენტზე დაიწყეს საუბარი. თუ არადა, ამაზე ლაპარაკს მე დავიწყებ.

**— როგორც ჩანს, მაინც საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავდივართ და პრეზიდენტსაც არაპირდაპირი წესით ავირჩევთ. ამ მოდელისთვის მზად ვართ ან ეს პოლიტიკურ კრიზისს განმუხტავს?**

— ჯერ ერთი, მზად არ ვართ და მეორე — ქვეყანაში საპარლამენტო რესპუბლიკისთვის არახელსაყრელი ვითარებაა.

**მთავრობა და პარლამენტი კოალიციისაა, ადგილობრივი თვითმმართველობაც ხდება კოალიციის, თეა წულუკიანი ცდილობს, სასამართლოც „გააოცნებოს“, ამას პრეზიდენტსაც თუ მივუმატებთ, „ოცნებას“ შემაკავებელი და დამაბალანსებელი არავინ ეყოლება! ივანიშვილი ამბობს, კოალიციის შიგნით ვიქნებით ერთმანეთის ოპოზიციაო, მაგრამ კობა დავითაშვილის მაგალითზე ვნახეთ, რომ შიდაბალანსი არ იქნება! ამიტომ საპრეზიდენტო ინსტიტუტი დამოუკიდებელი უნდა იყოს, თუნდაც პრეზიდენტად „ოცნების“ წევრი, მაგალითად, ირაკლი ალასანია მოვიდეს, ოღონდ ორგანიზაციულად, მაინც დამოუკიდებელ ფიგურად დარჩეს.**

**— ფაქტია, ივანიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატი ალასანია არ იქნება და საეჭვოა, მომავალი პრეზიდენტი ივანიშვილს დამაბალანსებლად სჭირდებოდეს...**

— არც ის მინდა, დავიჯერო, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი ვახტანგ ხმალაძე იქნება. იგი 30 წელია, „რესპუბლიკელებთან“ ერთად, საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრეა. მე ვიცი ის, რომ

**„ოცნება“ თავის კონცეფციაში უკვე პრეზიდენტობის ზედა ზღვარს ადგენს და ქვედა ზღვარს ცვლის — ზედა ზღვარი 70 წელი, ქვედა კი — 40. ყოველ შემთხვევაში, კონცეფციაში ასე უწერიათ. რა ინფორმაციაც მაქვს და როგორც ივანიშვილის ფრთხილი გამონათქვამებიდან ჩანს, პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა 2013 წელს დარჩება!**

საერთოდ, კონსტიტუციის მოდელი 50-მა კი არა, 15-მა კაცმა უნდა შეიმუშაოს და მერე ეს პროექტი ხალხის მიერ არჩეულ დამფუძნებელ კრებას უნდა გადასცეს. უკეთესი ვარიანტია, პროექტი პარლამენტმა მიიღოს და მერე რეფერენდუმზე გავიდეს. რეფერენდუმი, ყველაზე მარტივ შემთხვევაში, საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად შეიძლება ჩატარდეს — ამით დროსაც დავზოგავთ, ფულსაც და ხალხის აზრსაც გავითვალისწინებთ. საბოლოო ჯამში, ყველა ინფორმაციის შეჯერებით, რაც მაქვს და ობიექტური რეალობის გათვალისწინებითაც, პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩევა. თუ ასე არ მოხდა და ამას კიდევ ვერტიკალური დანაწილება დაუმატეს, საზოგადოება ამ იდეაზე ნამდვილად არ წავა. კერძოდ,

**„ოცნებას“, ვახტანგ ხმალაძესა და საკონსტიტუციო კომისიას აქვთ მოსაზრება, რომ ქვეყანა მსხვილ ტერიტორიულ ერთეულებად დაიყოს. ამას ხმალაძემ ორდონიანი ადგილობრივი თვითმმართველობა დაარქვა.**

**— ამ მოლაპარაკების ფარული პუნქტი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე შეთანხმებაც ხომ არ ყოფილა და, ზოგადად, რამდენად ლოგიკურია ოქტომბერში ორი არჩევნები ერთად?**

— სააკაშვილი არანაირად არაა დაინტერესებული საპარლამენტო არჩევნების ჩატარებით და რომ იყოს, ამას აპრილშივე გააკეთებდა. გამოვრიცხავ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, აგრეთვე, სისულელეა მოარული ხმები ვადამდელი ადგილობრივი არჩევნების შესახებაც. ოქტომბერში მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, არჩევის პირდაპირი წესით!

თეონა მანაგაძე

**ხელისუფლებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის წარმოებული ათდღიანი კონსულტაციები უშედეგოდ დასრულდა. მხარეებმა საკონსტიტუციო ცვლილებებზე კონსესუს ვერ მიაღწიეს. მოლაპარაკებების ჩიხში შესვლის მიზეზებს, საკუთარი ინტერპრეტაციით, უმცირესობა და უმრავლესობა ახმოვანებს.**
**უმრავლესობის განმარტებით, კონსტიტუციური ცვლილებების ყველა საკითხზე შეთანხმება მიღწეული იყო, თუმცა, შეთანხმების რეალიზაციაზე ნაციონალურმა მოძრაობამ ბოლო მომენტში, წამოჭრილ სხვა საკითხზე — საჯარო მოხელეთა ამნისტიის ფორმასა და შინაარსზე შეთანხმების ვერმიღწევის გამო, უარი განაცხადა.**
**უმცირესობის მტკიცებით კი, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და ლიდერების დონეზე, იმუნიტეტს არავინ ითხოვს, თუმცა ნაციონალურ მოძრაობასთან რაიმე ფორმით დაკავშირებული პირების დაკითხვებზე ტარება უნდა შეწყდეს.**
**იმის გასარკვევად, მცდელობის მიუხედავად, რატომ დასრულდა მოლაპარაკებები შედეგის გარეშე, უმცირესობის ერთ-ერთ ლიდერს, კონსულტაციების პროცესში ჩართულ პავლე კუბლაშვილს დავუკავშირდით.**

# „მოწმეების დაკითხვა ბუნდოვან გარემოში მიმდინარეობს“



**— რატომ ვერ მიაღწიეთ კონსენსუსს?**

— საუბარი იყო არა მხოლოდ, კონსტიტუციაში ამა თუ იმ ნორმის შეცვლაზე, არამედ ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე. წარმოუდგენელია, კონსტიტუციურ რეგულაციებზე ვისაუბროთ და გვერდი კონსტიტუციური ნორმების მიღებას ავუაროთ. პარლამენტის წევრებზე, მათი ოჯახის წევრებზე, ნაციონალური მოძრაობის პარტიულ აქტივისტებსა და ჩვენს მხარდამჭერებზე ტოტალური ზეწოლა მიმდინარეობს, ათასობით ადამიანს დაკითხვაზე იბარებენ, ასევე ათასობით ადამიანს პროკურატურასა და ფინანსურ პოლიციასთან შეხება აქვს, რაც ნორმალური პროცესი არ არის და ამის გათვალისწინებით, რაიმე შედეგამდე ვერ მივედით. ერთი მხრივ, კონსტიტუციური ნორმების ცვლილება მნიშვნელოვანია, მაგრამ მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია ის გარემოც, სადაც კონსტიტუციური ცვლილებების მიღება უნდა მოხდეს. ბატონი უსუფაშვილი ძალიან ბევრს ეცადა, კონკრეტულ შედეგებამდე მივსულიყავით, მაგრამ ეს მცდელობა საკმარისი არ აღმოჩნდა. მან კი, ჩვენი მისამართით მცირედი საყვედური თქვა, ბოლო მომენტში, ნაციონალურმა მოძრაობამ საუბარი საყოველთაო ამნისტიაზე დაიწყოო.

**— საყოველთაო ამნისტია არ მოითხოვეთ. კონსტიტუციური ცვლილებების მხარდაჭერის სანაცვლოდ, რას ითხოვდით?**

— რამდენიმე საკითხს ვაყენებდით. კერძოდ, ვითხოვდით, საჯარო მოხელეების მიმართ რეპრესიული მანქანის შეჩერებას, რომელიც ბოლო პერიოდში გააქტიურდა. როცა კონსტიტუციურ ცვლილებებზე საუბარი დავიწყეთ, ეს საკითხი, თავად პარლამენტის თავმჯდომარემ წამოჭრა. როდესაც, საუბრობენ, რომ ნაციონალური მოძრაობა ყველას ყველაფრისგან გათავისუფლებას ითხოვდა, არ არის სწორი, რადგან ჩვენ არ გვითქვამს, რომ რაიმე სახით, ამნისტიას ძალადობრივ დანაშაულებზე ვითხოვდით, რომელსაც, შესაძლოა, ადგილი ცალკეულ შემთხვევებში ჰქონოდა. არც ერთი დანაშაული გამოუვლენელი და დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. ამას გარდა, საყოველთაობა იმას არ გულისხმობს, ყველაფერი შეხებოდა მინისტრებს, პოლიტიკური თანამდებობის პირებს, თბილისის არჩეულ მერს, უშიშროების საბჭოს მდივანს და ა.შ. ჩვენი მხრიდან, ეს საკითხი არ დასმულა. ჩვენი ბოლო შეთავაზება იმაში მდგომარეობდა, რომ ამნისტია არცერთ მაღალი თანამდებობის პირს არ უნდა შეხებოდა, მაგრამ მათ მიმართ სისხლის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, მოწმეების დაკითხვა სასამართლოში უნდა მომხდარიყო, რაც ლოგიკური პროცესია, რადგან მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მოწმეების დაკითხვა აბსოლუტურად ბუნდოვან გარემოში მიმდინარეობს.

**— „ბუნდოვან გარემოში“ რას გულისხმობთ?**

— ბუნდოვან გარემოს სიტყვა-სიტყვით არ ვგულისხმობ, არამედ იმას ვამბობ, რომ მოწმეებისგან ჩვენებების მიღება ზეწოლის ქვეშ ხდება.

**— თქვენ აპელირებთ ზეწოლაზე, შანტაჟსა და მუქარაზე. რატომ არ ასახელებთ კონკრეტულ ფაქტებსა და პირებს, რომელთაც თქვენს მხარდამჭერებზე ზეწოლა განახორციელეს?**

— როდესაც, ათასობით ადამიანი დაკითხვაზე მხოლოდ იმის გამოა დაბარებული, რომ ის ამა თუ იმ სამსახურში მუშაობდა, ან ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი იყო, ეს რა არის? ლიდერები ვაცხადებთ, რომ მზად ვართ, ნებისმიერი სახის პოლიტიკური პასუხისმგებლობა დაგვეკისროს, მაგრამ ჩვენი პარტიის უბრალო წევრებსა და მხარდამჭერებს ნუ დასჯით.

**— თუ დაკითხვაზე კონკრეტულ პირებს არ დაიბარებენ, გამოძიება პოლიტიკური თანამდებობის პირთა ბრალეულობას როგორ დაადგენს?**

— გამოჩნდა, რომ ათასობით ადამიანს დაკითხვაზე იმ მიზნით კი არ იბარებენ, რომ საქმეებთან მათი შემხებიანობა აინტერესებთ, არამედ ამ ადამიანებს აშინებენ, რომ თუ ჩვენებებს არ მისცემენ, მათ მიმართ სისხლის სამართლებრივ დევნას დაიწყებენ. ეს არის მთავარი იარაღი.

**— კონკრეტულად, რომელ საქმეზე დაკითხეს ათასობით ადამიანი?**

— მაგალითად, მერიასა და ჯანდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებით.

**— ჯანდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებით, პროკურატურა აცხადებს, რომ „სამუშაოსმაძიებელთა აღრიცხვის პროგრამის“ ფარგლებში, დასაქმებულ პირთა ნაწილს არანაირი სამუშაო არ შეუსრულებია და თანხა ნაციონალური მოძრაობის მხარდასაჭერად წარმოებული წინასაარჩევნო აქტიურობისთვის მიიღეს. ასეთ პიროვნებებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5 მილიონ 240 ათასზე მეტი ლარი გადაირიცხა. ამ საქმის გამორკვევის მიზნით, ადამიანები არ უნდა დაეკითხათ?**

— ამ პროგრამით, ადამიანების დასაქმება კანონის დადგენილი წესით ხდებოდა. ამაზე კი, კუდების მობმა და კორუფციული გარიგებების სქემის ძებნა უხერხულია.

**— უმრავლესობა „საჯარო მოხელეთა ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტს ამზადებს. მის ინიცირებამდე კონსულტაციები გაგრძელდება?**

— რას აპირებენ, ვერ გეტყვით, თუმცა როგორც ჩანს, მათ სურთ, ეს ცვლილებები რიგით მოხელეებსა და განყოფილებების უფროსებზე გაავრცელონ და ამის პარალელურად, პროკურატურაში ათასობით ადამიანი დაიბარონ. იმედი მაქვს, ამ საკითხებზე, მოლაპარაკებების გაგრძელების საშუალება გვექნება, მაგრამ ჩვენს მხარდამჭერებზე დევნა უნდა შეწყდეს.

*„ფორ.გე“*

## ვერსიანიუსი

### შსს-ს 10 თვის ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალებასთან დაკავშირებით არანაირი ვიდეომასალა არ მიუღია



ამის შესახებ შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რაფალიანცების ოჯახის იმ ინფორმაციის კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმადაც, ოჯახს შსს-სთვის ბარბარეს გარდაცვალებასთან დაკავშირებული ვიდეომასალა უნდა გადაეცა. **„ბარბარეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ახალი დეტალები მოვისმინე, მაგრამ ჯერჯერობით, ამ დეტალებს ვერ გავაჟღერებ. საქმესთან დაკავშირებით, ახალი არაფერია. გამოძიების შედეგები მალე გახდება ცნობილი. მე არანაირი ვიდეო არ მიმიღია“,** — აცხადებს ღარიბაშვილი.

10 თვის ბარბარე რაფალიანცი 30 სექტემბერს, სოფელ კოლაგაში, წყლით სავსე თავდახურულ ქვევრში იპოვეს და გურჯაანის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ველარ მოხერხდა.

*„პირველი“*

### „რობაქიძის მკვლელობასთან დაკავშირებული ახალი კადრების შესაბამისი შესწავლა აუცილებლად მოხდება“

შს მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, პირველ რიგში, ბუტა რობაქიძის მკვლელობასთან დაკავშირებული ახალი კადრების ავთენტურობა უნდა დადგინდეს და შემდეგ, ამ კადრების შესწავლა აუცილებლად მოხდება.

ერთ-ერთმა ბრალდებულმა, ირაკლი ფირცხალავამ ბუტა რობაქიძის გარდაცვალების ღამეს გადაღებული ახალი ვიდეომასალა გაავრცელა.

*„პირველი“*

### „ბუტა რობაქიძესთან დაკავშირებით გავრცელებული ვიდეომასალა მონტაჟია“



ბუტა რობაქიძის მკვლელობასთან დაკავშირებული ვიდეომასალა, რომელიც რამდენიმე დღის წინ გავრცელდა, აშკარა მონტაჟია. ამის შესახებ განცხადება დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის აუდიო და ვიდეო ჩანაწერების ექსპერტ ფონოსკოპისტმა, მარიკა ტოკლიკიშვილმა გააკეთა.

ექსპერტის თქმით, ერთი შეხედვითაც კი ჩანს რამდენიმე მნიშვნელოვანი ცდომილება, რაც მიანიშნებს, რომ მასალა უწყვეტი არ არის. კერძოდ, პირველი უზუსტობა იკვეთება იმ მომენტში, როცა ისმის გასროლის ხმა. ექსპერტის შეფასებით, ამ დროს იარაღი აღმართულია მაღლა და შეუძლებელია, ასეთი ტრაექტორიით გასროლილი ტყვია ვინმეს მოხვედროდა. მისი თქმით, ამ მომენტში ხმა და კადრი ერთმანეთს არ ემთხვევა. მონტაჟი ვლინდება მასალის მე-11 წამზეც — ამ დროს კადრი გაჭრილია და მისი ცვლილება ხდება. ამასთან, მასალას გასდევს სპეციალურად დადებული ფონური ხმაური.

გარდა კადრების ტექნიკური ანალიზისა, დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის ექსპერტებმა მასალა ფსიქოლოგიური კუთხითაც შეაფასეს. მათი განცხადებით, პოლიციელების ქცევა არაადეკვატურია, აშკარაა, რომ მათი რეაქციები არ ჰგავს რეალურად აფექტში მყოფი ადამიანის ქცევას. ექსპერტების შეფასებით, პოლიციელებს არ აქვთ ადეკვატური რეაქცია გასროლის მომენტში და გარდა ამისა, მათ გამოთქმებსა და ქცევაში იკვეთება, რომ „კამერაზე მუშაობენ“.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „თუ არც ერთ „ნაციონალს“ არ დაიჭერენ, მაშინ მე დამიჭირონ მეორედ!“



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**„უპირობო და სრული ამნისტია ყველა საჯარო მოხელისთვის (პრეზიდენტიდან მუნიციპალიტეტის რიგით თანამშრომლამდე) 2012 წლის 1 ნოემბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის, გარდა ძალადობრივი, კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული და სხვა მსგავსი მძიმე დანაშაულებებისა“ — ეს „ოცნება-ნაციონალების“ მოლაპარაკების ერთ-ერთი ის პუნქტია, რაზეც იმსჯელეს და ლამის, შეთანხმდნენ. დანარჩენ პუნქტებსაც თუ კარგად ჩავიკითხავთ, თანაც გამომზეურებულს და არა კულუარულს, მაშინ სამართლიანობის აღდგენაზე, „ოცნების“ ამომრჩეველსა და თავად „ოცნებას“, ნამდვილად განსხვავებული აზრი აღმოაჩნდება. იმსახურებს თუ არა მასშტაბურ და უპირობო პოლიტამნისტიას 2003-2004 წლებში „დაჭერების“ მომწყობი ნაციონალური მოძრაობა, ამის შესახებ ყველაზე უკეთ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების ძალოვანი მინისტრი და ალბათ, ნამდვილი პოლიტპატიმარი კობა ნარჩემაშვილი საუბრობს.**

**— „ნაციონალების“ სათავეში მოსვლასა და დანაშაულებრივ ქმედებებს თუ პოლიტიკური შეფასება არ მიეცა, ქვეყანა ჩიხში შევა — ეს ფრაზა რამდენიმე თვის წინ მითხარით — ძველ მთავრობას არც დეკლარირებული შეფასება მისცემია და ჩიხშიც შევედით უკვე?**

— პოლიტიკური შეფასება ნამდვილად არ მისცემია და უკვე ჩიხში თუ არა, ჩიხის შესასვლელთან მაინც ვართ! როცა რეჟიმის პოლიტიკურ შეფასებაზე ვსაუბრობდი, შეგნებულად არ ვახსენე სამართლებრივიც, რადგან ყველაზე უკეთ ის ვიცი, რა ცუდ დღეში აღმოჩნდებოდა ახალი ხელისუფლება, თავიდანვე ძველის სამართლებრივი შეფასება რომ დაეწყო. ეს არ მოხდა და მაინც იქამდე მივედით, რომ პროკურატურაში 10 000-ობით განცხადებაა. უფრო მეტი იქნება და ამდენივე უკმაყოფილო, უფლებაშელახული ადამიანი გვეყოლება, რომელსაც წინ ისევ წმინდა ბიუროკრატიული დამოკიდებულება და პრობლემები ხვდება. მათ დღესაც ძველებურად პასუხობენ — დატოვეთ განცხადება და განვიხილავთ, ძალიან ბევრი საქმე გვაქვს... დღეს ერთადერთი სწორი გამოსავალი ისევ რეჟიმის პოლიტიკური შეფასებაა. ყოველდღე იმაზე უნდა მიდიოდეს საუბარი, რა მოხდა 2004-2009 წლებში და კიდევ ერთხელ და არაერთხელ, საჭიროა საზოგადოების სულით ხორცამდე შეძვრა!

**— რატომ, არ გვეყო ე.წ. ციხის კადრები, რობაქიძის მკვლელობის ვიდეო?**

— როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის! ვინმემ არ იცოდა, ციხეში რაც ხდებოდა? ამაზე ხომ ყველანი ვჩურჩულებდით, გონს მოსასვლელად, პერმანენტულად გვჭირდება მსგავსი შემოლაწუნება. საზოგადოება კარგად უნდა შეიძრას, ისე გონს არ მოვა. იმაზე დიდი საშინელებაც ვიცი, რაც იმ კადრებში ვნახეთ — ვიცი, როგორ აუპატიურებდა კაცი კაცს ციხეში, ამიტომ საჭიროა მთელი წინა ხელისუფლებისა და სახელისუფლო პარტიის მოქმედებების პოლიტიკური შეფასება და ცალკეული ფაქტებით ხალხისთვის შემოლაწუნება. აუცილებელია რეჟიმის გასამართლება, რათა სამართლიანობა აღდგეს!

**— ყველაზე აქტუალურ თემამდე მივედით — პოლიტიკური ამნისტია და სამართლიანობის აღდგენა ერთად როგორ წარმოგიდგენიათ?**

— გულწრფელი მინდა ვიყო: როცა 9 წელი ამ ვითარებაში ხარ, ახალმა მთავრობამ ცოტა მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს! იგივეს ვიტყოდი პატიმრების ამნისტიაზე, რომელიც საყოველთაო არ ყოფილა. სამაგიეროდ, პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების სიასთან მიმართებაში მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენდი. ისე, არის ერთი სია, ახლა მეორე მზადდება, მე კი არსად ვარ!

**— სიები შეტანილი განცხადებების საფუძველზე დგებოდა. მოითხოვეთ, რომელიმე მათგანში შეეყვანეთ?**

— ჩემი პოზიცია იყო, მოვიცდი-მეთქი. მაინტერესებდა, რა მოხდებოდა, ამიტომ სრულიად შეგნებულად, არ შევიტანე განაცხადი. „ნაციონალების“ ხელისუფლებამ მინისტრები კი დაიჭირა, მაგრამ იერარქიულად, ჩემზე, ძალოვან მინისტრზე მაღალი რანგის მქონე და გავლენიანი პირი არ დაუჭერია და დღეს, მე ყოფილი

> რატომ არ შეიყვანეს პოლიტპატიმრების სიაში კობა ნარჩემაშვილი და აქვს თუ არა პოლიტიკური ამნისტიის მოთხოვნის უფლება 2003-2004 წლების „დაჭერების“ ავტორ „ნაცმოძრაობას“



პოლიტიკური პატიმრის სტატუსი არ მაქვს. ჩანს, ჩემი პერსონა, არც ახალი ხელისუფლების ზოგიერთ წევრს ეხატება გულზე, შეიძლება იმიტომ, რომ არ გავტყდი, ჩემს პოზიციასაც ყოველთვის ხმამაღლა ვაფიქსირებდი. დღესაც ასე მოვიქცევი და ღიად ვიტყვი — ახალ ხელისუფლებას პოლიტიკური ვაჭრობა არაფერში სჭირდება. ალბათ, ამიტომაც არ შედგა მოლაპარაკება. დღეს ეს ახალ მთავრობას არაფერში სჭირდება და ჩათვალეთ, ეს ვაჭრობა თუ მაინც შედგა, მისთვის მაკომპრომეტირებელი იქნება! დღეს „ქართული ოცნება“ ბევრად მიზანდასახული, მკვეთრი და პრინციპული უნდა იყოს.

**— „ნაციონალების“ შეთავაზება მოკლედ ასე ითარგმნება — პრეზიდენტიდან დაწყებული, მომხრეებით დასრულებული, ნურავის დაიჭერთო. რა პრინციპით მოქმედებდნენ ისინი 2003-2004 წლებში, როცა მაგალითად, თქვენ, მოლაშვილი, მირცხულავა... დაგიჭირეს და არ დაიჭირეს ვალერი ხაბურძანია. ეს ნორმალურია?**

> **— თუ არც ერთ „ნაციონალს“ არ დაიჭერენ, მაშინ მე დამიჭირონ მეორედ! რა უფლება აქვს ნაციონალურ მოძრაობას, პოლიტიკური ამნისტია მოითხოვოს, იმ დაჭერების შემდეგ, რაც 2003 წელს თავად მოაწყო? ამნისტია, რომელსაც ახლა ითხოვენ, როცა სათავეში ისინი მოვიდნენ, არ ყოფილა. პირიქით, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც მოთხოვნა იყო, პოლიტიკური ამნისტია არ მომხდარიყო! ნულოვანი ტოლერანტობაო, ყველანი ციხეშიო, გაიძახოდა სააკაშვილი და ახლა ალაპარაკდნენ პოლიტიკურ ამნისტიაზე?!**

მე ეგ გზა უკვე გავიარე და საკუთარ ტყავზე გამოვცადე „ნაციონალების“ პიარ და სატელევიზიო საბოტაჟი! რაც შეეხება სხვა მინისტრებს, ეს ძალიან სუბიექტური ისტორიებია. შეურიგებელი ვიყავი და ჩემი დაკავება ჩემზე ანგარიშსწორება იყო! საერთოდ, ვინც შეურიგებელი და პრინციპული იყო სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ და საკუთარ პოზიციას ღიად აფიქსირებდა, ისინი არ დაზოგეს. დღეს მე, მოლაშვილი და სხვები არ ვართ პოლიტპატიმრებში — სამწუხაროა...

**— გაავლეთ პარალელი — მაშინ ძველი რეჟიმის გასამართლების ასეთივე დაუოკებელი ჟინი იყო ხალხში, როგორიც ახლაა?**

— საზოგადოებას სანახაობის ჟინი მაშინაც ჰქონდა, მაგრამ დღევანდელი და მაშინდელი მუხტი შეუდარებელია! მაშინ საოცრება მოხდა: მიუხედავად უმძიმესი სოციალური ვითარებისა, სახალხო აღშფოთება „ნაციონალების“ მიმართ შიმშილმა კი არა, იმ უსამართლობის განცდამ გამოიწვია, რამაც ყველა ოჯახში შეიხედა! მარტო სისხლის სამართლებრივი შეფასება ამ საქმეს არ ეყოფა — შეუძლებელია, ყველა ადამიანი კმაყოფილი დარჩეს, თუ შელახული უფლებები თითოეულ მათგანს არ აღუდგინე. ეს მე, შეიძლება გავიაზრო, მომთმენი და მიმტევებელი ვიყო, მაგრამ ადამიანი, რომელსაც მიწა წაართვეს, შვილი მოუკლეს და სამართალს ვერ მიაღწია, მომთმენი და მიმტევებელი რომ არ იყოს, არც უნდა გაგვიკვირდეს! ჩვენ უნდა დავანგრიოთ შიდა და გარეპოლიტიკურ ასპარეზზე დამკვიდრებული სტერეოტიპი, რომლითაც ქვეყანა 20 წელი იმართებოდა და საკითხს ახლებური მიდგომებით შევხედოთ.

**— მაშინ ჯდება ამ ახლებურ მიდგომებში ეს პოლიტიკური ამნისტია!**

— არა, ასე ცალმხრივად არაა საქმე:

> **ერთი მხარეა საჯარო მოხელე და მეორე — დაზარალებული კაცი. ის საჯარო მოხელე სულ 30 000 კაცია, მეორე მხარეს კი — მთელი საქართველო! სად არის მაშინ ბალანსი და შეპირებული სამართლიანობა?! თუმცა ისეც არ გამოვა, ყველა დაისაჯოს, ამიტომ, ჩემი აზრით, უნდა შეიქმნას ახალი ინსტიტუტი, რომელიც დაჯდება და ვთქვათ, ქონებრივ დავებზე, ცალკე, ზოგად მიდგომას შეიმუშავებს. მეორე მხრივ, ვიღაც მოხელე საჯარო სამსახურს 1 წლით ჩამოვაშოროთ და ადამიანების ცხოვრების დანგრევისთვის ეს ვაკმაროთ?**

ისიც ძნელია, ავდგეთ, განცხადება შევიტანოთ პროკურატურაში და ეს განცხადება გამოსაძიებლად იმავე პროკურორს დავაწეროთ, ვინც თავის დროზე, ეს გადაცდომები დაუშვა, დანაშაული ჩაიდინა — ეს სრულიად უიმედო და ძალიან მძიმე მდგომარეობაა „ოცნების“ ხელისუფლებისთვის! ახლა ერთ იდეასაც გავახმაურებ: თუ მე წინა ხელისუფლებამ მატერიალურად დამაზარალა და ახალი ხელისუფლება ფულს ვერ მაძლევს, შიდავალში უნდა გამიშვან!

**— ეს ძალიან მძიმე ვალი იქნება „ოცნებისთვის“ — სად აქვს ბიუჯეტს ამხელა ფული?**

— სწორედ ესაა საქმე, დაზარალებულ ადამიანს იმ ფულს რომ ვერ მოუტან! თუ შენ შენს მოქალაქეს იცავ, ადექი და ფული შიდავალში აიღე, ამაზე კი პასუხიმგებლობა მარტო ერთ ხელისუფლებას კი არა, მთელ სახელმწიფოს დაეკისრება! არ შეგვიძლია ამდენი?! მაშინ რა შეგვიძლია, მარტო წართმევა?! ესაა სტერეოტიპების ნგრევა და ესაა ახლებური ხედვები, თორემ შენც თუ იგივეს მეტყვი, რასაც შევარდნაძის დროს მეუბნებოდნენ და სააკაშვილის დროს მიკეთებდნენ, რაში მჭირდები?! არც ასეთი ამნისტია სჭირდება ვინმეს. ეს არათუ სასურველი, მეტიც — მიუღებელია!

**— და მივედით დასკვნამდე, რომ შეთანხმება არ შედგება!**

— არ შედგება და ნუ შედგება!

**— ეს უკვე „ოცნებას“ აღარ აწყობს, „ნაციონალებმა“ საკონსტიტუციო ცვლილებები რომ ჩაუგდონ?**

— მე მაინც ვერ ვხვდები, რა პრობლემაა თუნდაც ამ ცვლილებების ჩაგდება? ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ სააკაშვილის რეიტინგი 6%-ია და თუ ამ ავანტიურაზე მიდის სააკაშვილი, დაითხოვოს მაშინ მთავრობა და დაშალოს პარლამენტი, წავიდეს ამ პოლიტიკურ ხარაკირზე! რა არის აქ სავაჭრო და განსახილველი, საერთოდ ვერ ვხვდები! ამ ცვლილებებს რას ეჭიდებიან, ეს ჟესტია დასავლეთთან მიმართებაში? ამით რას ამბობენ, „კოჰაბიტაციურები ვართო“? მე ეს არ მომწონს! არ მომწონს, მკვლელები, სახელმწიფო ხაზინის ქურდები და ფინანსური ოლიგარქები დღეს საქართველოს მოსახლეობას ჭკუას ასწავლიან! ისეთი აზრი მრჩება, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ნაციონალური მოძრაობა პიარ-ომს ისევ იგებს. მეტიც, ბოლო ერთი თვეა, სწორედ ნაციონალური მოძრაობა უკვეთავს პოლიტიკას, პოლიტიკურ თემებს ის აგდებს. თავიდანვე არასწორი იყო მათ მოედანზე შესვლა, რადგან იქ უკვე მათი წესებით უნდა ითამაშო — „ნაციონალებს“ უკადრებლის კადრებაში არ უნდა შეეჯიბრო, ამაში ვერ აჯობებ! საერთოდ, პოლიტიკური ამნისტიის საკითხი არც უნდა დასმულიყო. დღეს კი უკვე ეს საკითხი დაისვა, ხვალ ხალხი ამაზე ფიქრს დაიწყებს, ზეგ არც ისე მიუღებლად მოგვეჩვენება და ეგაა!

**— საზოგადოება აღარ მიიღებს არგუმენტს, რომ „ოცნებაზე“ ზეწოლას დასავლეთი ახდენს და ამიტომ აგვიანდება ახალ მთავრობას სამართლიანობის აღდგენა?**

> **— ამნისტია იქნება თუ არა, ლოიალობა გამომჟღავნდება თუ არა, კოჰაბიტაცია შედგება თუ არა, მეეჭვება ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ისეთივე სიმპათიები მოიპოვოს დასავლურ წრეებში, რაც წინა ხელისუფლებას ჰქონდა. ამიტომ, რაკი ეს გარდაუვალია, იქნებ, სჯობდეს, „ოცნებამ“ ქვეყნის შიდა მოთხოვნებზე მაინც გააკეთოს აქცენტი. დღეს ხომ, რეალურად, ახალი ხელისუფლება მხოლოდ ქართველი ხალხის მხარდაჭერაზე დგას!**

## ვერსიანიუსი

### ნუგზარ წიკლაური ხელისუფლების მხრიდან არავის შეწყალებას არ ელის

ამის შესახებ წიკლაურმა საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხზე უმრავლესობასა და უმცირესობას შორის მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების ფაქტის კომენტირებისას განაცხადა. წიკლაური პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმად, შეთანხმება საჯარო მოხელეების ამნისტიასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობის გამო ვერ შედგა.

**„ამნისტიასთან დაკავშირებით, არავითარი წინადადება წამოყენებული არ ყოფილა. არის და თავიდანვე იყო საუბარი, რომ შეწყდეს ის განუკითხაობა და დევნა, რომელიც სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ მიმდინარეობს. პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები უნდა შეწყდეს. როგორც მოგეხსენებათ, ივანიშვილმა რამდენიმე კვირის წინ განაცხადა, რომ პროკურატურასთან რიგები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეწყდება, თუკი ნაციონალური მოძრაობის მხრიდან კრიტიკა და რიტორიკა აღარ იქნება. პრაქტიკულად, მან თქვა, რომ თუ კი ჩვენ ოპოზიციას გავაუქმებთ და არაფერს ვილაპარაკებთ, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, პროკურატურის მხრიდან დევნის შეწყვეტა. ეს არის არანორმალური ვითარება და ცხადია, რომ როგორც საჯარო, ისე დახურულ მოლარაკებებზე, ჩვენ ამ საკითხს დავაყენებთ. ამ მოლაპარაკებების დროსაც იყო ეს საკითხი დაყენებული, თუმცა შეწყალებას ამ ხელისუფლების მხრიდან არავინ მოელის. ჩვენ კარგად ვიცით, რა ვითარებაშია დღეს ქვეყანა. არ მახსენდება საქართველოს უახლეს ისტორიაში ისეთი პერიოდი, როცა ხელისუფლება და პროკურატურა ადამიანის უფლებებს ასე უხეშად და აშკარად არღვევდა“.**

*„პირველი“*





რუსუდან შელია
პოლიტიკა

# აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი რომის პაპმა შეაჩერა!

**მიდის თუ არა ხელისუფლება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების გზით? — ამ კითხვას ყოფილი ვიცე-სპიკერი კონკრეტულად ვერ პასუხობს, თუმცა ამტკიცებს, რომ კოალიციის მიერ დეკლარირებული დასავლური კურსი ფარსია და მმართველი გუნდი ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების ნაცვლად, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. რატომ დასცინიან პაატა ზაქარეიშვილს აფხაზები და რა ფარული გარიგება დაიდო აფხაზურ მხარესთან? — ამ საინტერესო თემებზე „ვერსიას" „ევროპელი დემოკრატების" ლიდერი პაატა დავითაია ესაუბრება.**




## რომელი ძალები ქმნის რეალურ მესამე ცენტრს საქართველოში

— ფაქტია, ახალი ხელისუფლება დეოკუპაციის საკითხის მიჩქმალვას ცდილობს, რადგან რუსეთთან დაახლოების პროცესში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე კრიტიკული საუბარი მათთვის წამგებიანია. საერთოდ, საგარეო კურსის ცვლის პროცესი იმდენად ფარული და გააზრებულია, ამას საზოგადოება ჯერ ვერც კი ამჩნევს. ზედაპირზე თითქოს არაფერი ხდება, სინამდვილეში კი, იმდენად ბინძური თამაში მიმდინარეობს, რომ სავალალო შედეგებამდე მივალთ.

**— კონკრეტულად, ვინ და რა მიზნით თამაშობს ბინძურ პოლიტიკურ თამაშს?**

— ვიცი, ქვეყანაში რა და როგორ იგეგმება, მაგრამ საჯაროდ ვერაფერს ვიტყვი, რადგან შესაბამისი მტკიცებულებები, სამწუხაროდ, არ გამაჩნია. მარტივად შევხედოთ ყველაფერს და ვიკითხოთ: რატომ არ აქტიურობენ დეპუტატები, ვის კომპეტენციაშიც შედის დასავლეთთან ურთიერთობის დალაგება? ფაქტობრივად, დღეს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, საპარლამენტო ფორმალური ურთიერთობების გარდა, არაფერი ხდება. წინა მოწვევის პარლამენტში თვეში რამდენჯერმე ვხვდებოდი დასავლელ პარტნიორებს, დეოკუპაციის აუცილებლობაზე ვესაუბრებოდი და გარკვეულ შედეგებსაც ვღებულობდით. დღეს ამ რუტინულ სამუშაოს არავინ ასრულებს. ფაქტია, აფხაზეთი და ოსეთი ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულ საკითხებს არ წარმოადგენს.

**— პაატა ზაქარეიშვილი ამტკიცებს, რომ ხელისუფლება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მხარესთან საუბრისთვის ემზადება და კონფლიქტის რეგიონში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმასაც გეგმავს. მათ ნაბიჯებს ასე ნეგატიურად რატომ აფასებთ?**

— რომელ ნაბიჯებზე ვსაუბრობთ, როცა ამ მიმართულებით ხელისუფლება დღეს მხოლოდ იმას ცდილობს, სეპარატისტებსა და რუსეთს მაქსიმალური სიამოვნება მიანიჭოს. ისიც ნათელია, რომ

**ვილაცებს აფხაზეთისა და ცხინვალის ხარჯზე გამდიდრება სურთ — ოკუპირებული ტერიტორიების ნაცვლად, რუსეთში ღვინის ექსპორტი მხოლოდ ფულის კეთების მიზანს ემსახურება. ტყუილია, თითქოს, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენით, ქართველი გლეხი დამატებით შემოსავალს მიიღებს, რადგან კომპანიებს, რომლებიც ღვინოს აწარმოებენ, საკუთარი ვენახები აქვთ. რაც შეეხება, ოკუპირებულ ტერიტორიებთან საუბრის სურვილს, ეს ყველაფერი მხოლოდ ცალმხრივად ხდება. აფხაზურ მხარეს მილიმეტრითაც არ გადმოუდგამს ნაბიჯი ქართველებისკენ. თუ ხელისუფლება დღეს ჩვენ „დაბოლებას" ახერხებს, ცოტა ხანში ბოლი გაიფანტება და მივხვდებით, რომ ისევ იქ ვდგავართ, სადაც აქამდე ვიდექით. პაატა ზაქარეიშვილი კონფლიქტის მოგვარების კუთხით დადებით შედეგამდე ვერ მიგვიყვანს.**

**— რატომ ვერ იქნება ზაქარეიშვილი მოლაპარაკების პროცესში გარდამტეხი ფიგურა?**

— ვერ იქნება! მას აფხაზები მხოლოდ აჭარაში ხვდებიან ან „სკაიპით" ესაუბრებიან, რაც საქართველოს ნებისმიერ რიგით მოქალაქეს შეუძლია. დარწმუნებული ვარ, პაატა ზაქარეიშვილმა ისიც კი არ იცის, რა პროცესები მიდის სოხუმში. ადგილობრივი პრესა მას დასცინის და ეშმაკს უწოდებს. ახალგაზრდა თაობას ქართველებისკენ მოხედვის სურვილიც კი არ აქვს და რაც დრო გადის, ანტიქართული მოძრაობები მით უფრო ძლიერდება. შესაბამისად, იქ დაბრუნების პროცესის დაწყებაც რთულდება. ხელისუფლება ვალდებული იყო, ის პროცესი მაინც გაეყინა და შეენარჩუნებინა, რასაც „ნაცმოძრაობამ" მიაღწია.

**— რა მიღწევებზეა საუბარი, როცა წინა ხელისუფლებამ ტერიტორიების დაბრუნების კუთხით ვერანაირ შედეგს მიაღწია და მეტიც, 2008 წლის ომის შემდეგ, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა რუსეთთან ერთად რამდენიმე სახელმწიფომ აღიარა?**

**— ერთ საიდუმლო ინფორმაციას გაგიმხელთ, მაგრამ არ ჩამეძიოთ, როგორ მოვიპოვე და ვინ მითხრა ამის შესახებ. ლათინურ-ამერიკული ქვეყნების მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების სერია კათოლიკურმა ეკლესიამ და, უშუალოდ, რომის პაპის ადმინისტრაციამ შეაჩერა. მოგეხსენებათ, კათოლიკურ ეკლესიას ლათინურ-ამერიკულ სახელმწიფოებში სერიოზული გავლენა აქვს.**

**— ხელისუფლება იყო მაშინ ამ პროცესში ჩართული თუ საპატრიარქო. საინტერესოა, რა დათმო ამის სანაცვლოდ ქართულმა მხარემ?**

— ხომ გითხარით, ნუ ჩამეძიებით-მეთქი. ვიცი, ვინ ეკონტაქტებოდა რომის პაპის ადმინისტრაციას, ვინ იყო მათი მხრიდან წარმომადგენელი, თუმცა ამას ხმამაღლა ვერ ვიტყვი. ფაქტია, რომის პაპის ჩარევის გარეშე, სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებოდით, ამიტომ კათოლიკურ ეკლესიას გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი. აი, ესაა ის მიღწევა, რისი გამოყენებაც ხელისუფლებას დღესაც შეუძლია. კოალიციას ვურჩევდი „ნაცმოძრაობასთან" კოჰაბიტაცია ამ მიმართულებით მაინც შეინარჩუნოს, რადგან უნდა ვაღიაროთ, რომ „ნაციონალები" მაშინ სწორად მოქმედებდნენ. სხვათა შორის, შესაძლოა რომის ახალ პაპად სწორედ ის ადამიანი აკურთხონ, რომელიც ამ საქმეში პირადად დაგვეხმარა. ბუნებრივია, სანაცვლოდ ქართული მხარეც გარკვეულ დათმობაზე წავიდა, თუმცა კონკრეტულად, ამ თემის ირგვლივ ვერ ვისაუბრებ. დღეს ხელისუფლება აფხაზებთან ყველანაირ დათმობაზე მიდის და იცით, რა მივიღეთ სანაცვლოდ? ბესლან კობახიამ საქართველოს ისტორიის შეცვლა დაიწყო.

**მაქვს ინფორმაცია, რომ აფხაზურ მხარესთან ელექტროენერგიასთან დაკავშირებით კორუფციული გარიგებაც შედგა: მოგეხსენებათ, აფხაზურ მხარეს დენს უფასოდ ვაძლევთ, რისი წინააღმდეგიც თავიდანვე ვიყავი და დღესაც არ მესმის, რატომ უნდა გადავახდევინოთ დენის საფასური აფხაზეთიდან დევნილებს, იმ ადამიანებს კი, ვინც ქართველები საკუთარი მიწა-წყლიდან გამოდევნა, ელექტროენერგია უფასოდ მივაწოდოთ? საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აფხაზეთს ხუთჯერ მეტ ელექტროენერგიას ვაწვდით, ვიდრე რეალურად სჭირდებათ და იცით, რატომ? ელექტროენერგია იყიდება და დიდი ფულიც ტყდება.**

**— კორუფციული გარიგება ქართულ და აფხაზურ მხარეს შორის?**

— დიახ, ვიცი, ვის ჯიბეშიც მიდის ეს ფული, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ აფხაზები და რუსები ჩვენი ელექტროენერგიით ფულს აკეთებენ. ასე რომ, ამ ხელისუფლების პირობებში დეოკუპაციის პროცესის დაწყებაზე საუბარი ზედმეტია. ერთ რამესაც ვიტყვი, თუ ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების სანაცვლოდ, აფხაზეთსა და ცხინვალს დაგვიბრუნებენ, ამის მხოლოდ მომხრე ვიქნები. ჩემ სიტყვებს დასავლეთთან დაახლოების აუცილებლობაზეც უკან წავიღებ... მაგრამ რუსები ამ შემთხვევაშიც არ დაგვიბრუნებენ წართმეულ ტერიტორიებს, რადგან ბევრჯერ „გადაგვაგდეს". ხელისუფლება კი, რომელიც ფარულად სწორედ ევრაზიული კავშირისკენ მიდის, კიდევ ერთხელ დარჩება მოტყუებული. ერთადერთი, რაც ახალი ხელისუფლების პირობებში დადებითისკენ შეიცვალა, დევნილებთან დამოკიდებულებაა. ჩასახლების პროცესი ისე მიმდინარეობს, დუბინკებით ქუჩაში არავის ყრიან. სხვა მხრივ, ზოგადად, ქართული სახელმწიფოსთვის არაფერი კეთდება. მხოლოდ ორი ძალა ებრძვის ერთმანეთს აბსოლუტური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. „ქართული ოცნების" ქმედებები ერთი ერთში მახსენებს „ნაცმოძრაობის" მმართველობის ფორმას, რამაც 2007 წლის 7 ნოემბრამდე მიგვიყვანა.

**— პოლიტიკურად არ აქტიურობთ, თუმცა ვრცელდება ინფორმაცია, რომ კაკო ასათიანსა და კახა კუკავასთან, რომლის პარტნიორადაც მალე ვალერი ხაბურძანიას ვიხილავთ, კოალიციის შექმნის შესახებ კონსულტაციებს აწარმოებთ...**

— 2006 წლისგან განსხვავებით, დღეს პოლიტიკას ფული განსაზღვრავს, რომელიც მხოლოდ ორ ძალას, კოალიციასა და „ნაცმოძრაობას" აქვს. თუ ერთი ძალა მეორეს გაანადგურებს, ქვეყანა დანგრევისპირას მივა. ეს ჩემი გადაჭარბებული შეფასება სულაც არ არის.

**კაკო ასათიანს დიდი ხანია ვიცნობ და ყოველთვის სიმპათიით ვიყავი მის მიმართ განწყობილი. ასე რომ, მასთან თანამშრომლობას ნამდვილად არ გამოვრიცხავ. ვალერი ხაბურძანიასთან შეხება არასოდეს მქონია. ჩვენ იდეოლოგიურადაც განვსხვავდებით. ეს იმას არ ნიშნავს, ვალერი ხაბურძანიასთან ურთიერთობა არ მექნება, მაგრამ კოალიციაში მასთან ერთად ყოფნას გამოვრიცხავ. პარლამენტსმიღმა დარჩნენ ისეთი პარტიები, როგორებიცაა „ახალი მემარჯვენეები", „ქრისტიან-დემოკრატები", ედპ, რომელთანაც კონსულტაციები ნამდვილად მიმდინარეობს და პოლიტიკურ გაერთიანებაზეც ვმსჯელობთ. ვფიქრობ, დღევანდელი პარლამენტი დანიშნულ ვადამდე ვერ მიაღწევს, ასე რომ, ვადამდელი არჩევნებისთვის ჩვენ ვემზადებით.**

**— და როცა „ქართული ოცნება" აბსოლუტური ძალაუფლებისთვის იბრძვის, რეალური მესამე ცენტრის შექმნას შეძლებთ. ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, კვლავ პროცესებს მიღმა არ დარჩებით?**

— რა თქმა უნდა, ვადამდელი არჩევნების შემდეგ, „ქართული ოცნება" აბსოლუტურ ძალაუფლებას ჩაიგდებს ხელში. ფაქტია, რომ ქვეყანაში მესამე ცენტრი თავისუფალია და ეს ნიშა ვილაცამ უნდა დაიკავოს. ამიტომაც ველოდებით ბარიერის დაწევას. თუ პოლიტიკური ბალანსი კვლავ დაირღვევა, წინასწარ ვიცით, რომ კვლავ პროცესებს მიღმა დავრჩებით, თუმცა მაინც იმედს ვიტოვებ, რომ კოალიცია „ნაცმოძრაობის" გზას არ გააგრძელებს.

## ვერსიანიუსი

### მიხეილ სააკაშვილი პარლამენტს მიმართავს, საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიშის მოსმენის თარიღი დანიშნოს



„უპირველეს ყოვლისა, გიდასტურებთ ჩემს პატივისცემას, როგორც ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს და მოგმართავთ თქვენ — ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს.

მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია, რომლის დაცვა საქართველოს თითოეული მოქალაქის, მათ შორის, უწინარესად, ქვეყნის ხელმძღვანელი პირების უმთავრესი ვალდებულებაა.

ამიტომ ჩვენი მოთხოვნაა, დაცული იქნას საქართველოს კონსტიტუცია რომელიც, ერთი მხრივ, ქვეყნის პირველ პირს ავალდებულებს, პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართოს საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებსა და საზოგადოებას; მეორე მხრივ, კონსტიტუცია ავალდებულებს პარლამენტს მოუსმინოს საქართველოს პრეზიდენტს.

მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციის ამ ნორმის დაცვით, ცოტა ხნის წინ შექმნილ ბევრ გართულებას ავიცილებდით თავიდან.

საქართველოს პრეზიდენტი არის კონსტიტუციის დაცვის გარანტი, მისი აღსრულების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა კი საქართველოს პარლამენტსაც ეკისრება.

აქვე შეგახსენებთ, საქართველოს პარლამენტში არაერთხელ გაკეთდა განცხადება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული მოსმენა უახლოეს მომავალში უნდა შემდგარიყო.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, უზრუნველყოთ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის დაცვა და დანიშნოთ საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიშის მოსმენის თარიღი.

ჩვენი მხრივ, ვიმედოვნებთ, საქართველოს პარლამენტი დაიცავს ქვეყნის ძირითად კანონს და როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს, ისე ჩვენს ხალხს მიეცემა საშუალება, მოისმინოს საქართველოს პრეზიდენტის მოხსენება ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე".

*„პირველი"*

## ტუბერკულოზიან, კიბოიან, ფსიქიკური აშლილობის, ნერვული, გულ-სისხლძარღვთა... დაავადებების მქონე პატიმრებს გაათავისუფლებენ



დადგინდა მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ახალი ჩამონათვალი, რომლის დადასტურების შემთხვევაში, მსჯავრდებულთა გათავისუფლება მოხდება.

ახალი ჩამონათვალი სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საქართველოს ექიმთა ასოციაციის ერთობლივი მუშაობის შედეგად გაიწერა. ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ ოფიციალურ ბრძანებას ხელი უკვე მოაწერა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა.

15 თებერვლის ბრძანებაში მითითებული დაავადებათა ჩამონათვალში შესულია: ტუბერკულოზი, ავთვისებიანი სიმსივნეები, სხივური დაავადება, ენდოკრინული სისტემის დაავადებები, ფსიქიკური აშლილობები, ნერვული სისტემის დაავადებები, მხედველობის მოშლა და სიბრმავე, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, სასუნთქი გზების დაავადებები, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები, თირკმლის დაავადებები, ძვალ-სახსროვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის დაავადებები, ანატომიური დეფექტები, აივ ინფექცია/შიდსი და ჰემატოლოგიური დაავადებები.

აღსანიშნავია, რომ მოცემული ჩამონათვალი შეესაბამება დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორს (ICD-10), სადაც ნათლად არის განსაზღვრული დაავადებათა სტადიები და გართულებები, რომლის შემთხვევაშიც მსჯავრდებული უნდა გათავისუფლდეს, ასევე შეტანილია თვისობრივად ახალი მუხლი (მუხლი 16), რომელიც იძლევა იმ მსჯავრდებულ პაციენტთა შეფასების და გათავისუფლების შესაძლებლობას, რომელთა შემთხვევაშიც სამედიცინო ჩარევა უშედეგოა.

ამასთან, როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროში აცხადებენ, მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ კარგად გაიაზროს ამ ბრძანების და ამასთანავე უწყებათაშორისი კომისიის მნიშვნელობა და არ მოხდეს მისი გაიგივება მსჯავრდებულთა გათავისუფლების სხვა მექანიზმებთან, მაგალითად როგორებიცაა შეწყალებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიები.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „მარტში საქართველოში ჩამოსვლას ვგეგმავ, ნინო ბურჯანაძესაც გავესაუბრები და საბოლოოდ, ამის მერე გადაწყდება ყველაფერი“





რუსუდან შელია
პოლიტიკა

**აღიარებს, რომ ფსბ-სთან ურთიერთობა დღემდე აქვს, თუმცა რუსეთის სპეცსამსახურებსა და საქართველოს ყოფილ მაღალჩინოსნებს შორის შუამავლობას კატეგორიულად გამორიცხავს. საჯაროდ ადასტურებს, რომ პუტინს ვახშამზე დროგამოშვებით სტუმრობს, თუმცა კრემლისგან პოლიტიკური დავალებების მიღებას უარყოფს და საკუთარი ინიციატივით, საქართველოში მესამე ცენტრის შექმნის მისიით ჩამოსვლას გეგმავს. უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია მისი მისამართით გაჟღერებულ ბრალდებებს პასუხობს.**

## ვალერი ხაბურძანია „ვერსიაში“ გამოქვეყნებული ბრალდებების გამო ზაალ კასრელიშვილს პროკურატურაში უჩივის!

— ღმერთმა დამიფაროს, ვანო მერაბიშვილის „ენკავედესთან“ რაიმე ტიპის ურთიერთობა მქონდეს. მართალია, ვინმე ზაალ კასრელიშვილი ამტკიცებს, თითქოს ზურა ადეიშვილს, ვანო მერაბიშვილსა და რუსეთის სპეცსამსახურებს შორის, ჩემ მოადგილე ირაკლი კოტეტიშვილთან ერთად, „შავი ფული“ და სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია დამქონდა, მაგრამ გარწმუნებთ, ეს სრული აბსურდია.

**არ მინდა, ზაალ კასრელიშვილს, რომელიც ხიზირ ალდამოვის პაროდიაა, ტირაჟირება გავუწიო, მაგრამ მას მალე პროკურატურაში მისვლა მოუწევს — მეც და ირაკლი კოტეტიშვილიც საჩივარს შევიტანთ, რათა ამ არსებას ჩვენება ჩამოართვან და მტკიცებულებების წარმოდგენა მოსთხოვონ. გაირკვევა, კონკრეტულად, რა ინფორმაცია მიაწოდეს ჩრდილოეთ კავკასიიდან კასრელიშვილს. საერთოდ, თუ ვალერი ხაბურძანია და ფსბ ზაალ კასრელიშვილმა გაშიფრა, მეც და ფსბ-საც კარგად გვქონია საქმე. უბრალოდ, ახლა ისრებს ჩემსკენ იმიტომ ისვრიან, რომ საქართველოში პოლიტიკურ აქტივობას ვგეგმავ.**

**— 9-წლიანი პოლიტიკური დუმილის შემდეგ, პარტიის შექმნა რატომ გადაწყვიტეთ? გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოლიტიკური გაერთიანების შექმნის მიზნით იანვარში საქართველოში ჩამოხვედით და კახა კუკავას თანამშრომლობისთვის ფულიც შესთავაზეთ...**

— დიახ, ვადასტურებ, რომ იანვარში, საახალწლოდ, ჩემ სახლში ჩავედი. კახა კუკავასაც შევხვდი, თუმცა მისთვის თანხა არ შემითავაზებია და, სიმართლე გითხრათ, ამ ეტაპზე, კუკავასთვის მისაცემი ფული არც მაქვს. იმასაც არ გამოვრიცხავ, ახალი პარტია კი არ შევქმნა, ორგანიზაციულ წარმონაქმნებს შევუერთდე, მაგალითად, კახა კუკავას პარტიას.

**— ანუ მალე კახა კუკავას პარტიაში გიხილავთ?**

— ჯერ დადასტურებით ვერაფერს ვამბობ. კუკავა აცხადებს, რომ მას პროქართული ორიენტაციის პარტია აქვს, თუმცა ეს ხელს პირადად მე, არაფერში მიშლის! მთავარია, მას რუსეთისკენ მიმავალი მისწრაფებები აქვს. ამ ეტაპზე, კუკავასთან ინტენსიური მოლაპარაკებები მიდის.

**— თქვენ პოლიტიკურ პარტნიორებად მინდია გულუას, ირინა სარიშვილს, ვალერი კვარაცხელიას, იგორ გიორგაძის პარტიას... მოიაზრებენ. მათთანაც გაქვთ მოლაპარაკებები?**

— ჯერ ვაკვირდები, აღნიშნული პოლიტიკური ძალები როგორ მოახერხებენ ერთმანეთთან კონსოლიდაციას, რადგან ფაქტია, მათ ცალ-ცალკე პერსპექტივა არ აქვთ. მინდია გულუას ვიცნობ და მისი პოლიტიკური აქტივობის შესახებ მსმენია. ვფიქრობ, ის ფინანსურადაც დამეხმარება, რადგან ვეჭვობ, მას ჩემი ფული დასჭირდეს. ასე რომ, მინდია გულუასთან საერთო ენის გამონახვას არ გამოვრიცხავ. კონსულტაციები, სავარაუდოდ, შემოდგომამდე გაგრძელდება და ადგილობრივი და საპარლამენტო არჩევნებისთვის მზად ვიქნებით. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებ, რადგან ვიცი, პრორუსულ ძალას გამარჯვების შანსი ნაკლებად ექნება. ჯერ პრორუსული ძალების ლეგალიზაცია და საზოგადოების გამოფხიზლება უნდა შევძლოთ.

**— კუკავას საშუალებით, ნინო ბურჯანაძესთან მართლა აწარმოებთ მოლაპარაკებებს. მეტიც, ამბობენ, ხაბურძანია საქართველოში ფსბ-ს დავალებით, სწორედ ბურჯანაძის პარტიის გასაძლიერებლად ჩამოდისო...**

— მე და ნინო ბურჯანაძე იურიდიულ ფაკულტეტზე ერთად ვსწავლობდით. დიდი ხანია ვიცნობ და, შესაბამისად, კახა კუკავას შუამდგომლობა არ მჭირდება. მასთან კონკრეტულ გეგმებზე ჯერ არ მისაუბრია, თუმცა არ დაგიმალავთ:

**მარტის დასაწყისში საქართველოში ჩამოსვლას ვგეგმავ და ბურჯანაძესაც გავესაუბრები. საბოლოოდ, ამის მერე გადაწყდება ყველაფერი. ყოფილი მეგობრებისა და კოლეგების ურთიერთობას ხელი არაფერმა უნდა შეუშალოს. რაც შეეხება რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან ჩემ კავშირს, დიახ, ფსბ-ს ყოფილ ხელმძღვანელობასთან ვმეგობრობ. რა არის ამაში გასაკვირი? იგივე რანგის მეგობრები ამერიკაშიც მყავდა. დღეს რუსეთში ვარ და კოლეგებთან მეგობრული ურთიერთობა შევინარჩუნე. არ დამიმალავს, რომ პუტინთანაც ვიწრო სამკაციან ვახშამზე ვყოფილვარ და საზოგადოებამ განსაზღვროს, ეს მეგობრობაა, კოლეგიალობა თუ რამე სხვა.**

**— და ამის შემდეგ, საზოგადოებას არწმუნებთ, რომ პუტინის პროექტი არ ხართ და რუსული პოლიტიკური ელიტის დახმარებით არ აპირებთ მესამე ცენტრის შექმნას, მაგალითად, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ?**

— აბსურდია! როგორ ფიქრობთ, პუტინი მოსკოვში ზის და იმაზე ფიქრობს, ვალერი ხაბურძანიამ რა ტიპის მოძრაობა უნდა შექმნას ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ? ასე, მარტივად, პოლიტიკას არ უნდა შევხედოთ. ნურც ქართველი ე.წ. ექსპერტები იქნებიან ასეთი გულუბრყვილოები. არ უარვყოფ, მოსკოვი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით დაინტერესებულია, თუმცა რუსული პოლიტიკური ელიტიდან პირადად მე, ჯერჯერობით, არავინ დამკავშირებია. არც კრემლის პროექტი ვარ. 9-წლიანი პოლიტიკური დუმილი საკუთარი ინიციატივით დავარღვიე. ვაღიარებ, უპერსპექტივო საქმე წამოვიწყე, რადგან პრორუსულ ვექტორს საქართველოში მომავალი არ აქვს!

**— თუ ასეა, გაუგებარია, წინასწარ წაგებულ ომში რა მიზნით მიდიხართ?**

— დიახ, ჯიუტად, მაინც ამ გზით მივდივარ და კარგი იქნება, თუ ვინმე ზურგს გამიმაგრებს, თუნდაც ფინანსურად, მაგალითად — ორმაგი მოქალაქეობის მქონე ქართველები. ეჭვი არ მეპარება, საქართველოს გადარჩენის ერთადერთი წინაპირობა სამწევრიანი პოლიტიკური პლატფორმის ჩამოყალიბებაა: დასავლური ვექტორისა და ნაციონალური ხაზის მქონე პარტიებთან ერთად, რუსული პოლიტიკური ორიენტაციის ლეგალიზებაც უნდა მოხდეს. თუ ვინმე ფიქრობს, ოკუპაციის ფონზე, პრორუსულობაზე როგორ უნდა ვიფიქროთო, სერბეთის მაგალითი გაიხსენოს.

დსთ-ში დაბრუნებით მნიშვნელოვან შედეგებზე გავალთ, თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან ქართული ღვინო არ დაიბეგრება. თანამედროვე მსოფლიოში არავინ არაფერს მოგვცემს, თუ ვითარება თავად არ გამოვიყენეთ. რუსეთთან მჭიდრო კავშირი უნდა აღვადგინოთ, მაგრამ არა იმ ფორმით, როგორც ამას ქართული მხარე დღეს აკეთებს. ნატო-სკენ მივდივართ, მაგრამ რუსებო, ნუ გეშინიათ, თქვენთანაც ვიმეგობრებთო, ასე არ გამოვა. ტერიტორიულ მთლიანობას ასე ვერ აღვადგენთ. პირიქით, რუსეთთან ურთიერთობა თუ აღვადგინეთ და დასავლეთთან ნელ-თბილ ურთიერთობას შევინარჩუნებთ, გაძლევთ გარანტიას, ოკუპირებულ ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ და ეკონომიკურ მდგომარეობასაც გავიუმჯობესებთ.

**— ამის გარანტია პუტინთან ვახშმობისას მიიღეთ?**

— არა, ეს ჩემი მოსაზრებაა. დეოკუპაცია დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის გარეშე წარმოუდგენელია. ისევ ჩაკეტილ წრეზე ვტრიალებთ, ამიტომ ვთავაზობ საზოგადოებას რუსულ ვექტორსა და ჩემ მიერ წარმოდგენილ პოლიტიკურ კურსს. სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობა ადრე არ მქონდა. „ნაციონალების“ მმართველობის პირობებში, პოლიტიკური ამბიციების შესახებ რომ გამეჟღერებინა, ჩემთან ერთად მყოფ ადამიანებს საფრთხის წინაშე დავაყენებდი. არ ვარ ის ადამიანი, რომელიც პოლიტიკური ეგოს დასაკმაყოფილებლად თანამებრძოლებს გაწირავს. საბედნიეროდ, ახლა ქვეყანაში სხვა ვითარებაა.

**— მართალია, რომ პოლიტიკაში ჩართვის სურვილი ოქტომბრის არჩევნებამდე გამოთქვით და ვანო მერაბიშვილთან ნიკა ლალიაშვილი იმ მიზნით მიაგზავნეთ, რომ ერთ-ერთ ოლქში მაჟორიტარად თქვენი კანდიდატურისთვის მხარი დაეჭირა?**

**— ვანო მერაბიშვილი არ მდებდა პატივს, მასთან ურთიერთობა მქონოდა. ერთადერთი, ვისთანაც ნიკა ლალიაშვილი ურთიერთობდა, გივი თარგამაძე იყო, რომელსაც ხშირად „ზაპოი“ ჰქონდა და დანაბარების წაღება-წამოღება ნაკლებად შეეძლო. ლალიაშვილთან ვმეგობრობ, მაგრამ ვისი მხრიდან უნდა დამეყენებინა კანდიდატურა? „ნაცმოძრაობიდან“ გამორიცხულია, „ქრისტიან-დემოკრატებთან“ ურთიერთობა არ მომწონდა, რადგან ისინი მუდმივად დასავლეთისკენ მიისწრაფოდნენ, აი, კახა კუკავას რომ ჰქონოდა შესაძლებლობა, მაჟორიტარ კანდიდატად მართლაც მიხილავდით. საქართველოში არჩევნებამდე რომ ჩამოვსულიყავი, „ნაცმოძრაობა“ მაშინვე „ენვერი 2“-ის სპექტაკლს გაითამაშებდა. ვიცი, ჩემს წინააღმდეგ მაშინდელი ხელისუფლება გარკვეულ პროვოკაციებს ამზადებდა, ჩემი დასაკავებლადაც ემზადებოდნენ, მაგრამ ამის საბაბი არ მივეცი. ახლა ჩემი დაკავების სურვილი არავის აქვს, ამიტომ საქართველოში ხშირად მნახავთ.**

## ვერსიანიუსი

### ელჩობის კანდიდატები პარლამენტში, შესაძლოა, კვლავ საგარეო უწყებამ წარადგინოს



პარლამენტში ელჩობის კანდიდატები სამომავლოდ, შესაძლოა, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ნაცვლად, კვლავ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა წარადგინოს.

ამის შესაძლებლობა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ხელაიამ არ გამორიცხა. მანვე, 20 თებერვალს, პარლამენტის სხდომაზე, ელჩობის რამდენიმე კანდიდატი წარადგინა.

მინისტრის მოადგილის თქმით, მათთვის ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი მოუცლელობის გამო ვერ წარადგენდა კანდიდატებს, რის გამოც ეს ფუნქცია დელეგირებული იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებზე. მან არ გამორიცხა, რომ სამომავლოდაც ასე მოხდეს.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი დიმიტრი ძაგნიძე პლენარულ სხდომაზე მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის ვაკანტურ თანამდებობაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურებთან დაკავშირებით გამოვიდა მოხსენებით.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კი, პარლამენტს წარუდგინა საფრანგეთში და „იუნესკოში“, უნგრეთში, ლატვიაში, აშშ-ში, ჩეხეთში, უკრაინაში, იტალიაში, ბელგიასა და ავსტრიაში ელჩობის კანდიდატები.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ზურაბ ადეიშვილმა მარიკა ვერულაშვილის ქმარი უკრაინაში ბიზნესის გამო დაიჭირა?





მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**რატომ დატოვა საპარლამენტო უმცირესობა მარიკა ვერულაშვილმა, ადამიანმა, რომელიც ჯერ კიდევ სააკაშვილის გაპრეზიდენტებამდე, წლების განმავლობაში, მისი პრესსამსახურის უფროსი, შემდეგ კი პარლამენტის დეპუტატი იყო? არავისთვის დამალული არ არის, რომ მარიკა ვერულაშვილსა და ეკა ბესელიას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. პრესაში უკვე გაკეთდა კიდეც აქცენტი — შვილის ნათლია ბესელიამ ხომ არ გადაიბირა? გადაბირების მიზეზად ის სისხლის სამართლის საქმე დასახელდა, რომელიც ერთი წლის წინ, მარიკა ვერულაშვილის მეუღლის წინააღმდეგ აღიძრა.**

## უკავშირდება თუ არა ამ ფაქტს დეპუტატის „ნაციონალებიდან“ წასვლა

2011 წლის ზაფხულში, საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სამართალდამცველებმა თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტისთვის, რელსების შემოტანის ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ხელმძღვანელი, პარლამენტარ მარიკა ვერულაშვილის მეუღლე, სოსო ჩხაიძე და მისი პარტნიორი, ვასილ ჩიგოგიძე დააკავეს. დაკავების ზუსტი მიზეზი უცნობი იყო, მაგრამ ერთ-ერთ ვერსიად, თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტში ქალაქის მერის, გიგი უგულავასა და მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის ინტერესების დაპირისპირება დასახელდა.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ რკინიგზის ბიზნესში ვანო მერაბიშვილის ინტერესები იკვეთებოდა, მაგრამ თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტს გიგი უგულავა აკონტროლებდა. ამიტომ, რელსების შემოტანის ტენდერში, თბილისის მერმა, მისთვის სასურველ ჩინურ კომპანიას გაამარჯვებინა. ჩინური კომპანიის ქართულ წარმომადგენლობას კი სოსო ჩხაიძე და ვასილ ჩიგოგიძე ხელმძღვანელობდნენ.

მარიკა ვერულაშვილის მეუღლის დაპატიმრებით, რომელიც რამდენიმე დღეში გაათავისუფლეს, ვანო მერაბიშვილმა, გიგი უგულავა გააფრთხილა და საკუთარი უპირატესობაც დაუმტკიცა. კულუარებში საუბრობენ, რომ მარიკა ვერულაშვილს, მისმა მეგობარმა მეუღლის დაპატიმრების, ასევე შემოვლით რკინიგზასთან დაკავშირებით, შარშანდელი დაპირისპირების ფაქტები შეახსენა და პარტიის დატოვება ურჩია.

**ეს ინფორმაცია „ვერსიამ“ კარგად ინფორმირებულ წყაროსთან გადაამოწმა, რომელმაც მარიკა ვერულაშვილის მეუღლის დაპატიმრების ფაქტი დაგვიდასტურა, მაგრამ განგვიმარტა, რომ სისხლის სამართლის საქმე არა ვანო მერაბიშვილმა, არამედ იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა, ზურაბ ადეიშვილმა აღძრა. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, მარიკა ვერულაშვილის მეუღლეს შემოვლით რკინიგზასთან არავითარი ბიზნეს-ინტერესი არ გააჩნდა. მეტიც, სოსო ჩხაიძე საერთოდ არ ყოფილა ამ პროექტში ჩართული. წყარო გვიამბობს, რომ დეპუტატის მეუღლის წინააღმდეგ, სისხლის სამართლის საქმე ზურაბ ადეიშვილმა სულ სხვა ფაქტის გამო აღძრა, რაც სოსო ჩხაიძის უკრაინაში ბიზნესს უკავშირდება და არა შემოვლით რკინიგზას. წყაროს ინფორმაციით, ეს იყო რეალური მიზეზი, რის გამოც მარიკა ვერულაშვილმა საპარლამენტო უმცირესობა დატოვა და არა გადაბირება, ან თუნდაც რაიმე ტიპის ზეწოლა.**

მარიკა ვერულაშვილის მეუღლე თბილისის შემოვლით რკინიგზას პირდაპირ არა, მაგრამ მეგობრისა და პარტნიორის საშუალებით, ირიბად უკავშირდება. იმის გამო, რომ ეს პროექტი 2013 წელს უნდა დასრულებულიყო, „ვერსია“ დაინტერესდა, მშენებლობის რა სტადიაზეა პროექტი, რის გამოც ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავას ბიზნეს-ინტერესები გადაიკვეთა.

**ვანო მერაბიშვილისა და გიგი უგულავას ბიზნეს-ინტერესი თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტთან დაკავშირებით გადაიკვეთა... გამორიცხული არ არის, ამ პროექტის აბსურდულობის გამო, თბილისის მერის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.**

შეგახსენებთ, რომ თბილისის შემოვლითი რკინიგზის ხაზის პროექტს შპს „საქართველოს რკინიგზა“ ახორციელებდა. ამ პროექტის მიხედვით, თბილისის ზღვის ჩრდილოეთით, ახალი სარკინიგზო ტრასა უნდა აშენებულიყო, რომელიც დედაქალაქში მოძრაობას განტვირთავდა და ცენტრალურ ნაწილს, გარეუბნებთან უმოკლეს დროში დააკავშირებდა. თუკი სარკინიგზო ინფრასტრუქტურა თბილისის ცენტრიდან, ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში გადავიდოდა, სატვირთო და სამგზავრო მატარებლები თბილისის ცენტრალურ ნაწილს აღარ გადაკვეთდნენ.

ამ პროექტით, 30 კმ სიგრძის, ახალი, ორლიანდაგიანი სარკინიგზო ხაზი აშენდებოდა, რომელიც არსებულ ხაზს ზაჰესთან გამოეყოფოდა, გაივლიდა ავჭალისა და გლდანის ტერიტორიებს, ასევე თბილისის ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობს და კახეთის სარკინიგზო ხაზს, სადგურ ლილოსთან შეუერთდებოდა. ამავე პროექტით, თბილისის ცენტრალურ სადგურს გააუქმებდნენ, ხოლო „დიდუბისა“ და „ნავთლუღის“ სადგურებს გაარემონტებდნენ. „ნავთლუღი“ აღმოსავლეთის მიმართულების, ხოლო „დიდუბე“ — დასავლეთის მიმართულების მგზავრებს მოემსახურებოდა.

თბილისის შემოვლითი რკინიგზის ხაზის პროექტირებისა და მშენებლობის საერთაშორისო ტენდერის შედეგად, გამარჯვებულად ქართულ-ჩინური კონსორციუმი გამოვლინდა, რომლის საქართველოში წარმომადგენელი ს/ს „ხიდმშენი“ იყო. პროექტის ეკონომიკურ-ტექნიკური დასაბუთების მიხედვით, ახალი სარკინიგზო ტრასის მშენებლობის ვადად 3 წელი დასახელდა. მშენებლობა 2010 წელს დაიწყო და 2013 წელს უნდა დასრულებულიყო. პროექტის ღირებულება 170 000 000 ევრო იყო, საიდანაც 100 000 000 ევრო, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა („იბიარდი“), შპს „საქართველოს რკინიგზას“ სესხის სახით გამოუყო, ხოლო 70 000 000 ევრო შპს „საქართველოს რკინიგზას“ უნდა დაეფარა. იმასაც შეგახსენებთ, რომ მოგვიანებით, ეს პროექტი „იბიარდმა“ დატოვა.

„ვერსია“ შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის მრჩეველს, **გია ხუხაშვილს** დაუკავშირდა, რომელმაც აღნიშნა, რომ თბილისის შემოვლითი გზის პროექტი ამჟამად შეჩერებულია და გამოძიება მიმდინარეობს:

**„ეს საკმაოდ მძიმე პროექტია, სრულიად გაუმართლებელი, დანაშაულებრივიც კი, რომელიც თავის დროზე ისე შეფუთეს, თითქოს ქალაქში მოძრაობა განიტვირთებოდა. სინამდვილეში, ამ ტიპის შემოვლით, გზა უფრო გრძელდება, რადგან თბილისის ჩრდილოეთით მაღლობებია. ეკონომიკური თვალსაზრისით, აბსოლუტურად დაუსაბუთებელი პროექტია და ამიტომ, ახლა ამ პროექტის განხილვა მიმდინარეობს, ექსპერტიზას გადის, რათა ყველა ის დეტალი გადამოწმდეს, რაც ახლა გითხარით. თბილისის შემოვლითი გზის პროექტი ახლა გაჩერებულია და დარწმუნებულიც კი არ ვარ, ღირს თუ არა ამ პროექტის დასრულება. ძალიან დიდ ტვირთად დააწვება არა მარტო „საქართველოს რკინიგზას“, არამედ — სახელმწიფო ბიუჯეტსაც, რადგან როგორც გითხარით, შემოვლითი გზა საკმაოდ ხარჯიანია“.**

გია ხუხაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ლოგიკურია, შემოვლითი გზის პროექტით თბილისის მერი, გიგი უგულავა დაინტერესებულიყო, რადგან ის ამ პროექტს სერიოზულად ლობირებდა. მისივე თქმით, თუ ექსპერტიზა თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის აბსურდულობას დაასკვნის, გამორიცხული არ არის, გიგი უგულავას პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

## მიხეილ სააკაშვილი: „ახლა გაჩნდა შანსი — გადის ახალი მატარებელი“



ამ წლების შრომის შედეგად ვვარაუდობდი, პრეზიდენტობას დავასრულებდი იმით, რომ ვილნიუსის სამიტზე მოლდოვასთან ერთად საქართველო მიიღებდა ევროკავშირის პერსპექტივობის განცხადებას, — ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა ავლაბრის რეზიდენციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, ეს მომავალში აჩენდა პოტენციურ შესაძლებლობას, რომ საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი გამხდარიყო, რაც **„არის ნამდვილი გეოპოლიტიკური გადატრიალება საქართველოსთვის და მთელი ეს რეფორმირებული ქვეყანა მოგვეთავსებინა უსაფრთხო გარემოში“.**

**„ჩვენ გვქონდა რეალური შანსი, 2014 წელს მოვხვედრილიყავით და გვაქვს ჯერ კიდევ, ნატო-ს გაფართოების შემდეგ ტალღაზე. თუ ჩვენ ამ მატარებლებიდან ჩამოგვსვეს, ჩვენი ერთადერთი მომკითხავი ამ დაცარიელებულ პლატფორმაზე, რაც არ უნდა დეკლარაციები ვაკეთოთ, რაც არ უნდა ელჩები და დელეგაციები გავაგზავნოთ, ერთადერთ ჩვენი მომკითხავი ჩვენი ქვეყნის ბოლო საუკუნეების დამპყრობელი, გამანადგურებელი და მიწასთან გამსწორებლები იქნებიან. ამდენი წელი ვაშენებდით საქართველოს ევროპულ მომავალს. რასაც ახლა ვისმენ, ამ რიტორიკით, ამ ყველაფერს აქვს პოლიტიკური ფასი და ის დაგვედება ვალად, რომლის გადახდა ჩვენს შვილებს მოუწევთ“,** — აღნიშნა სააკაშვილმა.

მისი თქმით, საქართველოს 90-იან წლებში ჰქონდა შანსი ბალტიის ქვეყნებთან ერთად **„ჩამჯდარიყო იმ მატარებელში, რომელიც მიგვიყვანდა ევროკავშირსა და ნატო-ში. მაშინ ვიყავით ჩათრეული სამოქალაქო ომში, კორუფციაში, წყვდიადში და მატარებელი გავიდა ჩვენს გარეშე, საქართველო კი დარჩა იმ პლატფორმაზე, სადაც იყო. ახლა გაჩნდა შანსი – გადის ახალი მატარებელი. ერთში სხედან ნატო-ს ასპირანტი ქვეყნები და საქართველოს აქვს მასზე ბილეთი აღებული, მეორე მატარებელი კი გადის ევროკავშირისკენ და აქაც ჩვენ მოლდოვასთან ერთად გვაქვს ბილეთი, მაგრამ თუ გავაგრძელებთ ამ გზით სიარულს, თუ ჩვენ საქართველოში მოვინდომეთ უახლოეს თვეებში პოლიტიკური ოპოზიციის განადგურება, თუ ვიარეთ არასწორი — შურისძიების გზით, ჩვენ ამ ბილეთებსაც გაგვიუქმებენ და ეს ორივე მატარებელი გავა ისევ საქართველოს გარეშე“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

## ვერსიანიუსი

### გოგი ქავთარაძე „ნაციონალების“ კანონგარეშედ გამოცხადებას ემხრობა



ვეთანხმები აზრს, რომ ნაციონალური მოძრაობა კანონგარეშედ გამოცხადდეს, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, გოგი ქავთარაძემ 20 თებერვალს, პარლამენტის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, საზოგადოების აქტიური წევრები ამბობენ, რომ ნაციონალური მოძრაობის მიმართ უმრავლესობა ლმობიერებას იჩენს.

**„ისინი საკითხს ასე სვამენ, რომ არავითარი შეთანხმება ამ ხალხთან არ გამოდის, არც გამოვა არასოდეს, ჩვენ ვაშენებთ ქვეყანას და მშენებლობის დროს ისინი ჩვენ არ გამოგვადგებიან. ამიტომ, ისინი გვთავაზობენ, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც დამნაშავე, გამოცხადდეს კანონგარეშე. ეს არის მათი აზრი, თუმცა ვეთანხმები“,** — აღნიშნა ქავთარაძემ.

*„ინტერპრესნიუსი“*

### რიჩარდ ნორლანდი: „მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობის პატივისცემა, რათა შერჩევითი სამართალი ავიცილოთ“



ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის კონსტრუქციულ სულისკვეთებას მიესალმება.

მისი თქმით, გარკვეულ საკითხებზე მხარეების შეთანხმება მისასალმებელია, თუმცა რამდენიმე თემაზე სამუშაო ისევ რჩება.

**„შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობის პატივისცემა, გამოძიების წარმართვა მართლმსაჯულების პრინციპების დაცვით, რათა შერჩევითი სამართალი თავიდან იყოს აცილებული“,** — აღნიშნა ნორლანდმა.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „ქიმერიონი“, „ჩელთი“, „შატო-მანავი“, „საქართველო“, „კახეთი 3 000“, „ახაშენი 2005“ და „ბორჯომი“ რუსეთის ბაზარზე მაისში დაბრუნდება



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**„ვერავინ გაბედავს კერძო ბიზნესში ჩარევას, მთავრობის არც ერთ ჩინოვნიკს არ ექნება უფლება, კერძო ბიზნესში უკანონოდ ჩაერიოს. მე მგონია, რომ ამ მოკლე დროში, ბიზნესმენებმა ეს კარგად გააცნობიერეს. ჩვენ აუცილებლად მოვახერხებთ საქართველოს ეკონომიკის აღორძინებას“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, 19 თებერვალს, ბიზნესმენებთან გამართულ მეორე შეხვედრაზე. მას შემდეგ, რაც ბიზნესი წნეხისგან გაათავისუფლა, პრემიერმა, ბიზნესმენებსა და უცხოელ ინვესტორებს, მის მიერ ინიცირებულ საინვესტიციო ფონდებში კაპიტალის დაბანდებაც ურჩია. საქართველოს სუვერენული ფონდი, კერძო საინვესტიციო ფონდი და ახალგაზრდა ბიზნესმენების წასახალისებელი ფონდი, უახლოესი ორი თვის განმავლობაში ამუშავდება. 19 თებერვლის შეხვედრას, „საქართველო-რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ცენტრის“ ხელმძღვანელი, გიორგი სეთურიძე ესწრებოდა, რომელმაც წინა დღეს, ალკოჰოლური კომპანიების მწარმოებლების კავშირი შექმნა. არის თუ არა ქართული ბიზნესი მზად იმისთვის, რომ ბიძინა ივანიშვილის ფონდებთან ითანამშრომლოს და როდის დაბრუნდება ქართული პროდუქცია რუსეთის ბაზარზე? ამ დეტალებზე „ვერსიას“ გიორგი სეთურიძე ესაუბრება.**

— ბევრი ინვესტორი და ბიზნესმენი, ვინც პრემიერ-მინისტრის შეხვედრას ესწრებოდა, მართლაც ღირსეული მეწარმეა, მაგრამ იქ ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც მორალური უფლება არ ჰქონდათ, იქ ყოფილიყვნენ. წინა ხელისუფლების პირობებში, ისინი რეალური კრიმინალები იყვნენ, ეს ის ხალხია, რომლებმაც ბიზნესი წნეხში მოაქციეს. ისიც საკითხავია, ვინ უფრო ბევრს სცოდავს — უშუალოდ, დანაშაულის ჩამდენი თუ დამკვეთი? არ შეიძლება, ვიღაცამ თქვას, ავალებდნენ და ამას იმიტომ აკეთებდა, რადგან თუ დამკვეთს შემსრულებელი არ ეყოლება, დანაშაულს ვერასოდეს ჩაიდენს. დარწმუნებული ვარ, საგამოძიებო სტრუქტურების უფრო აქტიური მუშაობის შედეგად, დამნაშავეები გამოვლინდებიან, შესაბამისად, მე და ჩემი კოლეგები დემოტივირებულები აღარ ვიქნებით, რომ ასეთ შეხვედრებზე, ისევ იმ ხალხის გვერდით არ აღმოვჩნდებით, რომლებიც წარსულში დამნაშავეები იყვნენ, მაგრამ „ტრანსფორმაციის“ შედეგად, ახლა უდანაშაულო კრავებად გვევლინებიან...

**— ვინ არიან თაღლითი ინვესტორები და ბიზნესმენები, ვის არ ჰქონდა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე დასწრების უფლება?**

— დაკონკრეტება არ მინდა, მაგრამ იმ შეხვედრას ესწრებოდნენ თაღლითი უცხოელი ინვესტორები, რომლებიც იქ არ უნდა ყოფილიყვნენ. ნებისმიერ შეხვედრაზე დასწრების უფლება ყველას აქვს, მაგრამ ვინც მათი წარსული იცის, ამ ადამიანების გვერდით, ერთ დარბაზში ყოფნა სრული დემოტივაციაა. პირველ რიგში, ჩვენ, ადგილობრივ მეწარმეებს გვაქვს უფლება, რომ კანონმდებლობამ ასეთი პირებისგან დაგვიცვას...

ზოგადად, რასაც ახალი მთავრობა აკეთებს, ბიზნესის კლასიკური კანონების მიხედვითაა გაწერილი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პირობებში, ყველაფერი პირიქით კეთდებოდა. სხვადასხვა მშენებლობებს რომ იკვეხნიან, იმდენი უაზრო ნაგებობა აშენდა, იმდენი ბიზნესი დაინგრა, რომ ეკონომიკა, მინიმუმის მინიმუმზე დაიყვანეს. ეს მეწარმეების ხელშეწყობა კი არა, თანამდებობის პირების მიერ, მათ მმართველობაში უხეში ჩარევა იყო. რატომ გვავიწყდება ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის კლანები? ისინი, მართლაც, გაუგებარი ზნეობის ადამიანები იყვნენ, რომლებიც ჩვენმა საზოგადოებამ უცხო სხეულივით განკვეთა, თუმცა ის, რაც 9 წლის მანძილზე დაინგრა, ასე უცებ ვერ აშენდება.

**— ბატონო გიორგი, ამ შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა ყურადღება საინვესტიციო ფონდებზე გაამახვილა, მაგალითად, თუ უცხოელი ინვესტორი მისთვის სასურველ პროექტს 25%-ით დააფინანსებს, საინვესტიციო ფონდი მას 75%-ით დაეხმარება. როგორ გგონიათ, ქართული ბიზნესი მზადაა, პრემიერ-მინისტრის ფონდებთან ითანამშრომლოს?**

— პირველ რიგში, ინვესტორების კლასიფიკაცია განვიხილოთ: ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესი განადგურდა. საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით, ყველაზე დიდი ბიზნესიც კი საქართველოში, საშუალო ბიზნესის პარამეტრებს ვერ ცდება, მსხვილი ბიზნესი აღარ არსებობს, მოისპო. სამშენებლო ბიზნესი წინა ხელისუფლებამ გაანადგურა, ყველა სამშენებლო კომპანია, რომელიც არსებობდა, ან ნაციონალური მოძრაობის კლანის ნათესავი, ან მათი მენეჯერი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვას ქონებას უყადაღებდნენ, თანხებს ართმევდნენ, რაც ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილს, საკმაოდ კარგად გამოსდიოდათ. როგორც გითხარით, მსხვილი ბიზნესი აღარ არსებობს, მცირე და საშუალო ბიზნესში კი, რაც ეკონომიკის ქვაკუთხედია, უცხოური ინვესტიცია მიზერული იქნება. წინა ხელისუფლების აბსოლუტურად მცდარი მიდგომა იყო და ამას ახალი ხელისუფლებაც აგრძელებს, როდესაც უცხოელ ინვესტორებს გარკვეული პრივილეგიები უნდა მივანიჭოთ. არადა, უცხოელი ინვესტორი არაფრით არ სჯობს ადგილობრივ მეწარმეს. პირდაპირ გეტყვით, რომ არსად, არც გერმანიაში, ამერიკაში, თურქეთში, აზერბაიჯანში სომხეთში და მით უმეტეს, რუსეთში, უცხოელ ინვესტორებს არ ეფერებიან. პირიქით, თუ ინვესტორმა ადგილობრივ მეწარმეს ზიანი მიაყენა, მას თავისივე ქვეყნის კანონმდებლობა იცავს. არ ვიცი, ჩვენთან სტუმრის კულტი მოქმედებს, თუ რა ხდება, ვერ გეტყვით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი მეწარმეები ზარალდებიან იმ თაღლითების გამო, რომლებიც საქართველოში, ინვესტორების სახით ჩამოდიან.



ვინ არიან თაღლითი ინვესტორები და რატომ არ უნდა დასწრებოდნენ ისინი ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას?

მაგალითებიც სახეზე გვაქვს, პირები, რომლებიც საჯარო რეესტრში არიან რეგისტრირებულები და მათი დოკუმენტები, რომლებიც საიტზეა ატვირთული, რიგითი იურისტის, ან გამომძიებლის მიერ ფასდება, როგორც თაღლითობა და ძალაუფლების გადამეტება, აი, სწორედ ასეთი ინვესტორები ესწრებიან პრემიერ-მინისტრის მოწყობილ შეხვედრას და იმედია, გამოძიება ძალიან მალე, საკუთარ ადგილს მიუჩენს. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით ჩატარდა, სამართლიანობა კი, კანონის ფარგლებში უნდა აღდგეს. შესაბამისად, კანონი ისეთივე მკაცრი უნდა იყოს, რა სიმკაცრითაც ადგილობრივი მეწარმეები უკანონოდ მკაცრად დაისაჯნენ, თორემ თუ კაცმა გული არ მოიფხანა, სამართლიანობა ბუჩქებსა და სადარბაზოებში გადაინაცვლებს.

**— ორიოდე დღის წინ, ალკოჰოლური სასმელის მწარმოებლები შეკრიბეთ და კავშირიც შექმენით, რომ ქართული პროდუქცია რუსეთის ბაზარზე გაიტანოთ. მხოლოდ იმ კომპანიების პროდუქციას გაიტანთ, რომლებიც თქვენ გააერთიანეთ, თუ სხვებიც უნდა შემოგიერთდნენ?**

— ეს არის „ქართული ღვინის ექსპორტიორთა ასოციაცია“, სადაც ძირითადად, ქართული ღვინისა და კონიაკის მწარმოებლები გაერთიანდნენ. ზოგადად, ჩვენი კომპანია, „საქართველო-რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ცენტრი“, ნებისმიერ ბიზნესმენს, ან კომპანიას, რომელსაც ასეთი მომსახურება სჭირდება, იურიდიული და ფინანსური კონსულტაციებით ეხმარება. დაახლოებით, 12 ქარხანაა გაერთიანებული ჩვენს ასოციაციაში და მათ არა მარტო კონსულტაციას ვუწევთ, არამედ — რუსეთში, პარტნიორის მოძებნაშიც ვეხმარებით. უკვე არსებობს რამდენიმე კომპანია, რომლებსაც ყველაფერი წესრიგში აქვთ, რაც ჩვენი და ჩვენი კოლეგების დამსახურებაა, მაგრამ არიან კომპანიები, რომლებმაც ეს საკითხები უნდა დაალაგონ ანუ კონსულტაციები ჯერ კიდევ სჭირდებათ. ყველა ეს კომპანია საერთო მიზნის გარშემო გაერთიანდა — მათთვის რუსეთის ბაზარი პრიორიტეტულია და ამის თქმის არ ეშინიათ. წინა ხელისუფლების პირობებში, რუსეთის ბაზრის დაბრუნებაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო, რადგან ჯერ კიდევ 2011 წლის 11 ნოემბერს, რუსეთის პრემიერ-მინისტრის ბრძანების მიხედვით, ქართული პროდუქცია რუსეთის ბაზარზე უკვე დაშვებული იყო, მაგრამ საქართველოს მხრიდან, ამაზე უხეში რეაქცია მივიღეთ. ვისაც არ სჯერა, პირადად ავუხსნი, რომ წინა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა საქართველოს რუსეთის ბაზარი დაეკარგა! ხაზგასმით აღვნიშნავ, ჩვენი ჯგუფი მიიჩნევს, რომ დემოკრატიული ფასეულობებისათვის უნდა ვიბრძოლოთ და დავუახლოვდეთ დასავლეთს, ხოლო, რაც შეეხება ეკონომიკას, საქართველოსა და დასავლეთის ეკონომიკის დაახლოება შორეული პერსპექტივაა. მიუხედავად ამისა, ყველა ბაზარი უნდა გამოვიყენოთ, რუსეთი იქნება თუ პანამა, რათა ზედმეტი 1 ლარი მოვიპოვოთ და ჩვენს ეკონომიკას შევმატოთ. ამ შემთხვევაში, რუსეთი მართლაც პრიორიტეტულია და დარწმუნებული ვარ, ეკონომიკური გზით, ბევრი პრობლემა მოგვარდება.

**— უკვე იცით, როდის დაბრუნდება ქართული პროდუქცია რუსეთის ბაზარზე?**

— ქართული ღვინისა და წყლის ექსპორტი მაისში დაიწყება და მასშტაბურ ხასიათს ივნისში მიიღებს. თუ ჩვენი საწარმოები რუსეთში ივნისამდე არ შევლენ, ძალიან ცუდი იქნება, რადგან პროდუქციის მიწოდების შემდგომი გადახდები, უკვე სამ თვეში იწყება, ამიტომ გვინდა, რუსეთის მზარდი ბაზარი ამ წლის მოსავლით ავითვისოთ. მეწარმეებს უკვე უნდა ჰქონდეთ სახსრები იმისთვის, რომ შემოდგომაზე, გლეხს ყურძნის თანხა გადაუხადონ. მარტივი გათვლაა და დარწმუნებულები ვართ, ყურძნის ფასი, 2006 წლამდე არსებულ ფასს დაუბრუნდება, გლეხები და ფერმერები კი სოლიდურ შემოსავლებს მიიღებენ. ეს იქნება ბაზრის განვითარებით, ბაზრის მოთხოვნებით გამოწვეული ზრდა და არა სოციალური, ან თუნდაც პოლიტიკური ქულების დასაწერი აქცია.

**— რომელი კომპანიები გაიტანენ საკუთარ პროდუქციას რუსეთის ბაზარზე?**

— „ქიმერიონი“, „ჩელთი“, „შატო-მანავი“, „საქართველო“, „კახეთი 3 000“, „ახაშენი 2005“ და ყვარლის რამდენიმე ქარხანა. რაც შეეხება წყლის კომპანიებს, „ბორჯომს“ ყველაფერი წესრიგში აქვს, კომპანიის აქციები საკმაოდ სერიოზულმა საინვესტიციო ჯგუფმა — „ალფამ“ შეიძინა, რომელსაც რუსეთში ყველაზე დიდი სავაჭრო ქსელი აქვს. „ნაბეღლავი“, ჯერჯერობით, არ შევა, რადგან გადაწყვეტილი არ აქვს, მაგრამ თუ პოზიციას შეიცვლიან, მზად ვართ, ხელი შევუწყოთ. „საირმეს“ პრობლემა არ აქვს და ალბათ, შევა კიდეც, როდესაც რუს პარტნიორთან მოლაპარაკებას დაასრულებს.

## ვერსიანიუსი

### გუბერნატორის ინსტიტუტს გააუქმებენ?



2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების შემდეგ, გუბერნატორის ინსტიტუტის გაუქმება იგეგმება.

ამის შესახებ ჟურნალისტებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, დავით ნარმანიამ მიაწოდა ინფორმაცია. მისი თქმით, 21 თებერვალს, მთავრობის სხდომაზე წარდგენილი „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის“ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მოიწონა.

25 თებერვალს, 11:00 საათზე აღნიშნული პროექტის სახალხო განხილვები არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაიწყება.

დოკუმენტის თანახმად, მოხდება სამხარეო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების ფორმირება.

**„სამხარეო დონეზე დაინერგება სამხარეო თვითმმართველობის ძირითადი ელემენტები, რაც წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნას გულისხმობს, არა ისე როგორც დღესაა, არამედ ეს ორგანო იქნება ფორმირებული პირველ დონეზე არჩეული ადმინისტრაციული თვითმმართველობის წარმომადგენლობისგან. მხარეს აღმასრულებელი ხელისუფლება ეყოლება, რომლის მეთაურიც მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იქნება. ამ თანამდებობაზე სამხარეო საბჭო სამ კანდიდატს მთავრობას წარუდგენს და მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მთავრობა დაამტკიცებს“,** — განაცხადა ნარმანიამ.

მისივე თქმით, როცა ჩატარდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და შესაბამისი კანონმდებლობა ძალაში შევა, გუბერნატორის ინსტიტუტი გაუქმდება და მის ნაცვლად, „გაცილებით უფრო დემოკრატიული ინსტიტუტი იქნება შემოთავაზებული“.

*„პირველი“*

### მთავრობის ახალი შენობის მშენებლობა შეწყდა



პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მთავრობის კანცელარიის უკვე არსებულ შენობაში დარჩება, წინა ხელისუფლების მიერ მთავრობისთვის დაწყებული ახალი შენობის მშენებლობა კი შეწყდა. ინფორმაცია მთავრობის კანცელარიის უფროსმა მაია ცქიტიშვილმა გაავრცელა.

**„პრემიერი ამ შენობაში მუშაობს. ჩვენ ახლა არ გვაქვს ფუფუნება, ის ახალ რეზიდენციაში გადავიდეს, ამიტომ ამერიკის საელჩოს ყოფილი შენობა, რომლის რეკონსტრუქციაც იგეგმებოდა, შეწყდა. ახლა ვმსჯელობთ, რა განთავსდება უკვე განახლებულ შენობაში. აქვე უნდა გითხრათ, რომ ამ შენობის უკან შეძენილი იყო მიწის ნაკვეთი, სადაც კანცელარიისთვის შვიდსართულიანი შენობა უნდა აშენებულიყო, თუმცა მისი მშენებლობა დაწყებულიც არ არის. გეტყვით, რომ ახალი კანცელარია პრემიერის აპარატს უნდა გადაცემოდა 2012 წლის 1 სექტემბერს, თუმცა ვადამ გადაიწია და გადაწყდა, რომ 1 იანვარს მომხდარიყო ახალ რეზიდენციაში გადასვლა. ეს შეუძლებელი გახდა, რადგან შენობის მშენებლობა დასრულებული არ არის“.**

ცქიტიშვილისვე თქმით, პროექტს შპს „არტესი“ ახორციელებდა და მისი საერთო ღირებულება 26 მლნ ლარამდე იყო.

კანცელარიის უფროსის ინფორმაციით, აღნიშნული თანხიდან 16 მლნ ლარი უკვე დახარჯულია. **„აღნიშნულ შენობასთან დაკავშირებული დოკუმენტები საგამოძიებო სტრუქტურას გადაეცა და საქმეს ისინი შეისწავლიან“.**

*„პრემიერი“*

# ია ანთაძე: „არასწორია, 50 000 მასწავლებლის სკოლიდან გაშვება დაგვბრალდეს!“



## რა რეკომენდაციებს აძლევს განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისია მარგველაშვილის უწყებას

ნელი თორდია

**„ვერსიის“ №18-ში გამოქვეყნდა სტატია სათაურით — „50 ათას პედაგოგს სკოლიდან გათავისუფლება ემუქრება?!“, სადაც განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიის მიერ შემუშავებული და საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილი, მასწავლებელთა მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის კონცეფცია განვიხილეთ. ჩვენი რესპოდენტის, ერთ-ერთი სკოლის დირექტორის თქმით, კონცეფციის ამუშავების შემდეგ, ზოგადი განათლების სისტემას მასწავლებელთა გაუგონარი დეფიციტი ელის. რესპოდენტი თავის მოსაზრებას იმ არგუმენტით ამყარებს, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, 2015 წლიდან, არასერტიფიცირებულ პედაგოგს მუშაობა ეკრძალება. იმის გათვალისწინებით, რომ დღეისთვის, მასწავლებელთა მხოლოდ 14%-ია სერტიფიცირებული და კონცეფციით გათვალისწინებული ასაკობრივი შეზღუდვების გამო, სკოლას სერტიფიცირებული მასწავლებლების ნაწილიც დატოვებს, მოსალოდნელია არსებული დეფიციტის უფრო გაღრმავება. ჩვენს რესპოდენტს პრეტენზიები რეფორმის სახელმწიფო კომისიის წევრების მიმართაც ჰქონდა, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს, სისტემის პოლიტიკას ქმნიდნენ და კატასტროფული შედეგების თავიდან არიდება ვერ მოახერხეს. „ვერსიასთან“ საუბარში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ მასწავლებელთა დეფიციტის კუთხით გარკვეული პრობლემები მართლაც არსებობს, თუმცა დადგენილ ვადამდე ყველა დარჩენილი პედაგოგის სერტიფიცირებაა შესაძლებელი.**

**წერილის გასვლის შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიის წევრი, ჟურნალისტი ია ანთაძე დაგვიკავშირდა და საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია გაგვაცნო.**

— კონცეფციაზე საუბრისას, უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს ორი დოკუმენტი: მოკლე, სადაც საუბარია კონცეფციის ძირითად პრინციპებზე და ვრცელი, სადაც გაწერილია, როგორ უნდა მოხვდეს მასწავლებელი სკოლაში, როგორ უნდა წარიმართოს მისი პროფესიული ზრდა, როგორ უნდა გაიზარდოს მისი კვალიფიკაცია... დოკუმენტის პირველი ნაწილი გახლავთ მდგომარეობის აღწერა ერთი მხრივ კანონმდებლობის, მეორე მხრივ იმ რეალობის მიხედვით, რომელიც გამოვლინდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით შესრულებული კვლევის შედეგად. კონცეფციაში მითითებული გვაქვს ყველა წყარო, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი მონაცემები ანუ რამდენი პედაგოგია სისტემაში, მათ შორის რამდენია საპენსიო ასაკისა, რამდენია სერტიფიცირებული, როდის უნდა დასრულდეს სერტიფიცირების პროცესი და რა პრობლემები იქმნება ამ ვითარებაში. ამის დეკლარირების შემდეგ იწყება ჩვენი საქმე — რეალობა ასეთია და ვმსჯელობთ, რა უნდა გავაკეთოთ ამის შესაცვლელად. წერილის ის ნაწილი, სადაც საუბარია მასწავლებელთა დეფიციტზე, სრულიად არ ეხება კომისიას, რადგან ჩვენ, უბრალოდ, პერიფრაზი გავაკეთეთ და მკითხველს ვუამბეთ, რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით. ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი ნაწილი — როგორ ვხედავთ მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს და მომდევნო თავები მთლიანადაა ორიენტირებული შექმნილი ვითარებიდან უმტკივნეულოდ გამოსვლის ძიებაზე. მთლიანობაში, კონცეფცია მომწონს, რადგან პოზიტივზეა ორიენტირებული და არა იმაზე, ვინმე საიდანმე გაუშვას და სამსახურის გარეშე დატოვოს. დოკუმენტში გვაქვს შეთავაზებები, როგორ უნდა შევავსოთ სკოლაში დეფიციტი დღეს და ხვალ, როცა სკოლას დატოვებენ პედაგოგები.

**— ჩვენ იმ რისკებზეც ვწერდით, რომლებიც შეიძლება, 2015 წლის 1 იანვრიდან, არასერტიფიცირებული პედაგოგების სკოლისმიღმა დარჩენასა და საპენსიო ასაკის გამო, სკოლიდან მასწავლებლების წასვლას მოჰყვეს.**

— გასაგებია, მაგრამ ეს განათლების სამინისტროს გადასაწყვეტია. განათლების მინისტრის მოადგილე თქვენთან საუბარში ამბობს, რომ შესაძლებელია, დარჩენილ პერიოდში ყველა მსურველის სერტიფიცირება მოესწროს. ისიც შეიძლება, სახელმწიფომ არასერტიფიცირებულ მასწავლებლებთან დადოს დროებითი ხელშეკრულებები, მაგრამ ეს არ არის ჩვენი კონცეფციის თემა, წყაროებზე დაყრდნობით ვამბობთ, რა ვითარებაა ამ მიმართულებით და მდგომარეობა როგორ უნდა გამოსწორდეს.

**კონცეფციის მიხედვით, გამოსავლისკენ მიმავალი გზები მრავალფეროვანია და ვინმეს სკოლიდან გაშვებას კი არა, პედაგოგების დახმარებას, მათი პირობებისა და სოციალური დაცვის გაუმჯობესებას, ასევე, პრესტიჟის ამაღლებას გულისხმობს. დოკუმენტში არსად წერია, რომ ყველა მასწავლებელი, რომელიც მიაღწევს საპენსიო ასაკს, აუცილებლად უნდა წავიდეს სკოლიდან. როცა ბატონი ალუდა ამბობს, რომ სხვა ხედვა აქვთ, რა თქმა უნდა, ჩვენც სხვა ხედვა გვაქვს და ერთი წინადადებაც არ გვითქვამს, როდის უნდა წავიდეს მასწავლებელი სკოლიდან. შესაძლებელია, არა მაინცდამაინც საპენსიო ასაკის გამო, არამედ რომელიღაც სხვა ასაკში, რომელსაც სახელმწიფო განსაზღვრავს, პედაგოგებმა დატოვონ სამსახური, მაგრამ ჩვენს კონცეფციაში ეს შემთხვევაც გათვალისწინებულია. მასწავლებლებს განსაკუთრებით მოეწონათ ერთ-ერთი პუნქტი, სადაც წერია, რომ ამ პროფესიის ადამიანი სამსახურიდან პენსიის სახით უნდა ინარჩუნებდეს ხელფასის მნიშვნელოვან ნაწილს. მაგალითად, 75%-ს და მიდიოდეს ღირსეულად.**

როგორც ხედავთ, ყველაფერი პირიქითაა და 50 000 მასწავლებლის გაგდება კი არა, მათი შენარჩუნება, კვალიფიკაციის ამაღლება და ახალი კვალიფიციური ადამიანების მოზიდვა გვინდა. სხვათა შორის, კონცეფციაში ასახულია 2008 წლის კვლევის შედეგები და უკვე მალე გამოქვეყნდება 2012 წლის კვლევის შედეგებიც, რომელიც იაგო კაჭკაჭიშვილის ინსტიტუტმა დადო. მათი მიხედვით, მდგომარეობა უფრო დამძიმდა და დეფიციტის საფრთხეც გაიზარდა.

**— თქვენი აზრით, რამ მიგვიყვანა ასეთ შედეგებამდე?**

— მდგომარეობა მძიმდება, რადგან ახალგაზრდების შემოდინება არ ხდება, პედაგოგების საშუალო ასაკი იმატებს და პროფესია „ბერდება“. ერთი მხრივ, აუცილებელია პროფესიის გაახალგაზრდავება და მეორე მხრივ, პრესტიჟის ზრდა.

**სახელმწიფომ, დეფიციტის აღმოსაფხვრელად და პროფესიის პრესტიჟის ასამაღლებლად, კონკრეტული ნაბიჯები დროულად თუ არ გადადგა, უახლოეს 10-15 წელიწადში სერიოზული კატასტროფის წინაშე დავდგებით. შეიძლება ძალიან მალე, გარკვეულ ქალაქებსა და სოფლებში, ფიზიკურად, პედაგოგი აღარ გვყავდეს. ჩვენი კონცეფცია იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ წერია, როგორ უნდა დავაინტერესოთ და მოვიზიდოთ ახალგაზრდები, რომ პედაგოგის პროფესია აირჩიონ. როგორ დავაინტერესოთ მეცნიერები, რომ სკოლისკენ შემობრუნდნენ და მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებაში მიიღონ მონაწილეობა.**

აქამდე პედაგოგის კარიერული ზრდის ეტაპები მოიცავდა 8+8 წელს. მიგვაჩნია, რომ ეს ძალიან ბევრია და პედაგოგს ზრდისა და განვითარებისთვის მოტივაციას არ უქმნის. ვფიქრობთ, ეს პერიოდი უნდა შემცირდეს და გახდეს 4+4. კონცეფციაში არაფერია ისეთი, რაც პედაგოგს პრობლემებს შეუქმნის. პირიქით, ყველაფერი გაწერილია ისე, მათი პროფესიული კარიერა უფრო წარმატებული გახდეს. კომისიამ თავისი რეკომენდაციები დადო, თუმცა სამინისტრო არ არის ვალდებული, დაეყრდნოს იმას, რაც ჩვენ სწორად მიგვაჩნია. მნიშვნელოვანია, რომ კომისია შედგება ერთი მხრივ, ცნობილი მეცნიერებისგან, რომლებიც მუშაობენ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, ძალიან კარგად იციან, რა არის საჭირო საქართველოში ვითარების შესაცვლელად და ამ ადამიანებზე უნდა ვიმსჯელოთ მათი პროფესიული გზის მიხედვით, კლიშეების მიწებება კი, არა მგონია, კარგი იყოს.

**— რადგან საუბარი კლიშეებზე ჩამოვარდა, გკითხავთ. კომისიის წევრებმა, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს სისტემაში საკვანძო პოზიციებზე იმყოფებოდნენ და განათლების პოლიტიკას ქმნიდნენ, რა გააკეთეს იმისთვის, რომ ასეთ კატასტროფულ მდგომარეობამდე არ მისულიყავით?**

— მესმის ეს პრეტენზია, მაგრამ კამათში არ შემოვალ, არა იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი მაქვს, უბრალოდ, ამ კომისიის წევრთა კვალიფიკაცია ყველაფერზე მეტყველებს. საქართველოში უკეთესი კვალიფიკაციის ხალხი არ მეგულება და მოდით, ვიმსჯელოთ არა პერსონებზე, პოლიტიკურ მოტივებსა და იმაზე, ვინ ვის ჯგუფში იყო, არამედ ნაშრომზე, რომელიც მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანებმა დადეს. თუ ვინმეს კონცეფციასთან დაკავშირებით აქვს მოსაზრება ან შენიშვნა, სიამოვნებით მოვისმენთ. სხვათა შორის, ერთი კვირა მოვუნდით ამ შენიშვნების გათვალისწინებასა და კონცეფციის გაკეთილშობილებას. იგივეს გაკეთებას მომავალშიც ვაპირებთ, არის პრინციპები, რომლებზეც არ ვდავობთ და არის დეტალები, რომელზეც შეიძლება ვიდავოთ, მაგრამ ის მოგვეწეროს, რაც არ გვითქვამს და 50 000 მასწავლებლის სკოლიდან გაშვება დაგვბრალდეს, არასწორია. სრული აბსურდია იმის თქმა, რომ კონცეფციის მიღების შემთხვევაში, მასწავლებლებს სკოლიდან გაყრიან. ვიმეორებ, ჩვენი კონცეფცია არ განსაზღვრავს, შესაბამისი უწყება ვის გაუშვებს სკოლიდან და ვის დატოვებს. მხოლოდ ამაზეა საუბარი, როგორ შეიძლება, ამ კონცეფციას დააბრალო, რომ სკოლიდან მასწავლებლებს გაყრის, როცა პირიქით, იმისთვის შემუშავდა, არსებულ სიტუაციას ვუშველოთ.

## ბაჩო ახალაიას მომდევნო სასამართლო პროცესი 28 თებერვალს გაიმართება



თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას, გენშტაბის ყოფილ ხელმძღვანელ გიგი კალანდაძის, მე-4 ბრიგადის ყოფილი უფროსის, ზურაბ შამათავას სასამართლო პროცესზე ჟურნალისტებს რამდენიმე წუთით ფოტო და ვიდეოგადაღების საშუალება მისცეს.

პროცესი, ხალხის სიმრავლის გამო დიდ დარბაზში გაიმართა. პროცესს დაესწრნენ ახალაიას მეუღლე და ბრალდებულთა მხარდამჭერები, რომლებიც ბრალდებულების დარბაზში გამოჩენას ტაშით შეხვდნენ.

პროცესის დაწყებამდე სასამართლოს შენობასთან აქცია გაიმართა, რომელშიც, თბილისელებთან ერთად, ზუგდიდელებიც მონაწილეობდნენ. მათი თქმით, ახალაია არის პოლიტიკური პატიმარი და მისი დაკავება სწორედ ამ მოტივით არის განპირობებული.

ამასთან, კომენტარი გააკეთა ახალაიას მეგობარმა გიორგი ონიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აბსოლუტურად ლოგიკურია ბაჩო ახალაიას გირაოთი გათავისუფლება, რადგან იგი თავად დაბრუნდა საქართველოში და გამოძიებას არ მიემალა. ონიანის თქმით, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ვერც მოწმეებზე მოახდენს ზეგავლენას, რადგან საქმესთან დაკავშირებით მოწმეები სრულად არიან დაკითხულნი.

აქციის მონაწილეებმა რამდენიმეწუთიანი პროტესტის შემდეგ სასამართლო დარბაზში გადაინაცვლეს. სასამართლოსთან პოლიცია იყო მობილიზებული.

საბოლოოდ, ბაჩო ახალაიას, გიგი კალანდაძისა და ზურაბ შამათავას, ასევე მათთან ერთად ბრალდებული ხუთი პირის წინასასამართლო პროცესი 28 თებერვლისთვის გადაიდო.

20 თებერვლის პროცესზე კი, საქალაქო სასამართლოში, ბრალდების მხარემ მტკიცებულებების სახით დასაკითხად 200-ზე მეტი დაზარალებულისა და მოწმის ოქმი წარმოადგინა. დაცვის მხარემ, კერძოდ, ბაჩო ახალაიას ადვოკატმა, დავით დეკანოიძემ მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართა, რომ წინასასამართლო პროცესის ვიდეო და აუდიოჩაწერა განხორციელდეს. მოტივად დეკანოიძემ საზოგადოების მაღალი ინტერესი დაასახელა, თუმცა ბრალდების მხარე შუამდგომლობას არ დაეთანხმა, მოსამართლის გადაწყვეტილებით კი, დაკმაყოფილდა შუამდგომლობის ნაწილი და პროცესის აუდიოჩაწერა დაშვებული იყო.

ბრალდებულებმა ბრალი არ აღიარეს. გიგი კალანდაძეს, ბაჩო ახალაიას და ზურაბ შამათავას ბრალი ედებათ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში. ამასთან, ბაჩო ახალაიას ბრალად ედება წამების ორგანიზება. დანარჩენი პირები, ბრალდების ეპიზოდებში თანამონაწილეებად მიიჩნევიან პროკურატურის მიერ. 28 თებერვალს, 11.00 საათზე ჩანიშნულ წინასასამართლო სხდომაზე, მოსამართლე ეკა არეშიძის განცხადებით, განიხილება შუამდგომლობები მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე.

გაირკვა ისიც, რომ ბაჩო ახალაიას, გიგი კალანდაძისა და მასთან ერთად ბრალდებულების საქმეში ბრალდების მხარის ერთ-ერთი მოწმეა შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი და ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ზურაბ არსოშვილი. ამის შესახებ ინფორმაცია გიგი კალანდაძის ადვოკატმა, გოგიტა გაბაიძემ გაავრცელა. მისი თქმით, საზოგადოება მომდევნო სხდომაზე გაიგებს, რა ინფორმაცია მიაწოდა გამოძიებას არსოშვილმა.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „ჩემი შვილი არ გააუპატიურეს. ყველაფერი ასე მოხდა...“



ნინო ლურსმანაშვილი
რედაქტორი

„ვერსიის“ №17 (773)-ში დაიბეჭდა სტატია სათაურით: „SOS! 182-ე სკოლაში მეშვიდეკლასელი ბიჭი გააუპატიურეს“, რომელიც 31 იანვარს, „ნიუს პლუსის“, „საქართველო და მსოფლიოსა“ და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა. ჟურნალისტი ნელი თორდია სწორედ ამ ნიუსის „კვალს“ გაჰყვა და 182-ე სკოლაში მომხდარ ფაქტთან მივიდა. მეტიც, იგი ესაუბრა ამავე სკოლის მოსწავლის მშობელს, რომელმაც დეტალები დააზუსტა და სწორედ ის ინფორმაცია მიაწოდა, რომელიც სტატიაშია აღწერილი (საუბრის ჩანაწერი ინახება ჟურნალისტთან). სააგენტოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში საუბარი იყო ძალადობის ფაქტზე გაუპატიურების მცდელობით და არ იყო მითითებული სკოლა. ჟურნალისტმა გადაამოწმა ფაქტი სკოლის დირექტორთან, რომელმაც ძალადობის ფაქტი საერთოდ უარყო და ასევე განათლების სამინისტროსთან, სადაც განმარტეს, რომ მშობლების წერილი ამ სკოლიდან ა.წ. 4 თებერვალს შესულია, თუმცა იმის გამო, რომ მისი განხილვა არ მომხდარა, დეტალებს ვერ აკონკრეტებენ. ამ საქმის დეტალებს მოგვიანებით განვმარტავთ, მანამდე კი მოგახსენებთ, რომ განათლების სამინისტრომ უკვე მიმართა ჟურნალისტთა ეთიკის კომისიას შესაბამისი დასკვნის გამოქვეყნების მოთხოვნით, ხოლო 182-ე საჯარო სკოლის პედაგოგების სახელით, რედაქციაში მოვიდა საპასუხო წერილი, რომლის გამოქვეყნებაზეც რედაქციამ უარი განაცხადა, ხოლო მიზეზი ადრესატს წერილობით აცნობა. საზოგადოებისთვის კი განვმარტავთ — „ვერსია“ უახლოეს ნომერში გამოაქვეყნებს ჟურნალისტურ გამოძიებას მოზარდების მხრიდან ძალადობის ფაქტებზე და იმედი გვაქვს, სკოლა, განათლების სამინისტროც და ყველა სხვა უწყებაც, ვისაც ამ პრობლემის მოგვარება ევალება, შესაბამის რეაგირებას მოახდენს.

ახლა რაც შეეხება მომხდარ ფაქტს — რედაქციაში დაზარალებული მოზარდის დედა დაგვიკავშირდა, რომელმაც გვითხრა, რომ მის შვილზე ნამდვილად იძალადეს, მაგრამ გაუპატიურების მცდელობაც კი არ ჰქონიათ. ქალბატონმა დაადასტურა ბიჭის ცემისა და მიშარდვის ფაქტიც, რის შემდეგაც მოძალადეები მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ და ემუქრებოდნენ, რომ ამ ინფორმაციას გაავრცელებდნენ. ასევე დაადასტურა ინფორმაცია, რომ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიგვითითა იმ გამომძიებლის ტელეფონის ნომერი, რომელიც ამ ფაქტს იძიებს. მშობლის ნაამბობს „ვერსია“ დეტალურად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, აქვე შემოგთავაზებთ, თუმცა მანამდე, მოგახსენებთ: მიუხედავად იმისა, ვინმეს, განსაკუთრებით სკოლის დირექტორ-მანდატურმასწავლებლებსა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს, სიამოვნებთ თუ არა მსგავსი სტატიების წაკითხვა, „ვერსია“ არ აპირებს, ასეთი ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, „სირაქლემას პოზაში“ ჩადგეს და თვალი დახუჭოს. მეტიც, „ვერსია“ მომავალშიც შეეცდება, მიიღოს პასუხები კითხვებზე — ვის ინტერესებში შედიოდა ჟურნალისტთან იმის მტკიცება, რომ ბიჭი ნამდვილად გააუპატიურეს? ამ კითხვაზე დაზარალებულის დედას თავისი ვერსია აქვს — ეტყობა, ვინმეს ფანტაზია გაეხსნა და მომხდარის შემდეგ, ამბავს, გაუპატიურების ფაქტიც მიამატა. ჩვენ, არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ამის შესახებ, მოძალადემ იტრაბახა ან გაუპატიურების ფაქტი სხვაგან მოხდა და ამ ამბავს უბრალოდ, „მიაბეს“, შემდეგ კი, იმ სკოლის ხელმძღვანელობამ ისევე დამალა, როგორც ამ შემთხვევას მალავდა.

როგორც უნდა იყოს, უზუსტობის გამო, არ ვთაკილობთ, ბოდიში მოვუხადოთ დაზარალებულ ბიჭს (რომლის სახელსა და გვარს შეგნებულად არც ამჯერად ვასახელებთ, მიუხედავად იმისა, რომ მისი და მოძალადეების ვინაობა თავიდანვე ვიცოდით), რომელმაც უმძიმესი ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო. თუმცა არავითარ შემთხვევაში, არ მოვუბოდიშებთ მათ, ვინც ფაქტის გადამოწმებისას სიმართლე დაგვიმალა. ცხადია, დირექტორს ვგულისხმობთ, რომელსაც შეეძლო და მეტიც, ვალდებულიც იყო, უკმეხად ლაპარაკისა და თავიდან მოშორების ნაცვლად, ადამიანურად აეხსნა დეტალები, რითაც თავიდან ავიცილებდით დამდგარ შედეგს. როგორც ირკვევა, ის ვალდებული იყო, დაზარალებულის დედის ტელეფონის ნომერიც მოეცა, რადგან, მომხდარიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, ეს უკანასკნელი სპეციალურად მივიდა სკოლაში, კლასის დამრიგებელს, დირექტორსაც და მანდატურსაც ტელეფონის ნომერი დაუტოვა და სთხოვა, ვინმე ამ ამბით თუ დაინტერესდა, მე დამიკავშირდესო. რატომ არ გაითვალისწინა დირექტორმა მისი თხოვნა? — ამ კითხვაზე ერთადერთი ლოგიკური პასუხი გვაქვს — არ აწყობდა იმის გახმაურება, რაც სკოლაში მოხდა. სამწუხაროა, რომ 182-ე სკოლის დირექტორმაც, საბოლოოდ, მხოლოდ საკუთარ „ტყავზე“ იფიქრა და არა იმაზე, პრევენციისთვის მაინც, მიეღო შესაბამისი ზომები. დირექტორს არც განათლების სამინისტროდან მისვლია რაიმე რეკომენდაცია და სამინისტროში 4 თებერვალს შეტანილ განცხადებას დღემდე განიხილავდნენ. ყოველ შემთხვევაში, „ვერსიის“ №17 ნომერში გასაშვები სტატიის მზადების პროცესში, განცხადება განხილული არ იყო. საინტერესოა, რამდენი დღე სჭირდება სამინისტროში შესული განცხადების განხილვას? ერთი ადამიანი მაინც როგორ არ მოიძებნა მარგველაშვილის უწყებაში ისეთი, სკოლის მშობელთა საინიციატივო ჯგუფის განცხადებისთვის ყურადღება მიექცია, იქნებ, რა პრობლემის მოგვარებას ითხოვენ ისინი. ვინმეს ჰქონდა გარანტია, რომ მოძალადე ბავშვები იმ პერიოდში, სანამ მშობელთა წერილის განხილვას საშველი არ დაადგა, კიდევ ვინმეზე არ ახდენდნენ ზეწოლას?

„ვერსია“ არ გაურბის საკუთარ თავზე აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა, თუმცა ასევე პასუხისმგებლობას აკისრებს სკოლასაც და განათლების სამინისტროსაც და სვამს კითხვას — არის თუ არა საგანგაშო ფაქტი, როცა მოზარდს, სასაფლაოზე საქმის გარჩევის შემდეგ, მიაშარდებენ და ამ ფაქტის კლასელებში გახმაურებით აშანტაჟებენ? რაც შეეხება გაუპატიურებას თუ გაუპატიურების მცდელობას, „ვერსია“ შეეცდება გაარკვიოს, ჰქონდა თუ არა ადგილი ასეთ ფაქტს იმ პერიოდში, თბილისის რომელიმე სხვა საჯარო სკოლაში.

კიდევ ერთხელ, ბოდიშს ვუხდით დაზარალებულ მოზარდს და მის ოჯახს, ასევე დედას, რომელიც „ვერსიას“ დეტალურად უამბობს, რა მოხდა 182-ე სკოლაში და მიმდებარედ, დამპალოს სასაფლაოზე.



## 182-ე სკოლის მეშვიდეკლასელი ბიჭის დედა „ვერსიას“ დამპალოს სასაფლაოზე მომხდარი ინციდენტის დეტალებს უამბობს

— ყველაფერი ზაფხულში დაიწყო, როცა გიგი და სანდრო (სტატიაში ბიჭების სახელები შეცვლილია, — ნ. ლ) ცეკვიდან გასტროლებზე წავიდნენ. მათ ჩემი შვილი ემეგობრებოდა. განსაკუთრებით გიგის, რომელიც ასე მოექცა. სანამ ისინი ჩამოვიდოდნენ, ჩემმა შვილმა გიგის შეყვარებულთან რომანი გააბა. ეს გოგონა მალე საზღვარგარეთ წავიდა. გიგიმ ჩამოსვლისთანავე ყველაფერი გაიგო და ჩემ შვილს პასუხი მოსთხოვა. მერე, არ ვიცი, როგორ, მოაგვარეს ყველაფერი და ისევ მეგობრობდნენ. გიგიმ ისიც მითხრა, გავარკვიეთ ყველაფერი, უკვე ვაპატიეო. ამის მერე ჩემი შვილი გიგის დაბადების დღეზეც იყო მისული. ერთხელ, ბიჭებთან გიგიმ დაიტრაბახა ჩემ შვილზე, ყ---ის სტატუსი ავკიდეო. როცა არ დაუჯერეს და უთხრეს, ნუ „მარიაჟობო“, ბიჭები ამის დასამტკიცებლად წამოიყვანა. დაურეკეს ჩემ შვილს, ჩამოიყვანეს სახლიდან და ლაპარაკ-ლაპარაკით მიიყვანეს დამპალოს სასაფლაომდე. გიგიმ დაუწყო ყვირილი, თქვი, რომ ყ— ხარ, თუ არ იტყვი, „ჩაგაფსავ“ პირშიო, დაემუქრა. ჩემი შვილი უარზე იყო და... გიდასტურებთ, მოშარდვის ფაქტი ნამდვილად იყო, მაგრამ ესეც კი, მეორედ არ განმეორებულა.

**— სკოლის მოსწავლეების მშობლები ჩვენთან საუბარში ამბობდნენ, რომ ბიჭი გააუპატიურეს, თანაც არაერთხელ.**

— ეს არაა სიმართლე! დიდი ხნის განმავლობაში, სხვადასხვა ხერხით ვცდილობდი, შვილი გამომეტეხა. ამ საკითხზე საუბრის გამო, ჩემთან უხერხულად რომ არ ეგრძნო თავი, სხვა ადამიანებსაც ვთხოვე, ჩარეულიყვნენ. მაგალითად, მისი და ჩემი დის საერთო მოძღვარი. 10 დღით მონასტერშიც გავუშვი. იქ, მამაოც საქმის კურსში იყო. ამ ადამიანებთან საუბრის შემდეგ, გაუპატიურება გამოვრიცხე. მეტიც, გაუპატიურების მცდელობაც არ ყოფილა. „მიშარდვის“ ფაქტიც, აღარ განმეორებულა.

**— მომხდარის შესახებ იმ დღესვე შეიტყვეთ?**

— არა, თუმცა მეორე დღეს ჩემმა შვილმა სკოლაში წასვლაზე უარი თქვა. როცა მიზეზი ვკითხე, მიპასუხა, მე და გიგიმ ერთმანეთი ვცემეთ იმ გოგოს გამო და ასე მითხრა, სკოლაში თუ მოხვალ, მოგკლავო. სკოლაში მე წავედი, ვკითხე, რა მოხდა და ჩვენ კი მოვაგვარეთ ყველაფერი, მაგრამ სანდრომ მოსთხოვა პასუხი, ჩემს შეყვარებულს სხვა თვალით რომ შეხედა და მე გავაშველეო, მიპასუხა. ვთხოვე, მაგრამ სანდრო არ ამოიყვანა ჩემთან, რომ დავლაპარაკებოდი. გიგი დავიბარე. მან ჩემი შვილის თანდასწრებით მოყვა, როგორ სცემა იგი სანდრომ და თავად როგორ აშველებდა. ჩემ შვილს არ გაუპროტესტებია. ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. მეგონა, ყველაფერი მოგვარდა. დეკემბერში კი, გავიგე, რომ დიდი ხნის განმავლობაში, გიგი აშინებდა ჩემ შვილს, თუ ხმას ამოიღებ, ყველგან ვიტყვი, დამპალოზე რაც მოხდაო.

**— დეკემბერში როგორ გაიგეთ ამის შესახებ, შვილი გამოგიტყდათ?**

— არა. როგორც მითხრეს, სხვა მიკრორაიონის ბიჭებთან მოუვიდა უსიამოვნება გიგის. ისინი უხსენებდნენ ყველაფერ ცუდს. სანდროს დააბარეს, რომ მასთან შეხვედრას აპირებდნენ. გიგი იმ დღეს დაიმალა. მეორე დღეს სკოლასთან მიაკითხეს. გიგის თავისი ბიჭები ჰყავდა დაბარებული. ეს ორი „სასტავი“ სკოლასთან შეხვდა ერთმანეთს, რაც მანდატურს მოხვდა თვალში. 19-20 წლის ბიჭებიც იყვნენ. იარაღებიც ჰქონდათ. ეცადა, გაერკვია, რა ხდება და სწორედ მაშინ გასკდა, რაც გაუკეთეს ჩემ შვილს. დამრიგებელმა დამირეკა და მისვლა მთხოვა. იქ გავიგე, რაც მოხდა დამპალოს სასაფლაოზე. მოგვიანებით, იყო მცდელობა, ყველაფერი სანდროს დაბრალებოდა და სხვათა შორის, ჩემი შვილიც ამას ამბობდა. ალბათ შეეშინდა. გიგიმ ჯერ კიდევ მანამდე გააფრთხილა, თუ ვინმემ გკითხოს მომხდარის შესახებ ან საერთოდ უარყავი ან სანდროს დააბრალე, თორემ ჩემი „ვზროსლები“ მოგივლიანო. სანდრომ, „ოდნოკლასნიკში“ მისი და გიგის მიმოწერა მაჩვენა, სადაც მთელი სურათი იხატება და ჩანს, რომ დამნაშავე გიგია. გიგის დედასაც ვთხოვე, იგივე გაეკეთებინა, მაგრამ უარით გამომისტუმრა. მომატყუა, ჩემმა შვილმა „ოდნოკლასნიკი“ გააუქმაო. მას ისიც არ უნდოდა, გიგის მამას გაეგო რამე. გიგის მამა გერმანიიდან ამ ამბიდან 10 დღის მერე ჩამოვიდა, როცა ყველაფერი ვუამბე, გაოგნდა. ჩემ შვილს, სიმართლის თქმა არ ჰქონდა გადაწყვეტილი... მოვატყუე, გიგიმ აღიარა დანაშაული-მეთქი და მხოლოდ ამის მერე გამოტყდა... იმ დღის მერე სკოლაში აღარ გამიშვია. სხვა სკოლაში გადავიყვანე. არ მინდა, ახალ სკოლაში დამახინჯებული ინფორმაცია გავრცელდეს და თემა აგორდეს.

**— სკოლიდან გიგიც გადავიდა?**

— არა. ერთი კვირის წინ იქ სწავლობდა. დირექტორმა მითხრა, არ მაქვს სკოლიდან გაძევების უფლება, მხოლოდ ის შემიძლია, მშობელს ვურჩიო წაიყვანოს ან სამინისტროს მივმართო თხოვნით, ბავშვების საკითხი გადაწყვიტოსო. სხვათა შორის, მშობლების ნაწილი ფეხზე დადგა და, როგორც ვიცი, სამინისტროში განცხადება სწორედ იმის გამო შეიტანეს, გიგი რომ ისევ იქ სწავლობდა.. დირექტორსა და მანდატურს ვთხოვე, თუ ვინმე, მით უმეტეს, ჟურნალისტი დაინტერესდება ამ ამბით, ჩემი ნომერი მიეცით-მეთქი. მშობელთა კრებაზეც მივედი და დაწვრილებით მოვყევი, რა მოხდა. არ მინდოდა, ჭორები გავრცელებულიყო, მაგრამ ქვეყანა ჭრელია, ვიღაცამ რაღაც მიამატა, ვიღაცამ რაღაც წარმოიდგინა, დააკავშირა სხვა ამბები და... ცრუ ინფორმაცია გაავრცელეს. მას შემდეგ, რაც ინფორმაცია მედიაში გავიდა, ხელახლა ჩამომართვეს ჩვენება. კატეგორიულად მოვითხოვე, ბავშვი აღარ დაკითხონ. ყველაფერი გავაკეთე ეს ამბავი რომ მიევიწყებინა და აღარ მინდა, გაიხსენოს.

**„ვერსია“ შეეცადა, დაზარალებული ბიჭის მშობლის მონათხრობი შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაემოწმებინა. შსს-ში განგვიცხადეს, რომ მომხდარის გამო, საქმე სსკ-ს 125 მუხლითაა (ცემა) აღძრული, რაც არასრულწლოვნებს შორის, ჩხუბისა და ცემის ფაქტს გულისხმობს. საქმე შეჩერებული არაა, გამოძიება მიმდინარეობს, რაც შეეხება გაუპატიურებას, ეს ფაქტი არ ფიქსირდება, ამის მცდელობაც არ ყოფილა. შესაბამისად, შსს-ში, ამის შესახებ, არანაირი განაცხადი არაა შესული.**

## ვერსიანიუსი

### „საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით ვლადიკავკაზში დელეგაცია არ ჩასულა“



რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით ვლადიკავკაზში არანაირი დელეგაცია არ ჩასულა.

ასე გამოეხმაურა ზაქარეიშვილი პრეზიდენტ ლეონიდ თიბილოვის იმ განცხადებას, რომლის თანახმადაც, ჩრდილოეთ ოსეთში ქართველ ექსპერტთა დელეგაცია იმყოფებოდა.

**პაატა ზაქარეიშვილი: „თუ იქ იყო დელეგაცია ჩასული და ლექციების ჩატარებას აპირებდა, მაშინ რატომ არ არის ცნობილი მათი გვარები? სასაცილო და უსაფუძვლოა მათი ასეთი განცხადებები. მე ნამდვილად ვიცი, რომ საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, ვლადიკავკაზში არანაირი დელეგაცია არ ჩასულა. აბსოლუტურად გულწრფელად გეუბნებით, რომ თიბილოვის განცხადება არ მესმის. ქართველ ექსპერტთა იქ ჩასვლა ისედაც შეუძლებელი იყო, თუ ეს ყველაფერი რუსულ მხარესთან არ იყო შეთანხმებული. აშკარაა, რომ თიბილოვი ეძებს საბაბს, საქართველოს მთავრობა გააკრიტიკოს“.**

*„პირველი“*

# 100 000-ზე მეტ სოციალურად დაუცველს სახელმწიფო დახმარება შეუჩერდა!



ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

**საქართველოში ღატაკი ადამიანების რიცხვმა ნახევარ მილიონს გადააჭარბა. უმუშევრობა და სოციალური პრობლემების მატება დღითიდღე თვალშისაცემი ხდება. ამ ფონზე, ბოლო პერიოდში, სოციალურად დაუცველთა ნაწილს, ჯანდაცვის სამინისტრომ წერილობით ამცნო, რომ მათ ბოლო 12 თვის განმავლობაში დაუფიქსირდათ შემოსავალი, ამიტომ სოციალურად დაუცველის სტატუსი და ფულადი დახმარება შეუჩერდათ. „ვერსია“ დაინტერესდა, რის საფუძველზე მიიღო სამინისტრომ ასეთი გადაწყვეტილება და რა ბედი ელის ასიათასობით სოციალურად დაუცველ ადამიანს. ამის გასარკვევად, ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დეპარტამენტის ხელმძღვანელს, გიორგი კაკაჩიას ვესაუბრეთ.**



გადასცემს თუ არა ჯანდაცვის სამინისტრო პროკურატურას „მატყუარა“ ღატაკების საქმეებს?

**— ბატონო გიორგი, ბევრ სოციალურად დაუცველ ადამიანს მიუვიდა წერილი, საიდანაც შეიტყვეს, რომ სოციალური დახმარება შეუჩერდათ. ახალი ხელისუფლების პირობებში, ამ მხრივ რამე ცვლილებაა?**

— არა, ყველაფერი ძველებურად რჩება. სტატისტიკის მიხედვით, სიღატაკის ზღვარსქვემოთ მყოფი ოჯახი, რომელსაც 57 000 ქულაზე ნაკლები აქვს და ფულად დახმარებას იღებს, 2006-2007 წლებში 320 000 იყო. დღეს ამ კატეგორიის ადამიანების რიცხვი 530 000-მდეა გაზრდილი ანუ ბოლო წლებში, ამ ადამიანთა რაოდენობამ თითქმის 200 000-ით, ფაქტობრივად, 40%-ით იმატა. არადა, ქვეყანაში, ისეთი არაფერი ხდება, ღატაკთა რიცხვი ასე გაზრდილიყო. ზრდის გრაფიკებს რომ დააკვირდეთ, ნახავთ, მატება ემთხვევა არჩევნების წინა პერიოდს, არჩევნების შემდეგ კი, სოციალურად დაუცველი ადამიანების რაოდენობა იკლებს. წესით, ნებისმიერი ოჯახი, რომელსაც სიღატაკის პროგრამაში ჩართვაზე განაცხადი აქვს შევსებული, მინიმუმ, 5 წელიწადში ერთხელ უნდა გადამოწმდეს. გრაფიკის სავარაუდო ანალიზი ასეთია — ჩანს, არჩევნების წინ, სოციალურად დაუცველთა გადამოწმება სუსტდება და ახალი შემოსულებიც ემატება, რაც მათ რიცხოვნობას ზრდის.

**— სოციალურად დაუცველი ადამიანების ყველაზე დიდი ზრდა როდის დაფიქსირდა?**

— 2012 წლის ზაფხულიდან. მანამდე, მათი რიცხვი 400 000 იყო, ზაფხულიდან კი, 500 000-ს გადააჭარბა. დღეისთვის, 162 000 ოჯახია რეგისტრირებული, რომლებიც ფულად დახმარებას იღებენ. ეს უპრეცედენტო რაოდენობაა. ამიტომ დავიწყეთ ამ საკითხის შესწავლა. საწყის ეტაპზე, შემოსავლების სამსახურიდან, სამოქალაქო რეესტრიდან და შსს-დან (ავტოსატრანსპორტო კუთხით) ინფორმაცია გამოვითხოვეთ, რომელიც დამუშავების პროცესშია. პირველადი მონაცემებით, სოციალურად დაუცველთა ბაზაში მყოფ საკმაოდ დიდ რაოდენობას, დაახლოებით 40 000 ადამიანს, უკვე დაუფიქსირდა 2012 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები. ადამიანების გარკვეულ კატეგორიას, უძრავი ან მოძრავი ქონება აღმოაჩნდა. დაფიქსირებულია საკმაოდ ძვირადღირებული მანქანებიც და წლის განმავლობაში დიდი შემოსავლებიც.

**— ღატაკმა მუშაობა თუ დაიწყო, მაშინვე ამოიღებენ მის გვარს ბაზიდან?**

— ღატაკებს ქონებრივი დეკლარაცია აქვთ შევსებული და ამ დოკუმენტზე ხელიც აქვთ მოწერილი. იქ არის დათქმა — ნებისმიერი ოჯახი ვალდებულია, ოჯახში ცვლილებების შესახებ ერთი თვის განმავლობაში აცნობოს სოციალურ აგენტს. არ აქვს მნიშვნელობა, ცვლილება დამატებითი შემოსავლის გაჩენას ეხება, საცხოვრებლის შეცვლას, ოჯახის წევრის მატებასა თუ გარდაცვალებას. არც იმას აქვს მნიშვნელობა, რა თანხა დაუფიქსირდება ოჯახს დამატებითი შემოსავლის სახით, 100 ლარი იქნება თუ 100 000, ყველაფერი დეკლარაციაში უნდა აისახოს, რაც სოციალური დახმარების გადამოწმება-შეჩერების საფუძველი გახდება. ვისაც უკვე მიუვიდა შეტყობინება, რომ შეუჩერდა სოციალურად დაუცველის სტატუსი და დახმარება, სულაც არ ნიშნავს, რომ ეს საბოლოო დასკვნაა და სტატუსი უკვე შეუწყდა. ეს ყველაფერი უნდა გადამოწმდეს. 40 000 ოჯახიდან არის ისეთები, რომელთა წლიური შემოსავალი 100 000-200 000 ლარი დაფიქსირდა. ამ შემთხვევაში, რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი და უახლოეს მომავალში ისინი გადამოწმდება.

**— თუ ინფორმაცია რაღაც გაუგებრობასთან იყო დაკავშირებული ან ტექნიკური შეცდომა დაფიქსირდა, ამ ადამიანებს სტატუსს აღუდგენენ?**
**— დიახ, სტატუსი აღუდგებათ და შეჩერების დღიდან, რა თანხაც არ მიუღიათ, იმასაც მიიღებენ, სხვა შემთხვევაში კი, სოციალური დახმარება შეუწყდებათ. ვიმეორებ, შემოსავლის შესახებ ინფორმაცია დეკლარაციაში უნდა ასახულიყო, თუ ასახულია და ქულა მაინც 57 000-ზე დაბალია, პრობლემა არ არის.**

ზოგადად, ქულის გამოანგარიშებაზე გავლენას ბევრი ფაქტორი ახდენს. შესაძლოა, ოჯახს 10 000 ლარი ჰქონდეს შემოსავალი, მაგრამ ჰყავდეს შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვი და ამ ფაქტორმა გადაწონოს.

**— რამდენი თვის მერე შეუძლია სტატუსშეწყვეტილ ოჯახს, მისი მდგომარეობის თავიდან გადამოწმება მოითხოვოს?**

— გააჩნია, შემთხვევას — თუ საქმე სერიოზულ დარღვევებთან გვაქვს, 3 წლის ვადაა, მაგრამ შეიძლება, თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურად განვიხილოთ. ამჟამად, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე 100 000-ზე მეტ ოჯახს ფულადი დახმარება შეჩერებული აქვს, 2-3 თვის შემდეგ კი საბოლოოდ გვეცოდინება, რამდენ ოჯახს შეუწყდა დახმარება.

**— 2013 წლის ზაფხულიდან, სოციალური დახმარება ორმაგდება. აღრიცხვიანობას იმიტომ ამკაცრებთ, რომ სტატუსისმქონეთა ნაწილი გაცხრილოთ და დახმარება გამოთავისუფლებული თანხით გააორმაგოთ?**

— არა. საქართველოში 400 000-ზე მეტი ღატაკი არასოდეს ყოფილა. რატომღაც, წინასაარჩევნო პერიოდში, უცებ 120 000-კაციანი ნახტომი გაკეთდა. დეტალურად შესწავლის შემდეგ გიპასუხებთ, რა მოხდა, ახლა კი, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ არის შემთხვევები, როცა ამ სტატუსის მქონე ადამიანები 2012 წლის „ლენდ კრუიზერს“, „ლექსუსის“ ჯიპებს, „ბმვ X5“-ს, „მერსედესს“... ფლობენ. საკმაოდ ძვირადღირებული მანქანების ჩამონათვალია და საქმეების ეტაპობრივი განხილვა მიმდინარეობს.

**— საქმეები პროკურატურას გადაეცით?**

— არა, ჯერ ბოლომდე არ გვაქვს შესწავლილი... შესაძლოა, ტექნიკური ხარვეზი იყოს, თუმცა სიმართლე გითხრათ, ეჭვი მეპარება. ამ საკითხს, პირველ ეტაპზე, სწავლობს ჯანდაცვის სამინისტრო და, შესაბამისად, როცა გაირკვევა, რამდენს შეუწყდება სტატუსი, ანალიზის საფუძველზე მივიღებთ გადაწყვეტილებას, პრობლემა ადგილზე მოვაგვაროთ თუ შესაბამისი ორგანოები ჩავრთოთ.

**— აცხადებთ, ქვეყანაში არაფერი მომხდარა ისეთი, ღატაკთა რიცხვი ასე გაზრდილიყოო, არადა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ბევრ ადამიანს შეექმნა ფინანსური პრობლემა, ხალხმა საცხოვრებელი და ბიზნესი დაკარგა...**

— გასაგებია, მაგრამ ამ სტატუსის მქონე ადამიანების 40%-ით გაზრდა არ უნდა მომხდარიყო.

**— დათვლილია, სოციალურად დაუცველების „ტყუილების“ გამო, სახელმწიფო ბიუჯეტს რა რაოდენობის ზარალი მიადგა?**

— ჯერჯერობით, ეს დათვლილი არ არის.

**— სოციალურად დაუცველ უსახლკარო ოჯახებს, ჯანდაცვის სამინისტრომ ბინის ქირის გადასახდელად 200-ლარიანი დახმარება დაუნიშნა იმ პირობით, რომ უკანონოდ დაკავებული ობიექტები დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დახმარება შეუწყდებათ. რომელ დახმარებას გულისხმობთ, 22- ლარიან სულადობრივს თუ 200-ლარიანს?**

— სულადობრივ დახმარებას ისინი ჩვეულებრივ მიიღებენ, 200-ლარიანი დახმარება კი აღარ მიეცემათ. მთავრობის დადგენილებაში შევიდა შესაბამისი ცვლილება, რომლის თანახმად, იმ კატეგორიის ოჯახებს, რომლებიც არამიზნობრივად გამოიყენებენ ამ თანხას და არ იქირავებენ ბინას, 200-ლარიანი დახმარება შეუწყდებათ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოასწრებენ და მარტის შუა რიცხვებამდე ბინებს იქირავებენ, არანაირი პრობლემა არ ექნებათ.

**— 200 ლარი ბინის დასაქირავებლად ძალიან ცოტა არ არის. ეს თანხა როგორ დაიანგარიშეთ?**

**— ეს როგორ დათვალეს, არ ვიცი, მაგრამ ჩემს თანამშრომლებს დავავალე, ანალიზისთვის 200 ლარის ფარგლებში მოეძებნათ ბინები. ინტერნეტში მარტო ერთ გვერდზე, 180-ლარიანი 12 ბინა ამოვარდა. დიდი ბოდიში, მაგრამ ჯანდაცვის სამინისტრო სამაკლერო სამსახურს ვერ გახსნის, ეს ადამიანები კი, თუ მოინდომებენ, შეძლებენ 200 ლარად ბინის ქირაობას.**

# საქართველოში ქალ ნარკომანთა რიცხვი გაიზარდა!



**ნარკომომხმარებელთა რიცხოვნობის ზრდა გლობალური პრობლემაა. გამონაკლისი, ამ მხრივ, არც საქართველოა. ექსპერტული მონაცემებით, საქართველოში პრობლემურ ნარკომომხმარებელთა რიცხვი 40 000-ია. აქედან 10%-ს ქალი ნარკომომხმარებლები შეადგენენ. მკაცრი ნარკოპოლიტიკისა და უკიდურესად ნეგატიურად განწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამო, ისინი არსად ჩანან, არ მონაწილეობენ პროფილაქტიკურ პროგრამებში, არ აკითხავენ ჯანდაცვის სისტემას და მუდმივად სექსუალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ქვეშ არიან. მათ უფლება არ აქვთ, თავშესაფარს ან კრიზისულ ცენტრებს შეაფარონ თავი, — ადასტურებს ზიანშემცირების ქსელის კოორდინატორი მარინა ასათიანი.**

**„ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია „ქსენონის“ წარმომადგენელი ნინო ჯანაშია კი განმარტავს, რომ ნარკომომხმარებელ ქალებზე ძალადობა გაცილებით ხშირი და ადვილია. ისინი, ძირითადად, სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები არიან. მათთვის ასევე დამახასიათებელია მიგრაციის მაღალი ხარისხი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. განსაკუთრებით აქტუალურია სამეგრელოს რეგიონში მცხოვრები ქალი ნარკომომხმარებლებისთვის თურქეთში მიგრაცია, ვინაიდან სამსახურისა და ნარკოტიკების შოვნა იქ უფრო ადვილია, „თუმცა, აივ შიდსისა და ვირუსული ჰეპატიტების თვალსაზრისით, თურქეთი ცხელ ზონადაა მიჩნეული, ვინაიდან იქ ერთჯერადი საინექციო საშუალებების შოვნა რთულია. 2005-2008 წლებში სამეგრელოში 1000 ნარკომომხმარებლიდან, ქალი მხოლოდ 2 იყო. 2008 წლიდან დღემდე ჩვენს ცენტრს 110-ზე მეტმა ნარკომომხმარებელმა ქალმა მიმართა. ბენეფიციარების უმეტესობა ძალადობის მსხვერპლია ოჯახის წევრთა ან სქესობრივი პარტნიორის მხრიდან. ძალადობა ხდება ხშირად მიზეზი, რომ ისინი ნარკოტიკს ეძალებიან. ქალ ნარკომომხმარებელთა უმეტესობის ნარკოტიკების მოხმარების მიზეზი მისმა სექსუალურმა პარტნიორმა განსაზღვრა“.**

სპეციალისტები იმასაც ადასტურებენ, რომ ქალი ნარკომომხმარებლების უმეტესობისთვის საზოგადოებაში დანერგილი სტიგმისა და მკაცრი ნარკოპოლიტიკის გამო, ნარკომომხმარებლებისთვის არსებული სერვისებიც კი ხელმიუწვდომელი ხდება მაშინ, როცა ბოლო დროს, საკმაოდ გაიზარდა ქალ ნარკომომხმარებელთა რაოდენობა. ამის მიზეზად ამნისტიაც სახელდება. ორგანიზაცია „ნაბიჯი მომავლისკენ“ წარმომადგენელი **ქეთევან ბიძინაშვილის** თქმით: **„ამნისტიის შედეგად, ძალიან ბევრი ქალი გათავისუფლდა პატიმრობიდან, განსაკუთრებით, ბევრი, ნარკოტიკის მოხმარებაზე მსჯავრდებული გამოუშვეს და ბოლო თვეებში, მომართვიანობამაც მოიმატა. დღის განმავლობაში, მარტო გორში, 30-40 ადამიანი გვაკითხავს, რომლებიც უკვე დაუბრუნდნენ ნარკოტიკის მოხმარებას და ისეთ მძიმე ნარკოტიკულ ნივთიერებას იყენებენ, როგორიცაა „კრაკადილი“.**

ქეთევან ბიძინაშვილი ადასტურებს, რომ ნარკოტიკების მოხმარებაში ქალს მეუღლე ან სქესობრივი პარტნიორი ეხმარება, თუმცა იმ პირობებში, როცა კუსტარული ნარკოტიკი „პოპულარული“ გახდა, ქალებში ჯგუფური მოხმარების შემთხვევებმაც მკვეთრად იმატა. რაც ერთი-ორად ზრდის აივ ინფექცია/შიდსისა და ჰეპატიტების გავრცელების რისკს.

ნარკომომხმარებელ ქალთა უმეტესობა უმუშევარია, ამიტომ ისინი ნარკოტიკების საყიდელი ფულისთვის კომერციულ სექსსაქმიანობასაც ეწევიან, რა დროსაც ისინი ხშირად ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან.

*ნინო ხარშილაძე*

მერაბ ბერიძე

**მთავრობისა და სოციალურად დაუცველების ურთიერთობაში ახალი, მძიმე ეტაპი იწყება. ის, ვინც უკანონოდ დაკავებულ შენობაში ყოფნას გააგრძელებს, 200-ლარიან სოციალურ დახმარებას ვერ მიიღებს. შესაბამისი განცხადება ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, დავით ლომიძემ გააკეთა. მისი თქმით, სოციალურად დაუცველები, სახელმწიფოს მიერ ბინის ქირის გამოყოფის მიუხედავად, ფართების უკანონოდ დაკავებას კვლავ განაგრძობენ.**

# „200 ლარის ნაცვლად, სამუშაო ადგილები შეექმნათ და დავესაქმებინეთ“



## სოციალურად დაუცველები ბიძინა ივანიშვილს სთხოვენ, მერიას მათი გაუსაძლისი პირობების გაუმჯობესება დაავალოს

**„მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სოციალური დახმარების მიმღები 863 ოჯახიდან, 106 ოჯახი კვლავ უკანონოდ რჩება სხვადასხვა ობიექტში, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნულმა ოჯახებმა არ შეასრულეს განცხადებით ნაკისრი ვალდებულებები და არ დატოვეს ეს ობიექტები, რის გამოც, მომავალი თვიდან, დადგენილების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ მათი მხრიდან არ მოხდება სოციალური დახმარების მიზნობრივი გამოყენება, შეუწყდებათ სოციალური დახმარება“.**

ლომიძის განმარტებით, ის ოჯახები, რომლებიც დატოვებენ დაკავებულ ფართობებს, გააგრძელებენ სოციალური დახმარების მიღებას. მონიტორინგი პროგრამის მთელი პერიოდის განმავლობაში გაგრძელდება:

**„2012 წლის ოქტომბრის დასაწყისში სოციალურად დაუცველმა პირებმა სხვადასხვა ობიექტების თვითნებური დაკავება დაიწყეს. აღნიშნული პროცესი დაიწყო 3 ოქტომბერს და სხვადასხვა ინტენსივობით, დღემდე მიმდინარეობს. მთავრობამ, საკითხის მყისიერად გადაწყვეტის მიზნით, 2012 წლის 31 ოქტომბერს გამოსცა განკარგულება, რომელიც სხვადასხვა ობიექტებში უკანონოდ მყოფ პირთა ერთჯერადად აღრიცხვას გულისხმობდა. განკარგულების მოთხოვნათა შესრულების შემდეგ გამოიცა მთავრობის დადგენილება, რომელიც გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ითვალისწინებდა ბინის ქირის უზრუნველსაყოფად სოციალური დახმარების გაცემას, 200 ლარის ოდენობით.**

**ამასთან, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რომელმაც განიხილა იმ დროისთვის შემოსული 2 302 განცხადება. დადგენილების მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობის გამო, სოციალური დახმარების მიღებაზე უარი ეთქვა 1 107 განმცხადებელს, ხოლო დაკმაყოფილებული 1 195 განმცხადებლიდან სოციალური დახმარების მიღებაზე თანხმობა განაცხადა 863-მა. სხვადასხვა ფართობების დაკავება გაგრძელდა შემდგომ პერიოდში, რის გამოც, სამინისტრომ 2013 წლის იანვარ-თებერვალში განახორციელა მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ 200-ლარიანი სოციალური დახმარების მიმღები 863 ოჯახიდან 106 ოჯახი კვლავ უკანონოდ რჩება სხვადასხვა ობიექტებში, რაც ნიშნავს, რომ ამ ოჯახებმა არ შეასრულეს საკუთარი განცხადებებით ნაკისრი ვალდებულებები და არ დატოვეს დაკავებული ფართობები. ამის გამო მომავალი თვიდან, დადგენილებაში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ მათი მხრიდან არ მოხდება სოციალური დახმარების მიზნობრივად გამოყენება, შეუწყდებათ დახმარების მიღება.**

**აქვე აღვნიშნავთ, რომ სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ, დღეიდან მოხდება ასეთი ოჯახების დაკავებულ ფართობებზე (ადგილზე) ინფორმირება და ის ოჯახები, რომლებიც დატოვებენ დაკავებულ ფართობებს, გააგრძელებენ სოციალური დახმარების მიღებას. ამასთან, მონიტორინგი გაგრძელდება პროგრამის მიმდინარეობის მთელ ეტაპზე“.**

ამ ფონზე, სახელმწიფო კანცელარიაში საცხოვრებელი ფართის მოთხოვნით, აქციაზე შეკრებილ სოციალურად დაუცველებს პოლიციამ შენობა იძულებით დაატოვებინა. ამ ინციდენტის შემდეგ, პრემიერ-მინისტრის რეზიდენციისკენ გადაინაცვლეს. პოლიციის კორდონმა მათ ბიძინა ივანიშვილის სახლთან მისვლის საშუალებაც არ მისცა. სოციალურად დაუცველების განცხადებით, ისინი გაჩერებას არ აპირებენ, სანამ პრემიერი პირადად არ შეხვდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შიმშილობას განაახლებენ.

ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილების მიუხედავად, შენობის დატოვებას არ აპირებენ თბილისში, ყოფილ 68-ე სკოლაში შეჭრილი სოციალურად დაუცველებიც.

აღნიშნული გადაწყვეტილება შენობაში შეჭრილებს ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დახმარების დეპარტამენტის უფროსმა, გია კაკაჩიამ გააცნო და კიდევ ერთხელ განუმარტა, რომ იმ პირებს, რომლებიც სახელმწიფოსგან 200-ლარიან დახმარებას იღებენ და შენობის დატოვებას არ აპირებენ, სოციალური დახმარება შეუწყდებათ.

დღეს, 68-ე სკოლაში სოციალურად დაუცველი 30 ოჯახი ცხოვრობს. აქედან, ცხრა ქირის ფულს, თვეში ორას ლარს იღებდა. არც ერთი მათგანი, ამის გაგრძელების სანაცვლოდ შენობის დატოვებას არ აპირებს. ბუნებრივია, არც დანარჩენები ფიქრობენ მსგავსი ნაბიჯის გადადგმას.

**სკოლის ჯაჭვით დაბმულ კართან ახალგაზრდა ქალბატონი გვხვდება ბავშვებით. სკოლაში დაგვიანებით, თერთმეტი საათისთვის მიჰყავს იმიტომ, რომ დილით სციოდათ და ვერ გაალვიძა. შენობაში კომუნიკაციები არ ფუნქციონირებს და ბავშვებს ყოვლად გაუსაძლის პირობებში უწევთ ყოფნა. მეორე სართულზე დიდ ოთახში შეკრებილი დაუცველები შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალზე ფიქრობენ. ამ პროცესში მათ არასამთავრობო ორგანიზაციაც ჩამოაყალიბეს და ორგანიზებული ბრძოლის დაწყებას აპირებენ.**

„სოციალურად დაუცველთა კომიტეტის“ ხელმძღვანელი ნიკოლოზ ხევსურიშვილი ამბობს, რომ მერია თანახმაა, შენობაში კომუნიკაციის პრობლემები მოაგვაროს, თუ ცენტრალური მთავრობა მას ამ დავალებით მიმართავს, ამიტომ სოციალურად დაუცველები პრემიერ-მინისტრს, ჯანდაცვისა და ეკონომიკის სამინისტროებს აღნიშნული თხოვნით მიმართავენ. განცხადება უკვე შეტანილია და რეაგირებას ელოდებიან:

**„დაკანონებაზე არაფერს გვეუბნებიან. ერთადერთი, დენის ჩართვას ვთხოვთ დროულად, რომ ბავშვები არ დაიყინნონ. სიბნელეში რომ სწავლობენ, თვალები სტკივდებათ. როგორ შეიძლება, მომავალ თაობასთან ასეთი დამოკიდებულება? მერია გვეუბნება, ყველაფერს ჩავრთავთ, ოღონდ ცენტრალურმა ხელისუფლებამ მითხრას, ეს გააკეთეო, მთავრობა კი ამ დავალებას არ აძლევს. ახლა ჩვენ, უშუალოდ, მივმართავთ პრემიერს, ჯანდაცვისა და ეკონომიკის სამინისტროებს, რომ მერიას ჩვენი ელემენტარული პირობებით უზრუნველყოფა დაავალონ. ესენი ერთმანეთში ძალაუფლებას ვერ იყოფენ და ხალხი ფიზიკური განადგურების პირას დგას“.**

დაუცველებს ქირის თანხის მოხსნის მუქარა არ აშინებთ. ხევსურიშვილის თქმით, არც ეს ქირა და არც სოციალური დახმარება ამ ხალხს არ უშველის: **„გია კაკაჩიას ვუთხარი, აქ ხალხი სიცივეში იყინება, რა ვქნათ-მეთქი; თქვენი ნებაა, გინდათ, აიღეთ ეს თანხა, გინდათ — არაო. მხოლოდ საკუთარი გეგმები ანაღვლებთ. ამ დროს, შენობაში დენი, წყალი არ არის. ხალხს გაზი ვერ დაუტენია და შეშა ვერ მოუტანია. 200 ლარი რომ დაგვინიშნეს, ამით სახელმწიფომ აღიარა, რომ მართლა უსახლკაროები ვართ.**

**ეს ფართები უნდა დაგვიკანონონ და საქმე მოგვცენ. არ გვეზარება, ყველა ვიმუშავებთ და ოჯახს ამით ვარჩენთ. თუნდაც, გრძელვადიანი სესხით მოგვცენ ბინები გამოსასყიდად. ისე არა, რომ ამაში მილიონები მოითხოვონ. თვითონ ხომ ერთ ლარად იგდებდნენ ქონებას ხელში. ახლადშექმნილი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, კონკრეტული გეგმები გვაქვს, როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ამ ჭაობს. იქნებ სჯობდა, ამ 200 ლარის ნაცვლად, სამუშაო ადგილები შეექმნათ და ეს ხალხი დაესაქმებინათ“.**

მაყვალა ბაძაღუა 22 ათასქულიანი სოციალურად დაუცველია. მისი შვიდსულიანი ოჯახიც არსად აპირებს წასვლას, რადგან მისი თქმით, ამ თანხად შესაფერის ფართს მაინც ვერ მონახავს: **„ჯერ კიდევ ნაძალადევში, ყოფილი რაიკომის შენობაში ყოფნისას, მინისტრი დავით სერგეენკო მოვიდა. მაშინვე განცხადება გადავეცი. დაგვპირდა, ოღონდ აქედან გადით, ყველანაირად დაგეხმარებითო. სოციალური და საპენსიო კრედიტით ვცხოვრობ. ასევე, ბავშვის ფული, 35 ლარი შემოსავალი მაქვს. შვიდსულიან ოჯახს მეტი არაფერი მოგვეპოვება. გულის ოპერაციაგადატანილი მეუღლე ვერაფერს აკეთებს. გუშინ ძალიან ციოდა და ჩემს ძმასთან დასარჩენად წავიდა. მის ერთ ფირფიტა წამალში ათი ლარი მივეცი. კვირაში, მარტო წამლებში, 50-60 ლარი მეხარჯება. ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელს „ფორმა №100“ ვაჩვენე, წამლების ფული იქნებ ჩამირიცხოთ-მეთქი, ამაზე ხომ არაფერი და ახლა ორას ლარსაც მიხსნიან. უფრო გაგვალიზიანეს. რომც მომიხსნან, აქედან არსად ვაპირებთ წასვლას. სადაც გინდა მომცენ, გინდა დანგრეული ბინა, ქირა არ მექნება გადასახდელი და ნელ-ნელა მოვაწყობ. შვიდ სულზე ფართი გამომიყონ და დღესვე გავდივარ აქედან“.**

ასეთივე სამწუხარო ვითარებაა დედაქალაქის სხვა ადგილებშიც, სადაც სოციალურად დაუცველები არიან შესულები. ერთ-ერთმა ქალბატონმა ვეღარ გაუძლო და „ზაკვოს“ შენობიდან გადმოხტა. მისი მდგომარეობა დღემდე მძიმეა. სოციალურად დაუცველები ამბობენ, რომ მას გადაწყვეტილება ორასი ლარის მოხსნის გამო არ მიუღია და მიზეზი, დიდი ხნის განმავლობაში შვილებთან ერთად გაუსაძლის ყოფაში არსებობაა. მთავრობამ ეს რეალობა უნდა გაითვალისწინოს, რადგან ამ შემთხვევაში, ხისტი გადაწყვეტილებების არც დროა და არც ადგილი. მძიმე ვითარების გათვალისწინებით, არც მიზერული ორასი ლარი უნდა მოიხსნას და დედაქალაქის მერიასაც უნდა მიეცეს დავალება, დაკავებულ შენობებში ელემენტარული საარსებო პირობები შეიქმნას. დედაქალაქის ცენტრში პატარები სიცივეში იყინებიან და დილით სკოლაში ვერ მიდიან. ამ სირცხვილისთვის თვალის არიდება, არავის ეპატიება.

## ვერსიანიუსი

### სამ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა გამოქვეყნდა




ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სამ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა გამოაქვეყნა. ცესკო-ს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა №9 ნაძალადევის ოლქში 132,021-ს, №52 ბაღდათის ოლქში 23, 380-ს და №54 სამტრედიის საარჩევნო ოლქში 48,161-ს შეადგენს.

ცესკო-ს ინფორმაციით, მითითებულ მონაცემებში არ არის გათვალისწინებული მესაკუთრის მიერ რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლების რაოდენობა.

პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე კი, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ნაძალადევში შეადგენდა 140 467-ს, ბაღდათში — 23 841-ს, ხოლო სამტრედიაში — 48 362-ს.

პარლამენტის შუალედური არჩევნების 27 აპრილს დანიშვნის შესახებ განკარგულება ცესკო-მ 15 თებერვალს მიიღო. არჩევნები ნაძალადევის, ბაღდათისა და სამტრედიის საარჩევნო ოლქებში 27 აპრილს გაიმართება.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასვლის გამო, ამ ოლქებში მაჟორიტარის უფლებამოსილება შეუჩერდათ თეა წულუკიანს, კახა კალაძესა და არჩილ კბილაშვილს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის მსურველი პარტიების რეგისტრაცია უკვე დაიწყო. პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს რეგისტრაციის გავლა პირველ მარტამდე შეუძლიათ.

***„ინტერპრესნიუსი“***

### საკრებულოს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ კოკი იონათამიშვილი აირჩიეს



თბილისის საკრებულოს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ კოკი იონათამიშვილი, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეებად კი, ვახტანგ ცაგარეიშვილი და სევდია უგრეხელიძე აირჩიეს. ასევე, ფრაქციის მდივნობის კანდიდატად დასახელდა ხვიჩა სანაია, რომელსაც მოგვიანებით დაამტკიცებენ. ფრაქციის თავმჯდომარის და მისი მოადგილეების არჩევამდე სიტყვით ზაალ სამადაშვილი გამოვიდა. მისი თქმით, ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლის შემდეგ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაეკისრა განსაკუთრებული მისია — უნდა შექმნას ოპოზიციური პარტიის სტანდარტი, რომელიც ითანამშრომლებს ყველა პოლიტიკურ ძალასთან, რომლისთვისაც ძვირფასია ფუნდამენტური ღირებულებები და ერთგულება იმ გეზისა, რისთვისაც ქართველმა ხალხმა აირჩია.

ზაალ სამადაშვილმა ასევე გაიხსენა 1921 წლის წინ თებერვლის მოვლენები. მან აღნიშნა, რომ შემთხვევითი არ არის, რომ ეს სხდომა თებერვალში იმართება, რადგან 92 წლის წინ, თბილისთან გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ. მან გაიხსენა იუნკერების თავგანწირვა და ისურვა, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ახსოვდეს კოჯორში დაღუპულთა ღვაწლი.

კოკი იონათამიშვილმა ნიკოლოზ ხაჩირაშვილი შეცვალა, რომელმაც ნაციონალური მოძრაობა დატოვა.

***„ინტერპრესნიუსი“***

თორნიკე ხურციძე, „ვერსიისთვის“ ქუთაისიდან

**„ქვათა ღაღადი“ დიდი ბელადის მშობლიური გორიდან „საპარლამენტო“ ქუთაისში ინაცვლებს. პულივიზატორებით გაჩაღებული ბრძოლა სისხლიანი იმპერიის შემქმნელების წინააღმდეგ და გამოჩენილი წითელარმიელის პირველი მოთხოვნა უკვე დამოუკიდებელ საქართველოში. გენოციდის ერთ-ერთმა „მამა-მთავარმა“ ვასილ კიკვიძემ ქუთაისელებს, „ჩამოღების“ მოთხოვნით, რამდენიმე დღის წინ „მიმართა“. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდგომი ქანდაკების აქამდე „შეურყვნელ“ პედესტალზე წითელარმიელის წითელი სურვილი გაჩნდა. საბჭოთა იმპერიის „გადმონაშთს“ „ლიბერალურ-ღამეული“ წარწერა ამ დრომდე თვალისმომჭრელად ამშვენებს.**

# „ჩამომილეთ“ — ამ წარწერით მოითხოვეს ქუთაისელებმა ვასილ კიკვიძის ძეგლის დემონტაჟი






## ქუთაისის ცენტრში, კიკვიძის ძეგლის ადგილას, რუსთაველის ძეგლს დადგამენ?

საკონსტიტუციო ცვლილებათა პაკეტის შემდეგ, შესაძლოა, საზოგადოებრივი განხილვა „სისხლნარევი კომუნიზმის მოტივებით“ ვასილ კიკვიძის ქანდაკებასთან დაკავშირებითაც მოეწყოს. ვასილ კიკვიძის წინააღმდეგ პეტიციას ხელს 9 არასამთავრობო ორგანიზაცია აწერს. მესამე სექტორი ახლა ქალაქის „პირველების“ გადაწყვეტილების მოლოდინშია. დოკუმენტი „ენჯეოებმა“ ქუთაისის მერიაში გასულ კვირას შეიტანეს, სადაც საზოგადოებრივი განხილვების გადაწყვეტილებაზე ალაპარაკდნენ: იდეა აღსრულების, კიკვიძის ძეგლი კი განაჩენის მოლოდინშია.

ირკვევა, რომ „დიდ“ საბჭოთა იდეოლოგს, ქუთაისის მსგავსად, „არასაბჭოური“ ომი უკრაინაშიც გამოუცხადეს. ამის შესახებ „ვერსიას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ლიბერალური კლუბის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, მხატვარი ირაკლი ჩოგოვაძე უყვება: **„მემარცხენე ესერი, საბჭოთა იდეოლოგი და სისხლისმღვრელი... რატომ უნდა იდგეს ვასილ კიკვიძის ძეგლი ჩვენს ქალაქში? ის, რომ აღნიშნული წითელარმიელი ქუთაისში დაიბადა, საკმარისი სულაც არ არის. კიკვიძემ თავი უკრაინის სისხლისმღვრელ ბრძოლებში ისახელა. გეტყვით იმასაც, რომ მისი სახელის შესალანძღად უკრაინაში სამოქალაქო მოძრაობა დაიწყო. რუსეთის სამოქალაქო ომის მონაწილემ და წითელარმიელმა, „ამ დიდმა დემოკრატმა“ უამრავი ადამიანი დახოცა. ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს, ამირან ხვადაგიანს ძეგლის დემონტაჟის მოთხოვნით, ჯერ კიდევ გასულ წელს მივმართეთ, თუმცა უშედეგოდ. ამჟამად, მოძრაობა უფრო ფართომასშტაბიანი გახდა. მოთხოვნას ხელს 9 არასამთავრობო ორგანიზაცია აწერს“.**

ვიდრე „ამირან მუდმივად“ წოდებული ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე ვასილ კიკვიძის ქანდაკების მუდმივობაზე დაფიქრდება, ქალაქში კიკვიძის ძეგლისა და ბაღის დანიშნულებაზე მსჯელობენ. პაემნებისა და ე.წ. ბირჟავიკების თავშეყრის ადგილის მუდმივ ბინადრებს, როგორც ჩანს, საბჭოთა გმირის ძეგლის ბედი დიდად არ ანაღვლებთ. რიგითი ქუთაისელები ამბობენ, რომ ქანდაკებას „თვალი“ შეეჩვია, თუმცა მისი დემონტაჟით ბევრი არც არაფერი დაშავდება.

**„ვის რას უშავებს, იყოს. ერთგვარი ისტორიაა, თან თვალიც შეეჩვია. აქაურობა პაემნების ადგილია. ზოგს, სიყვარული კიკვიძის ძეგლის გარეშე ვერც წარმოუდგენია. ასე, ხელაღებით ძეგლის შეურაცხყოფა, არა მგონია, სწორი იყოს, თუმცა თუ აიღებენ, არც ამით დაშავდება დიდად რამე“,** — აღნიშნავს ქუთაისელი გივი ავალიანი.

ისტორიკოსი სულხან კუპრაშვილი კი პარალელს საბჭოთა ეპოქასთან ავლებს და ლენინის ძეგლთა მსხვრევის პერიოდს იხსენებს. მისი შეფასებით, ვასილ კიკვიძის ქანდაკების დემონტაჟი, შედეგის კუთხით, არაფრის მომტანი იქნება.

**„როდესაც ლენინის ძეგლთა მსხვრევა დაიწყო, საზოგადოება ზეიმობდა. დღეს კი, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინტერნეტით მსოფლიო ასე დაპატარავდა, წითელარმიელი კიკვიძის ძეგლის ბედის გადაწყვეტა დილემას არ უნდა წარმოადგენდეს. დარჩება თუ არა ქანდაკება იქ, სადაც დგას ან მოხდება თუ არა მისი დემონტაჟი, ჩემი აზრით, ეს საერთოდ, არაფერს შეცვლის. სხვათა შორის, კიკვიძე რუსეთის არმიის ოფიცერი და, შესაბამისად, განათლებული ადამიანი იყო“,** — აცხადებს სულხან კუპრაშვილი.

„ვერსიის“ სანდო წყაროს ინფორმაციით, წითელარმიელის წითელი მოთხოვნა ქუთაისში მოქმედ „ლიბერალურ კლუბს“ უკავშირდება, თუმცა ვანდალურ ფაქტს თავად კლუბის წევრები კატეგორიულად უარყოფენ.

ნახევარი საუკუნე ისტორიისთვის არაფერია. რუსული არმიის ოფიცრის ქანდაკებისთვის კი ზუსტად ის დრო, რომელიც ქუთაისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში გაატარა. ქანდაკება ვალერიან მიზანდარისა და გოგილო ნიკოლაძის ხელწერის ნიმუშია. ძეგლის დემონტაჟის შემთხვევაში, სავარაუდოდ, კიკვიძის პარკს სახელწოდება შეეცვლება. გავრცელებული ინფორმაციით, წითელარმიელის ქანდაკება, შესაძლოა, შოთა რუსთაველის ძეგლმა ჩაანაცვლოს. მანამდე კი, რუსული არმიის ქართველი ოფიცრის ქვადქცეულ ბედს, სავარაუდოდ, საზოგადოება გადაწყვეტს.

# ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე ზრდილობის საკითხიც განიხილეს



20 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა შედგა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი არ ესწრებოდა. მანამდე გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს, იგი მალე დატოვებს საკრებულოს თავმჯდომარის პოსტს, მუნიციპალიტეტში არ დაადასტურეს. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილმა, სხდომის დაწყებისთანავე დეპუტატებს აუწყა, რომ მამეშვილი ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრებოდა სხდომას.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა, ლელა ნაცვალაძემ კითხვა შეაგება: რას უჩივის მამეშვილი? მექვაბიშვილმა ერთმანეთის პატივისცემა და ჯანმრთელობაზეც პატივისცემა მოითხოვა. შემდეგ კი, იქ მყოფთ, საკრებულოს დღის წესრიგით გათვალისწინებული ათი საკითხი გააცნო.

განსაკუთრებული მღელვარება მესამე საკითხის განხილვამ გამოიწვია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების საინფორმაციო-ანალიტიკური და მეთოდური დახმარების ცენტრისა“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „გომისმთის“ მიმართ ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ — ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამტკიცების თაობაზე“.

აღნიშნულ საკითხზე დეპუტატმა ლევან ნინიძემ ისაუბრა, რასაც სერიოზული პოლემიკა მოჰყვა. ტრიბუნასთან მდგომ ლევან ნინიძეს ოპოზიციონერმა დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ მიაძახა: „ლევან, შენ ისე იცი ახლა მაგი, რაფერც მე — ჩინური და დაანებე თავი მაგ ლაპარაკს“...

ამ რეპლიკის შემდეგ, საკრებულოს დეპუტატმა დავით მდინარაძემ სასწრაფოდ ითხოვა სიტყვა და ცოტა არ იყოს, აღელვებულმა თქვა: „ხალხო, ზრდილობა ოჯახსა და საბავშვო ბაღში მაინც არ გვისწავლია? ეს სირცხვილია, სხვები გვიყურებენ. გამოხატეთ თქვენი აზრი, მაგრამ ელემენტარული ზრდილობაა საჭირო. შენობით მე არ ველაპარაკები ასეთ დროს ადამიანებს“.

ზრდილობის თემაზე ექიმ მდინარაძის „რეცეპტმა“ ცოტა ხანს კი იქონია გავლენა, შემდეგ კი ხმამაღალი საუბარი, აქა-იქ უხეში ჩანართებით, კვლავ გაგრძელდა.

იურისტმა თამაზ ტრაპაიძემ განმარტა, თავის დროზე, აიპი ორგანიზაციების შექმნის და შემდეგ მათი არსებობის აუცილებლობის შესახებ: „მე განვმარტავ, რომ თუკი საუბარია იმაზე, რომ ლიკვიდაციას არ იწყებ დღეს, მაშინ დღის წესრიგში უნდა ეწეროს ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. რაც შეეხება აიპი ორგანიზაციებს, თავის დროზე სახელმწიფომ უარი თქვა სხვადასხვა ორგანიზაციების დაფინანსებაზე, თუმცა ეს სჭირდებოდა მუნიციპალიტეტს. ამიტომ სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რათა დაერეგისტრირებინათ აიპი-ები. სხვა საქმეა ის აიპი-ები, რომელთა არსებობა ეჭვს იწვევს. ასეთ შემთხვევაში, წლის ბოლოს, უნდა მომხდარიყო გადამოწმება. საჭიროების შემთხვევაში კი — მათი ლიკვიდაცია“.

დიმიტრი კვერღელიძემ, ამ მიმართულებით დახარჯულ ნახევარ მილიონს, წყალში გადაყრილი ფული უწოდა, რაზეც არ დაეთანხმა მექვაბიშვილი, — შეიძლება, ყველაფერი არ იყო ზუსტად გათვლილი და თავის დროზე, ვერ გავაკეთეთ კარგი ანალიზი, მაგრამ საქმე მაინც კეთდებოდა, — თქვა მან.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი ერთადერთი იყო, რის დამტკიცებაზეც ლელა ნაცვალაძემ ხელი ასწია. ამ ფაქტმა სხდომა მხიარულ ნოტაზე დაასრულა.

*„გურიანიუსი“*

## ვერსიანიუსი

### განათლების სამინისტრო სასკოლო უბნებს შექმნის



განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახალი სტრუქტურული ერთეულის – სასკოლო უბნების შექმნას გეგმავს.

ამის შესახებ ინფორმაცია, თავად განათლების მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა გაავრცელა. მისი თქმით, სასკოლო უბანში შევა რამდენიმე სკოლა და ბევრი საკითხი, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას სამინისტრო მიიღებს, შემდეგ კი, სასკოლო უბნის გამგეობის დონეზე გადაწყდება.

მინისტრისვე თქმით, ამ უბნების ფორმირების პროცესი უახლოეს მომავალში დაიწყება, თუმცა გაზაფხულიდან მისი პილოტირება მოხდება.

გიორგი მარგველაშვილი: **„პილოტირების შემდეგ, ეს მოდელი საქართველოს მასშტაბით ამუშავდება და რომლითაც ქართული სასკოლო სისტემა იმართება. ეს იქნება ანალოგი იმისა, რაც ევროპასა და აშშ-ში მოქმედებს“.**

მაგალითისთვის, მინისტრმა ამა თუ იმ სკოლებში მანდატურების დანიშვნის საკითხი დაასახელა: **„ყველა გადაწყვეტილებას, რომელსაც დღეს სამინისტრო იღებს, მაგალითად, ამა თუ იმ სკოლაში რა რაოდენობის მანდატური უნდა იყოს დანიშნული, ამას დღეს ჩვენ ვწყვეტთ მომავალში კი, სასკოლო უბნის გამგეობა გადაწყვეტს“.**

*„პირველი“*

### მოსკოვში გივი თარგამაძეს პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდეს



მოსკოვის ბასმანის რაიონულმა სასამართლომ გივი თარგამაძეს პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა. თარგამაძეს რუსეთის ტერიტორიაზე არეულობის ორგანიზება და დაფინანსება ედება ბრალად.

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა მასზე საერთაშორისო ძებნა 15 თებერვალს გამოაცხადა.

გამოძიების ინფორმაციით, თარგამაძე რუს ოპოზიციონერებთან აქტიურ მუშაობას კვლავინდებურად აგრძელებს. გამომძიებელმა სხდომის მიმდინარეობისას განაცხადა: **„საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ბრალდებული აქტიურადაა დაკავებული სხვადასხვა ქვეყნების ოპოზიციონერებისთვის კონსულტაციების გაწევით, მან რუსეთის ტერიტორიაზე არეულობის ორგანიზება და დაფინანსება განახორციელა. სასამართლომ თარგამაძეს პატიმრობა დაუსწრებლად უნდა შეუფარდოს, რამდენადაც მას მოწმეებზე ზეწოლა შეუძლია“.**

*„პირველი“*



# ჰოროსკოპი
## 22 თებერვალი

***ვერძი*** — დღეს ისეთი აკურატული და მოწესრიგებული იქნებით, როგორც არასდროს. დისციპლინას კი ისე არაფერი აყალიბებს, როგორც იმის შემეცნება, რომ საკუთარ თავს ეკუთვნით და არავის წინაშე ხართ ვალდებული, ანგარიში აბაროთ.

***კური*** — დღეს ისეთი ენერგიული იქნებით, რომ იმათაც გააოცებთ, ვინც დიდი ხანია გიცნობთ. მათი გაოცება კი უფრო მეტ სტიმულს მოგცემთ აქტიურობისთვის, თუმცა გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, რადგან შესაძლოა, სასიცოცხლო ენერგია დაქვეითდეს და გადაიღალოთ.

***ტყუპები*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები ურჩევენ, თავი ფიზიკურ შრომას მიუძღვნან და გაითვალისწინონ, რომ გონებრივი სამუშაოსგან ზოგჯერ დასვენება აუცილებელია. საღამოს კარგად დაისვენეთ, წყნარ მუსიკას მოუსმინეთ ან დრო ოჯახის წევრებთან სასიამოვნო საუბარში გაატარეთ.

***კირჩხიბი*** — დღეს იმის გაკეთება მოგიწევთ, რაც არასოდეს გაგიკეთებიათ. ეს დიდ ენერგიას წაგართმევთ, სამაგიეროდ, დღეს აზრიანად გაატარებთ. საღამოს სჯობს, მეგობრებს ესტუმროთ და ერთად თეატრში ან კინოში წახვიდეთ.

***ლომი*** — ლომებისთვის დღე მშვიდი იქნება. შეგიძლიათ რეალობას დროებით გამოეთიშოთ და თავს საკუთარ წარმოდგენებში გასეირნების ნება მისცეთ, იოცნებოთ. დღის მეორე ნახევარში კარგი იქნება, თუ სილამაზის სალონს ესტუმრებით ან მაღაზიებში გაივლით და ახალ კოსმეტიკას შეიძენთ.

***ქალწული*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღეს დიდია ალბათობა ოჯახის წევრებთან კამათისა. შეეცადეთ, თავი აარიდოთ ორმხრივ ბრალდებებს და რაც მთავარია, კამათს პირველი ნუ დაიწყებთ.

***სასწორი*** — ვიდრე სამსახურის შეცვლას გადაწყვეტთ, ჯერ კარგად დაფიქრდით, შესაძლოა, ამ ნაბიჯმა იქ არ მიგიყვანოთ, სადაც გსურთ.

***ღრიანკალი*** — დღე, შესაძლოა, ძალიან „ცხელი“ მოგეჩვენოთ. ბევრი საინტერესო რამ მოხდება და დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, საღამოსთვის მაინც რომ გაერიდოთ მოვლენების ეპიცენტრს.

***მშვილდოსანი*** — არ ღირს, დღეს საზოგადოების ყურადღების მიპყრობა, რადგან არის რეალური რისკი, ამ საზოგადოებაში ბევრი ისეთი ადამიანი აღმოჩნდეს, ვისი ნახვაც მაინცდამაინც არ გაგახარებთ.

***თხის რქა*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღე საკმაოდ გრძელი და დამღლელი იქნება. შეიძლება მხოლოდ ისურვოთ, რომ ეს დღე რაც შეიძლება მალე დასრულდეს.

***მერწყული*** — მერწყულებს დღეს წყლის სტიქია თავშეუკავებლად გაიტაცებს, რაც შესაძლოა, საშიშიც აღმოჩნდეს. შეეცადეთ, მორევში არ აღმოჩნდეთ და არ ჩაიძიროთ.

***თევზები*** — დღეს აუცილებლად დაგჭირდებათ ამაღლებული განწყობა და ემოციები. ამის მიღწევას კი დიდი „რაოდენობით“ კლასიკური მუსიკის მოსმენითა და ლიტერატურის კითხვით შეძლებთ.



# „ბომჟების სასტუმროში“ სტუმრებს ეპატიჟებიან

შვედეთში თავი უსახლკაროდ რომ იგრძნოთ, ამისთვის ფულის გადახდა მოგიწევთ. ქალაქ გიოტებორგში მდებარეობს სასტუმრო Faktum Hotels, თუმცა ეს სახელი მისთვის მეტად მაღალფარდოვნად ჟღერს. საქმე ის არის, რომ ოტელის მთელი ავლადიდება ლეიბია, რომელიც ნაგავსაყრელზე გდია და ამაში კლიენტმა 10 დოლარი უნდა გადაიხადოს. დაწესებულების ადმინისტრაცია სტუმრებს სიას სთავაზობს, სადაც უსახლკაროები ყველაზე ხშირად იკრიბებიან. როგორც მენეჯერი აცხადებს, კლიენტებს ყველაზე მეტად გვირაბებში, ტყეში, პარკებსა და ხიდის ქვეშ ძილი ურჩევნიათ. „ნომრის“ ღირებულებაში უსაფრთხოებაც შედის — სტუმარს სხვა ადამიანები არ შეაწუხებენ. როგორც სასტუმროს ხელმძღვანელობა აცხადებს, პროექტის მიზანია, ყველამ გააცნობიეროს, რას ნიშნავს ზამთრის სიცივეში, თბილი ლოგინის ნაცვლად, გარეთ, ქუჩაში ძილი. ისინი საქველმოქმედო ორგანიზაციებთან თანამშრომლობენ, რომლებიც გიოტებორგში მცხოვრებ უსახლკაროებს ეხმარებიან.


### შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**






ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com




## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 5 | 1 | 8 | 7 | 3 | 6 | 4 |
| 8 | 3 | 1 | 4 | 6 | 2 | 9 | 7 | 5 |
| 4 | 7 | 6 | 9 | 5 | 3 | 2 | 1 | 8 |
| 5 | 6 | 4 | 3 | 2 | 9 | 7 | 8 | 1 |
| 1 | 8 | 3 | 6 | 7 | 4 | 5 | 2 | 9 |
| 7 | 9 | 2 | 8 | 1 | 5 | 6 | 4 | 3 |
| 6 | 5 | 9 | 2 | 4 | 1 | 8 | 3 | 7 |
| 3 | 4 | 8 | 7 | 9 | 6 | 1 | 5 | 2 |
| 2 | 1 | 7 | 5 | 3 | 8 | 4 | 9 | 6 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 5 | 1 | 3 | 6 | 2 | 9 | 8 |
| 2 | 3 | 1 | 9 | 8 | 4 | 7 | 6 | 5 |
| 9 | 6 | 8 | 2 | 7 | 5 | 4 | 3 | 1 |
| 1 | 2 | 7 | 6 | 4 | 9 | 5 | 8 | 3 |
| 8 | 9 | 6 | 5 | 2 | 3 | 1 | 7 | 4 |
| 4 | 5 | 3 | 8 | 1 | 7 | 9 | 2 | 6 |
| 6 | 1 | 4 | 3 | 9 | 2 | 8 | 5 | 7 |
| 5 | 8 | 2 | 7 | 6 | 1 | 3 | 4 | 9 |
| 3 | 7 | 9 | 4 | 5 | 8 | 6 | 1 | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 2 | 5 | 9 | 1 | 6 | 4 | 7 | 3 |
| 4 | 6 | 3 | 7 | 5 | 2 | 1 | 8 | 9 |
| 7 | 1 | 9 | 3 | 4 | 8 | 2 | 5 | 6 |
| 6 | 9 | 4 | 2 | 7 | 5 | 8 | 3 | 1 |
| 5 | 3 | 2 | 8 | 9 | 1 | 7 | 6 | 4 |
| 1 | 8 | 7 | 4 | 6 | 3 | 9 | 2 | 5 |
| 3 | 7 | 1 | 6 | 2 | 4 | 5 | 9 | 8 |
| 9 | 4 | 8 | 5 | 3 | 7 | 6 | 1 | 2 |
| 2 | 5 | 6 | 1 | 8 | 9 | 3 | 4 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 4 | 7 | 3 | 6 | 2 | 1 | 9 |
| 9 | 3 | 2 | 8 | 1 | 5 | 7 | 4 | 6 |
| 1 | 7 | 6 | 9 | 4 | 2 | 8 | 5 | 3 |
| 7 | 9 | 1 | 6 | 5 | 8 | 3 | 2 | 4 |
| 6 | 4 | 8 | 1 | 2 | 3 | 5 | 9 | 7 |
| 5 | 2 | 3 | 4 | 9 | 7 | 6 | 8 | 1 |
| 4 | 6 | 5 | 3 | 8 | 1 | 9 | 7 | 2 |
| 2 | 1 | 7 | 5 | 6 | 9 | 4 | 3 | 8 |
| 3 | 8 | 9 | 2 | 7 | 4 | 1 | 6 | 5 |



# ჰოროსკოპი

## 23 თებერვალი

**ვერძი** — დღეს ერთ-ერთი მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ. თქვენს ქცევაში კი სიმსუბუქე და სპონტანურობა იგრძნობა, თუმცა მაინც ახერხებთ, ნებისმიერ წვრილმანს მიაქციოთ ყურადღება. დღეს, შესაძლოა, კარგი ამბები შეიტყოთ ნათესავისგან, რაც თქვენს მომავალსა და ფინანსებზე იქონიებს გავლენას.

**კურო** — თამამად შეგიძლიათ საკუთარი თანხა გააპროცენტოთ, თუკი საამისო დანაზოგი მოგეპოვებათ. წარმოაჩინეთ თქვენი ინიციატივა და იდეები კოლეგებისა და უფროსობის განსახილველად, საღამოს კი შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ, ძილის წინ ცხელი აბაზანა მიიღეთ და დაძაბულობა მოიხსენით.

**ტყუპები** — სერიოზული სამუშაოსა და გაბედული ჩანაფიქრის ასრულებისთვის ეს დღე საუკეთესოა. ტყუილის თქმა და თავის დაძვრენის მცდელობა არ გიშველით, ამით მხოლოდ დაზარალდებით. გამოიჩინეთ თავშეკავება და აუცილებლად მოგეცემათ შესაძლებლობა, დასახულ მიზანს მიაღწიოთ.

**კირჩხიბი** — დღეს უფროსობასთან ურთიერთობაში სიბრძნე და გამძლეობა გამოავლინეთ. გულღია საუბარი დაგიბრუნებთ საკუთარი ძალების რწმენას. ბავშვებსაც დიდი ხნით ნუ მოაცილებთ თვალს, რაიმე უბედურებას რომ არ მოეწიონ. კირჩხიბებმა, ვისაც კუჭის პრობლემა აქვს, დღეს მენიუდან გამორიცხეთ მარილიანი და ცხარე საკვები.

**ლომი** — დღეს, შესაძლოა, არაერთ ორაზროვან სიტუაციაში აღმოჩნდეთ, რაც თქვენგან ტაქტის გამოჩენასა და გამძლეობას მოითხოვს. ვერ მოახერხებთ უსიამოვნო, სერიოზული საუბრის თავიდან აცილებას, საღამოს კი გაანებივრეთ საკუთარი შვილები ახალი სათამაშოთი ან საინტერესო წიგნით.

**ქალწული** — დღეს, შესაძლოა, ვალი დაგიბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. ყურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას. ურთიერთობა შეიძლება ხანმოკლე აღმოჩნდეს, მაგრამ მოვლენებს ნუ დააჩქარებთ — დღეს არ არის მაინცდამაინც სასიკეთო პერიოდი კარდინალური ცვლილებებისთვის, თუმცა წარმატებული დღეა ხელოვანი ადამიანებისთვის.

**სასწორი** — დღეს მოსალოდნელია ცვლილებები სამსახურში. არ არის გამორიცხული, ვიღაცამ არასწორად შეაფასოს თქვენი საქმიანი აქტიურობა და ზედმეტად თავდაჯერებულად ჩაგთვალონ. მოსალოდნელია, დღეს მატერიალური სირთულეები შეგექმნათ. მთელი დღის განმავლობაში დიდია ალბათობა გავლენიან ადამიანებთან შეხვედრისა.

**მორიელი** — დღეს განსაკუთრებით ორგანიზებული და ყურადღებიანი უნდა იყოთ, რათა დიდი სამუშაო შეასრულოთ. შესაძლოა ისე მოხდეს, თქვენს პარტნიორებზე გახდეთ დამოკიდებული, ამიტომ გეგმების ცხოვრებაში განხორციელებისას ნუ დაივიწყებთ იმათაც, ვინც გეხმარებოდათ. ხანმოკლე სამსახურებრივმა რომანმა, შესაძლოა, დღეს კოლეგებისა და უფროსობის მხრიდან თქვენს მიმართ ზიზღი გამოიწვიოს. ფრთხილად იყავით ავტომობილის მართვისას.

**მშვილდოსანი** — სავარაუდოა, მშვილდოსნებისთვის დღე კონფლიქტით დაიწყოს, ამიტომ ემოციები მოთოკეთ და სამსახურში განსაკუთრებით თავაზიანი იყავით კოლეგების მიმართ. დღეს თუ სამკურნალო პრეპარატები დაგჭირდათ, ყურადღება მიაქციეთ ვადას. არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ მეტი დოზა და თავი შეიკავეთ მძიმე საკვებისგანაც.

**თხის რქა** — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს კარგად მოახერხებენ სიტუაციით სარგებლობას საქმეში წინ წასაწევად. პირად ცხოვრებაში შესანიშნავი პერსპექტივა გეხსნებათ, თუკი ურთიერთობის ინტელექტუალური მეთოდები მოგწონთ. შესაძლოა, ასევე, პატარა პრობლემები საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობაში.

**მერწყული** — კარგი დღეა ფინანსური ოპერაციებისა და კარიერაში წინ წაწევისთვის. დიდია ალბათობა გავლენიან ადამიანებთან შეხვედრისა. დღის მეორე ნახევარში ცოტა მოეშვით და თავს დასვენების უფლება მიეცით. შეგიძლიათ, თეატრში ან კინოში წახვიდეთ, ანდა დრო მყუდროდ, ოჯახურ წრეში გაატაროთ.

**თევზები** — თევზებისთვის დღეს აქტიური, შემოქმედებითი დღეა. კარგად წავა საქმეები ბირჟაზე, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის თავი აარიდეთ მემკვიდრეობის საკითხებს. ეს დღე საკუთარ თავს კი არა, საყვარელ ადამიანს მიუძღვენით. ვარსკვლავები გვიმტკიცებენ, რომ მსგავს გარემოში დროის გატარება ძალიან სასარგებლო იქნება.

# ყველაზე ძვირიანი სპა-პროცედურა



საკუთარი სხეული და აზრები წესრიგში რომ მოიყვანოთ, საამისოდ სპა-სალონში სტუმრობა სწორედაც იდეალური ვარიანტია. ოტელი Springs Hotel, რომელიც ჩინეთში, ხენანის პროვინციაში მდებარეობს, მსურველებს ამგვარ მომსახურებას 16 ათას დოლარად სთავაზობს. ღირებულებიდან გამომდინარე, ის მსოფლიოში ყველაზე ძვირიანი სპა-პროცედურაა. მთელი ეს სიამოვნება ადამიანს საშუალებას აძლევს, თავი იმპერატორად წარმოიდგინოს. დასაწყისში კლიენტს ბანაობისთვის მდიდრულ შესამოსელში გამოაწყობენ, გოგონები კი, რომელთაც ძველებური კოსტიუმები აცვიათ, იმპერატორის საყვარელი ქალების შესაფერისად, მას ხილს, ღვინოს სთავაზობენ, წყალში ვარდის ფურცლებს ყრიან და ჩინურ მასაჟსაც გაუკეთებენ. სპა-პროცედურის მაღალი ფასის მიუხედავად, უკვე გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა ამ „საიმპერატორო აბაზანის" მიღება და თან მოისურვა, ეს პროცედურა სახალხოდ მომხდარიყო. ყოველ დაინტერესებულ მსურველს საშუალება ჰქონდა, ამ სიამოვნებისთვის გარედან ეცქირა.

# რა არის კაცების ღალატის მიზეზი?



ჰოლანდიელი სწავლულების ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მამაკაცს ნებისმიერი ქალი იზიდავს, მიუხედავად მისი გარეგნული მონაცემებისა. კვლევაში მონაწილეობა 21-დან 25 წლამდე ასაკის ძლიერი სქესის წარმომადგენლებმა მიიღეს. ექსპერიმენტის განმავლობაში ყველა მათგანი ნაკლებადმიმზიდველ ქალთან ერთად გამოამწყვდიეს ოთახში. მამაკაცების უმრავლესობამ აღიარა, რომ მანდილოსანი მათ სიმპათიურად არ მოეჩვენათ, თუმცა ექსპერიმენტის დასაწყისსა და დასასრულს მონაწილეებზე ტესტოსტერონის დონის შემოწმებამ სხვა რამ აჩვენა. აღმოჩნდა, რომ ერთ ოთახში თუნდაც არასექსუალურ ქალთან ერთად ყოფნა კაცებში ჰორმონალურ ტალღას წარმოშობს, ეს ნიშნავს, რომ სუსტი სქესისადმი მიზიდულობას კაცი ყველა შემთხვევაში განიცდის იმისდა მიუხედავად, ქალი ლამაზია თუ არა — ეს მათ ბუნებაში დევს. ამერიკელმა სწავლულებმა კი მამაკაცებში ისეთი გენი აღმოაჩინეს, რაც სექსუალურ მხარეზეა პასუხისმგებელი. კაცებს, რომლებიც ვალდებულების გარეშე სქესს ანიჭებენ უპირატესობას, ერთი ტიპის გენი აქვთ. ბრიტანელი მკვლევარების ექსპერიმენტმა კი დაამტკიცა, რომ რაც უფრო განათლებულია მამაკაცი, მით მეტია შესაძლებლობა, რომ ცოლს უღალატებს. კაცის ბუნებაში პოლიგამიური ცხოვრების სტილია ჩადებული, თუმცა თანდათანობით, ისინი მონოგამიისკენ იხრებიან.



# მანქანის მართვის უჩვეულო წესები

ავტომობილის მართვის ყველაზე საინტერესო, უცნაური და ზოგჯერ შოკშიჩამგდები წესები მანქანების გაქირავების სააგენტომ Avis გამოაქვეყნა, იმ შემთხვევისთვის, თუკი უცხოეთში მოხვდებით, როგორ მოიქცეთ ავტომანქანით მგზავრობისას. აი, ზოგიერთი მათგანიც: აშშ-ში, კერძოდ კი, კალიფორნიაში ჩასულებმა უნდა იცოდეთ, რომ აქ აკრძალულია მანქანის მართვა ხალათში, პიჟამოში ან კაბაში (თუკი მანდილოსანი არ ბრძანდებით); ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში, დანიაში კანონი მოითხოვს, ვიდრე საჭესთან დაჯდებით, მანამდე შეამოწმოთ, ხომ არავინაა თქვენი მანქანის ქვეშ. ასევე ამ ქვეყანაში აუცილებელია, გამგზავრების წინ, შეამოწმოთ მუხრუჭები, ფარები, საჭის გამართულობა. კვიპროსზე საჭესთან მჯდომს წყლის დალევაც კი ეკრძალება. რუსეთსა და რუმინეთში გასარეცხი ავტოთი მგზავრობაა აკრძალული.

პირინეებზე კანონი მოითხოვს, ვინც მანქანის მართვისას სათვალეს ხმარობს, მას თან აუცილებლად უნდა ჰქონდეს მეორე, სათადარიგო სათვალეც. საბერძნეთში კიდევ უფრო შორს წავიდნენ — აქ საგზაო მოძრაობის ინსპექტორები სანომრე ნიშნებს აცლიან არასწორად გაჩერებულ მანქანებს. იტალიასა და რუსეთში, კანონით, მძღოლმა ფარები არა მხოლოდ ღამით, არამედ დღისითაც უნდა აანთოს, თუ ის დასახლებულ პუნქტში არ იმყოფება, რათა უბედურ შემთხვევებს თავი აარიდოს. ესპანეთის ზოგიერთ ქალაქში ავტომობილები კენტნომრიანი სახლების წინ თვის ასევე კენტ რიცხვებში უნდა იყვნენ გაჩერებული, ლუწ რიცხვებში კი — ლუწნომრიანი სახლების წინ. თუკი შემთხვევით, ვენაში მოხვდებით, შეეცადეთ, არ დაასიგნალოთ, ავსტრიის დედაქალაქის საზღვრებში ეს კატეგორიულად აკრძალულია.

# ყოველი მეორე ადამიანი კიბოთი დაავადდება



ასეთი შემაშფოთებელი პროგნოზი ბრიტანელ სპეციალისტებს ეკუთვნის. იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ინგლისურმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ CRUK მოიპოვა, უახლოესი 15 წლის განმავლობაში პლანეტის ყოველი მეორე მაცხოვრებელი სიმსივნით იქნება დაავადებული. სპეციალისტები, რომლებიც მრავალი წელია ონკოლოგიურ დაავადებებს იკვლევენ, აცხადებენ, რომ ბოლო დროს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ცოტა გაიზარდა, თუმცა ამასთან, ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების ალბათობა ხანდაზმულ ადამიანებში უფრო დიდია. მეცნიერთა პროგნოზით, მომავალი 15 წლის განმავლობაში, ისეთი ონკოდაავადებების სიხშირეს უნდა ველოდეთ, როგორიც არის პროსტატისა და ნაწლავების კიბო, მელანომა. ბრიტანელმა სპეციალისტებმა, ამავე დროს, ზოგიერთი დამაიმედებელი განცხადებაც გააკეთეს. მათი მოსაზრებით, 15 წლის შემდეგ, მედიცინა ისეთ დონეს მიაღწევს, რომ შეძლებს კიბოს დამარცხებას. ამ პროცესს ხელს შეუწყობს დაავადების დიაგნოსტიკა მის ადრეულ სტადიაზე. გარდა ამისა, ახალი პრეპარატებიც შეიქმნება სიმსივნესთან საბრძოლველად.

# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | | 4 | | | 8 |
| | | | 6 | | | | | |
| | 5 | 8 | | | | | 2 | |
| | 1 | 6 | 4 | | 7 | | | 2 |
| | | 4 | 2 | | 3 | 9 | | |
| 8 | | | 1 | | 5 | 6 | 7 | |
| | 4 | | | | | 8 | 3 | |
| | | | | | 1 | | | |
| 2 | | | 7 | | | | | 9 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | | | | | |
| | | | | 1 | | 7 | | |
| 1 | | | 9 | | 4 | | 3 | 2 |
| 9 | | 1 | 2 | | | | | 6 |
| | | 2 | 7 | | 1 | 4 | | |
| 7 | | | | | 6 | 9 | | 1 |
| 5 | 8 | | 1 | | 9 | | | 7 |
| | | 9 | | 3 | | | | |
| | | | | | | | 8 | |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | | | | | | | 8 |
| | | | | | | | 9 | |
| 8 | | | 5 | | 1 | | | |
| | | 6 | | | 9 | | 5 | 4 |
| 1 | | | | 6 | | | | 9 |
| 5 | 3 | | 2 | | | 1 | | |
| | | | 3 | | 8 | | | 1 |
| | 1 | | | | | | | |
| 4 | | | | | | | 6 | 2 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | 4 | | | 8 | | |
| | | | | | 8 | | | 1 |
| 2 | 9 | | | 7 | | | | 3 |
| | 1 | | 8 | 6 | | | | |
| | 2 | 7 | | | | 6 | 8 | |
| | | | | 9 | 7 | | 4 | |
| 1 | | | | 8 | | | 7 | 6 |
| 9 | | | 6 | | | | | |
| | | 3 | | | 5 | | 1 | |

# როგორ ემზადებიან ვარსკვლავები „ოსკარის" ცერემონიისთვის









ორიოდე დღეში, 24 თებერვალს, ლოს-ანჯელესში „ოსკარის" დაჯილდოების 85-ე ცერემონია გაიმართება. მანამდე ჰოლივუდის ვარსკვლავები ამ მოვლენისთვის საგულდაგულოდ ემზადებიან — განტვირთვის დღეებს იწყობენ, თუმცა ამ მნიშვნელოვანი ცერემონიისთვის მზადება ერთ დღეს და თუნდაც კვირას არ გრძელდება. მოდით, ვნახოთ, როგორ ემზადებიან ვარსკვლავები წითელ ხალიჩაზე გასავლელად.

**სახე:** ფილინგები, ინექცია, კანის ლაზერული გაწმენდა — მსახიობები ყველა გზას მიმართავენ, ახლო კადრით გადაღებულ ფოტოებზე ლამაზი, ქორფა სახე რომ გამოუჩნდეთ, ნაოჭების, ფორებისა და ყოველგვარი ლაქების გარეშე. მაგალითად, ტილდა სუილტონი და ქეით უინსლეტი, ბევრი სხვაც, ექსკლუზიურ პროცედურებს იტარებს ლოს-ანჯელესის სილამაზის სალონში ელექტროძაბვის გამოყენებით, რაც კანის სტიმულირებას ახდენს. ბევრი ჰოლივუდელი კოსმეტოლოგი ასეთი საშუალებებისა თუ პროცედურების ავტორი თავად არის და ზოგიერთი ისეთ ეფექტს იძლევა, როგორსაც კანის ქირურგიული დაჭიმვა.

**ვარცხნილობა:** ცერემონიამდე კვირების განმავლობაში დრო თმის აღდგენას ეთმობა — ნიღბები, ნიღბები და... ნიღბები დამატენიანებელი თუ აღმდგენი საშუალებებით, ასევე თავის კანის სპეციალური მასაჟი. საბოლოოდ კი, თმის შეჭრა ან ვარცხნილობის დაყენება. ჰოლივუდში საყვარელი პარიკმახერები ჰყავთ, რომლებთანაც ნებისმიერი ვარცხნილობა ათას დოლარზე ნაკლები არ ჯდება.

**სხეული:** აქ ნებისმიერ რამეს შეიძლება გამოეკიდო. ჯერ ერთი, სხეული გამხდარი უნდა იყოს. საამისოდ ვარსკვლავები თავს იკლავენ მრავალრიცხოვანი ვარჯიშებით, მაგალითად, პილატესა, იოგა, არც კრივს ერიდებიან. თუმცა, ჰოლივუდში ბოლო დროის მოდა მაინც ტრენაჟორი Pilates Reforme-ია, მის ფანებში ჯორჯ კლუნიც კი ჩაეწერა. ის საშუალებას იძლევა, რეკორდულად მცირე დროში იდეალური მუცლის პრესი დაიყენოთ. მიმართავენ ასევე ათასგვარ „სასარგებლო" დიეტას, სვამენ ლიტრობით მწვანე ჩაის, ბოლო დროს იაპონურ სამზარეულოს (მხოლოდ ცილები!) მიეძალნენ. საბოლოოდ კი, როცა სულ ორიოდე ზედმეტი კილოგრამიღა რჩებათ, ყველაზე პატარა ზომის კაბაში რომ ჩაეტიონ, ვარსკვლავები ერთ საიდუმლო „იარაღს" იყენებენ — ეთერზეთებით, წყალმცენარეების ექსტრაქტებითა და კოფეინით გაჟღენთილ ტილოებში ეხვევიან, ასევე იყენებენ ინფრაწითელ გახურებასაც — ყველაფერი ერთად, ცელულიტის მოშორებას იწვევს, იზრდება მეტაბოლიზმი და რაც მთავარია, ვიწროვდება წელი, თუმცა ფიგურა მაინც ყველაფერი არ არის. იდეალური უნდა იყოს კანიც. თუკი ისეთი ვარსკვლავების გამოჩენით, როგორიც არიან ენ ჰეტუეი, რუნი მარა და ემა სტოუნი, ნამზეური მეორე პლანზე გადავიდა, ის ფაქტი, რომ კანი მბრწყინავი და თანაბარი ტონის უნდა იყოს, ფაქტად რჩება. ევა ლონგორია მაინც უპირატესობას ხელოვნურ ნამზეურს ანიჭებს და საამისოდ ლოს-ანჯელესის საუკეთესო სპა-სალონებს აკითხავს. ჯესიკა ბილი კი, ვისი კანიც ყოველთვის თოჯინასავით ბრწყინავს, რძემჟავას გამოყენებით იტარებს პროცედურებს და კეფირის სკრაბს იკეთებს.

დაბოლოს, როცა სახეზე უკვე ისეთი მაკიაჟიც გაკეთებულია, რომ ვერანაირი ქარიშხალი „სენდი" თუ „კატრინა" ვერ ჩამორეცხავს, თმაზე, იდეალური ვარცხნილობაა, სხეული მზად არის, მოირგოს სასურველი  კაბა, იწყება ღიმილის რეპეტიცია, რომლითაც ვარსკვლავი ფოტოგრაფებს შეხვდება ლიმუზინიდან გადმოსვლისთანავე. ახლა უკვე ყველაფერი მზად არის — თამამად გაიარეთ წითელ ხალიჩაზე!



# ბენზინს მაკულატურა შეცვლის?



ნიუ ორლეანის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ბაქტერიის ახალი შტამი აღმოაჩინეს, რომელიც იმითაა უნიკალური, რომ ცელულოზას ბუტანოლად გარდაქმნის. ამ უკანასკნელმა კი, შესაძლოა, მუდმივად გაძვირებადი ბენზინი ჩაანაცვლოს. შტამს სახელად ТУ-103 უწოდეს. ძველი ხარახურა, რაც ცელულოზასგან შედგება (წიგნები, გაზეთები და სხვა), ამ ბაქტერიის მეშვეობით ბუტანოლად გადამუშავდება. ამერიკელი მკვლევარები ამბობენ, რომ ყველა მწვანე მცენარეში არის ცელულოზა, ის ყველაზე გავრცელებული ორგანული მასალაა მთელ პლანეტაზე. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მის საწვავად გარდაქმნას ცდილობენ. მიუხედავად იმისა, რომ ცელულოზასგან ეთანოლი (სხვა ბიოსაწვავი) მიიღება, ბევრი მეცნიერი მაინც მიიჩნევს, რომ ბუტანოლი გაცილებით უკეთესია. მათი თქმით, ბიობუტანოლი საგრძნობლად შეამცირებდა დედამიწაზე ნაგვის რაოდენობას, ჰაერში ნახშირმჟავა აირების გამოყოფასა და გარემოს დაბინძურებას. მთავარი პლუსი კი ის არის, რომ ეს ბიოსაწვავი ისეთი ძვირი არ დაჯდებოდა, როგორიც ბენზინია.



# ჰოროსკოპი

## 24 თებერვალი

**ვერძი** — დღეს ნათქვამ სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ მიაქციეთ ყურადღება, რას ლაპარაკობთ. სატელეფონო საუბრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. კვლავ წამოიჭრება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები. საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თემა კი ძალიან აქტუალური გახდება.

**კურო** — არ არის გამორიცხული, დღეს კოლეგებმა და ხელმძღვანელობამ თქვენ არასწორად გაგიგონ, ამიტომ სჯობს, თავშეკავება გამოიჩინოთ ყველა საკამათო საკითხში და თქვენი სწორი შეხედულებები კოლეგებს სხვა დროს გაუზიაროთ. ამ ნიშნის წარმომადგენლებს ეს დღე პარტნიორებთან თანხმობის მიღწევასა და სულიერი სიმშვიდის მოპოვებას ჰპირდება.

**ტყუპები** — ტყუპებისთვის დღე, შესაძლოა, უსიამოვნებებით დაიწყოს, ამიტომ მოთმინება გამოიჩინეთ, რათა თავი აარიდოთ კონფლიქტებს ახლობლებსა და ხელქვეითებთან. დღეს შეგიძლიათ ბევრი იფანტაზიოროთ, ეს ხელს ვერ შეგიშლით, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაში. არის ალბათობა, მოულოდნელად პრემია ან რაიმე დაუგეგმავი შემოსავალი მიიღოთ.

**კირჩხიბი** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღე, მთლიანობაში, სასიკეთოა. თუ კარგად იშრომებთ, შედეგსაც სასურველს მოიმკით. დაწყებული საქმეების მოგვარებაში აუცილებლად დაგეხმარებათ ახლობლების ან მეგობრების რეკომენდაციები და რჩევები. დღეს ნუ მოეშვებით, ყურადღებით იყავით, რადგან გახსნილი გონება და თავისუფალი აზროვნება გჭირდებათ.

**ლომი** — დღე წარმატებას გიქადით სიყვარულში. კარგი დროა ასევე კულტურულ ღონისძიებებზე, წვეულებებზე წასასვლელად. ბევრმა ლომმა, შესაძლოა, პრემია ან ჰონორარი მიიღოს. დღეს განსაკუთრებით რომანტიულ განწყობაზე ხართ და მოსაწყენი სამუშაოს შესრულება ძალიან გეზარებათ.

**ქალწული** — დღე უფროსებთან კამათს გიქადით, მაგრამ, მთლიანობაში, საკმაოდ ეფექტურად ჩაივლის, თუკი თქვენს პოტენციალს სწორად მიმართავთ და არც ფიზიკურ დატვირთვაზე იტყვით უარს. მიმდინარე საქმეები არც ისე რთული, მაგრამ შემოსავლიანი აღმოჩნდება. დღის მეორე ნახევარში ფრთხილად იყავით საყოფაცხოვრებო ტექნიკის მოხმარებისას, დიდია ტრავმის მიღების ალბათობა.

**სასწორი** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს ფინანსური დანაკარგების დღე აქვთ — ეს ყველაფერი კი ისევ ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი იქნება. არ არის გამორიცხული, დღის მეორე ნახევარში სასიხარულო შეხვედრა შედგეს. ვარსკვლავები კი შეგახსენებენ, რომ ცალკე მცხოვრები ოჯახის წევრების მონახულებაც საჭიროა. საღამოს შესაძლოა, სტუმრებიც მიიღოთ.

**მორიელი** — სამსახურში დღეს განსაკუთრებით ფრთხილი და ყურადღებიანი იყავით, ასევე თავაზიანობა მოგეთხოვებათ. ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები აფრთხილებენ, რომ ჯანმრთელობას უნდა მიაქციოთ დიდი ყურადღება, შეზღუდეთ თქვენს მენიუში მარილიანი და ცხიმიანი საკვები. დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, დაგეგმილი შეხვედრები ჩაგეშალოთ.

**მშვილდოსანი** — მშვილდოსნებს დღეს მშვიდად და წყნარად ყოფნა მოეთხოვებათ. დიდია საკვებით მოწამვლის ალბათობა. სასიამოვნო და სასიხარულო კი უფროს ნათესავებთან ურთიერთობა აღმოჩნდება. დღის მეორე ნახევარში მეგობრების სტუმრობას უნდა ელოდეთ. რაც შეეხება საქმეს, მეტი გამბედაობა გამოიჩინეთ ფინანსურ ოპერაციებში და სასურველი შედეგიც არ დააყოვნებს.

**თხის რქა** — დღეს დაგეგმილი გამგზავრება შესაძლოა, არ შედგეს ობიექტური მიზეზების გამო, თუმცა მისი გადადება ხანმოკლე იქნება. ფინანსურ ოპერაციებში მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ. დღის მეორე ნახევარში შეეცადეთ, დრო ოჯახის პატარა წევრებისთვისაც გამონახოთ, ამით მათ ძალიან გაახარებთ.

**მერწყული** — დღეს განსაკუთრებით დაკავებული ხართ და არ გყოფნით დრო ურთიერთობებისთვის. მამაკაცები ნოვატორობასა და ორიგინალურობას გამოიჩენენ მშვენიერ სქესთან ურთიერთობაში. წარმატებული დღეა შემოქმედებითი პროფესიის მქონე მერწყულებისთვის. ფინანსების მხრივაც, დღე საკმაოდ კარგად ჩაივლის. საღამოს კი შეეცადეთ, ახლო მეგობრებს შეეხმიანოთ და ცოტა ხნით მაინც შეხვდეთ.

**თევზები** — შესანიშნავი დღეა შეხვედრებისა და პაემნებისთვის. სახლის საქმეებიც კარგად მიდის. რაც შეხება სამუშაოს, თავი შეიკავეთ ხელშეკრულებების გაფორმებისგან. კარგი დღეა შოპინგისთვის. გაიარეთ მაღაზიებში და მოულოდნელი საჩუქრით საყვარელი ადამიანი გაახარეთ. საღამო ოჯახურ კომპანიაში გაატარეთ, თუ გართობა გსურთ, მეგობრებთან ერთად დისკოთეკაზე წადით.

## ამინდის პროგნოზი

| | პარასკევი | შაბათი | კვირა |
|---|---|---|---|
| თბილისი | +10 | +10 | +10 |
| ქუთაისი | +17 | +15 | +12 |
| ბათუმი | +18 | +16 | +13 |
| სოხუმი | +16 | +14 | +12 |

| | პარასკევი | შაბათი | კვირა |
|---|---|---|---|
| თელავი | +10 | +11 | +10 |
| გუდაური | -1 | -1 | -2 |
| ბაკურიანი | +2 | +1 | -1 |
| მესტია | +6 | +5 | +4 |

# ჰოლივუდის ყველაზე არამიმზიდველი მსახიობები დაასახელეს











ჰოლივუდის ვარსკვლავები ლამის ყოველდღე, ათასგვარ რეიტინგებში ხვდებიან და ადგენენ ყველაზე ლამაზების, მდიდრების, წარმატებულების, ნიჭიერების, სექსუალურების სიებს, რაც მაყურებელში საკმაო წარმატებითაც სარგებლობს, თუმცა, არანაკლები ინტერესით ხვდება პუბლიკა ასევე, ეგრეთ წოდებულ ანტირეიტინგებსაც. ამჯერად, კრიტიკოსებმა ყველაზე არამიმზიდველი და არასექსუალური ცნობილი ადამიანები შეარჩიეს. მოკლედ, „ოსკარის“ ცერემონიის წინ, მამაკაცებისთვის განკუთვნილმა ბრიტანულმა პორტალმა გამოკითხვა ჩაატარა და გაარკვია, ჰოლივუდელი ვარსკვლავებიდან ვის მიიჩნევენ ყველაზე არამომხიბვლელად. რეიტინგის ლიდერი 22 წლის მსახიობი კრისტენ სტიუარტი გახდა, რომელსაც პოპულარობა ცნობილმა საგამ „ბინდი“ მოუტანა. მას იმანაც ვერ უშველა, რომ რამდენიმე თვის წინ, პარტნიორ რობერტ პატისონთან ერთად, ჰოლივუდის ყველაზე რომანტიკულ წყვილად დაასახელეს. მეორე ადგილი სერიალის „სექსი დიდ ქალაქში“ ვარსკვლავს, სარა ჯესიკა პარკერს ერგო. ძლიერი სქესის წარმომადგენლები მას ზედმეტად გამხდრად მიიჩნევენ. ლიდერთა სამეულში შევიდა ლინდსი ლოჰანიც. მამაკაცებს არ მოსწონთ მისი ცხოვრების სტილი. ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარებამ, კანონთან პრობლემებმა და კოსმეტიკური პროცედურებით ზედმეტად გატაცებამ ბრიტანელი კაცების თვალში ის არამიმზიდველად აქცია. ბევრის გასაკვირად, მეოთხე საფეხურზე აღმოჩნდა დენიზ რიჩარდსი. ჩარლი შინის სუპერმოხდენილი ყოფილი მეუღლე, 42 წლის მსახიობი, თურმე, ბოლო დროს ძალიან გახდა და სექსუალურად აღარ გამოიყურება. კიდევ უფრო გასაკვირია მეხუთე ადგილის მფლობელი კირსტენ დანსტი — მსახიობი, რომელიც არაერთხელ აღმოჩენილა „ყველაზე ლამაზებსა“ და „ყველაზე სექსუალურებს“ შორის. მეექვსეადგილოსანი ანგლო-ამერიკელი მსახიობი და მოდელი მიშა ბარტონიც არ მოუვიდათ თვალში ინგლისელ მამაკაცებს. მათ გარდა, ტოპ-ათეულში შეიყვანეს ასევე ჰილარი სუონქი, ლუსი ლიუ, თანამემამულე ტილდა სუილტონი და უმა თურმანიც კი.




ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.